საფეხბურთო ჟურნალი

# გოლი

№ 1

1993




## მარკო ვან ბასტენი

### გასული წლის საუკეთესო ფეხბურთელი

„ოქროს ბურთი“
1956–92



REAL MADRID

ხაფეხბურთო ჟურნალი
# გოლი
№1 (4) იანვარი-თებერვალი '93

3 --- ბრწყინვალე მარკო — მესამედ
ზურაბ მეძველია
4 --- „ოქროს ბურთის" ყველა ლაურეატი 1956-1991.
16 --- „გოლის" რეიტინგი
17 --- საშეფო გუნდის რეგალიები და ამბიციები. რუბრიკა „კლუბები" წარმოგიდგენთ მადრიდის „რეალს"
ზურაბ ინასარიძე
25 --- ჩემთან ხუმრობა არ შეიძლება. ინტერვიუ ჰანს ვან ბრეკელენთან
ზურაბ ბერელაშვილი
28 --- ფიფა-ს წევრი ქვეყნები
34 --- სტატისტიკა
36 --- რა ხდებოდა თებერვალში. ბასბის გუნდის დაღუპვა
38 --- რუბრიკა „ისტორიიდან"
ნოდარ გუგუშვილი

დამფუძნებლები
განსაზღვრული პასუხისმგებლობის გამომცემლობა „ლინქსი" და კოოპერატივი „კომპიუტერი"

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია

რედკოლეგია
გია ახალაძე
ილია ბაბუნაშვილი
გურამ თავდიშვილი
ზურაბ მეძველია
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა ჩიხლაძე
(ტექნიკური რედაქტორი)

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

ტირაჟი 5.000
ფასი სახელშეკრულებო
მისამართი: თბილისი. რუსთაველის 42. ტელეფონი: 93 16 08

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „ფრანს ფუტბოლის" 1992 წლის რეფერენდუმის პირველი ათეული



2 ხრისტო სტოიჩკოვი
ბულგარეთი. „ბარსელონა"



3 დენის ბერხკამპი
ჰოლანდია. „აიაქსი"



4 თომას ჰესლერი
გერმანია. „რომა"



5 პეტერ შმაიხელი
დანია. „მანჩესტერ იუნაიტედი"



6 ბრიან ლაუდრუპი
დანია. „ფიორენტინა"



7 მიქაელ ლაუდრუპი
დანია. „ბარსელონა"



8 რონალდ კუმანი
ჰოლანდია. „ბარსელონა"



9 შტეფან შაპუიზა
შვეიცარია. „დორტმუნდი"



10 ფრანკ რაიკაარდი
ჰოლანდია. „მილანი"



10 ენცო შიფო
ბელგია. „ტორინო"

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრწყინვალე მარკო

„ფრანს ფუტბოლის" რეფერენდუმი არაფრით ჰგავს ამერიკის პრეზიდენტის არჩევას. ბევრს მოსწონდა რეიგანი, მაგრამ კანონით მესამე ვადით კანდიდატადაც კი ვერ დაასახელეს. ვან ბასტენი კი სამწლიანი შესვენების შემდეგ კვლავ ევროპის „ფეხბურთელების პრეზიდენტად" აირჩიეს! 20 დეკემბერს ტელეკომპანია TF1-ის სპორტულ გადაცემაში სტუდიაში მარკოს უკვე მესამე „ოქროს ბურთი" გადაეცა... რომელიც სილვიო ბერლუსკონის სახლში (ან ოფისში) დაიდებს ბინას. „პირველი მამაჩემს

## მესამედ და ალბათ არც უკანასკნელად

ვაჩუქე, მეორე ჩვენს მილანურ ვილაშია, ამას კი სილვიოს, ჩემს მეორე მამას ვაჩუქებ. ეს „ოქროს ბურთი" სწორედ მისი და „მილანის" დამსახურებაა" — განაცხადა სტუდიაში „მილანისა" და ჰოლანდიის ნაკრების 28 წლის ცენტრფორვარდმა. ბერლუსკონიმ ვან ბასტენი მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელიდან („ვორლდ სოკერის", პორტუგალიური „ბოლას" და ფიფა-ს გამოკითხვებით) მსოფლიოში ყველაზე მაღალხელფასიან ფეხბურთელად აქცია. ნოემბერში „მილანთან" კონტრაქტი ვან ბასტენმა 1996 წლამდე გააგრძელა და ეს მას წელიწადში 5 მილიონ 250 ათას დოლარს მოუტანს. ეს პროცედურა „გოიტებორგის" კარში ოთხი გატანილი ბურთიდან რამდენიმე დღის შემდეგ მოხდა. უნდა ითქვას, რომ ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ მარკო ევროტურნირების ერთ-ერთ მატჩში გოლების ფეიერვერკს აწყობს: 1984 წელს „რედ ბოიზს" 5 გოლი გაუტანა, 1988-ში სოფიის „ვიტოშას" — ოთხი და აი, ოთხი გოლი შვედური რაკეტის კარში. და თუ მანამდე ბევრი სპეციალისტი ხრისტო სტოიჩკოვს აძლევდა უპირატესობას, „გოიტებორგის" შემდეგ ეჭვი არავის გაჩნდა.

უკმაყოფილო მხოლოდ სტოიჩკოვი დარჩა: ვან ბასტენი მსოფლიოში საუკეთესო ფეხბურთელია, მაგრამ „ოქროს ბურთი" წელს მე მეკუთვნოდაო. შეიძლება მართლაც ასე იყოს, მაგრამ რა დასამალია, ქრისტეშობის წლის ბოლოს პერიპეტიები უფრო მოქმედებენ და ამიტომაც მარკომ „ჭკუა იხმარა": იმ დროს, როცა მთელი სეზონის მანძილზე ბრწყინვალედ მოთამაშე „ბარსელონა" და სტოიჩკოვი ნოემბერ-დეკემბერში მოსკოველ „სპარტაკთან" და ბრაზილიელ ქსიმეას ძმებთან აგებდნენ, მანამდე „ჩრდილში" მყოფი (ევროპის ჩემპიონატს ვგულისხმობ, თორემ იტალიის ჩემპიონატის ბომბარდირობა, თანაც 25 გოლით, ჩრდილში კი არა, გავარვარებულ მზეზე ჯდომას უტოლდება) ვან ბასტენი მაშინ „ამუშავდა" და შედეგიც სახეზეა.

ჯერჯერობით, ევროპის სამგზის საუკეთესო არ თამაშობს. პროფესორ მარტის კლინიკაში (რომელიც შვეიცარიაში, სანქტ-მორიცში მდებარეობს) შემოწმების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ქირურგიული ჩარევა იყო საჭირო თავი კვლავ მარჯვენა ფეხის კოჭმა შეახსენა (ჩვენმა პრესამ ვან ბასტენის კეხის (!) ოპერაცია გაუკეთა). მარკო მოედანზე მხოლოდ მარტის ბოლოსთვის თუ გამოვა, ხოლო თუ როგორ თამაშობს ის ამჯერად დასვენების შემდეგ, ეს 1988 წელსაც მშვენივრად დაგვანახა. არადა, ის ამჟამად ძალიან სჭირდება ჰოლანდიის ნაკრებს, რომელსაც დიდი ბრძოლა ელის ამერიკაში წასასვლელად. „ჰოლანდიამ 1994 წლის ჩემპიონატი უნდა მოიგოს, მე მხოლოდ მაშინ დავწყნარდები" — ამბობს მარკო, რომელიც არასდროს წყნარდება. თუმცა ყველა: როგორც ამბობენ, შინაურები — მეგობარი გოგონა (ფაქტიურად ცოლი) ლისბეტი და ორი შვილი მას წყნარ მეოჯახედ იცნობენ. „ლისბეტი დიდებული მეგობარი და ბრწყინვალე დედაა" — თქვა ამას წინათ მარკომ. სიტყვა ოჯახზე ჩამოვარდა და ბარემ მარკოს მშობლებზეც ვიტყვი: დედამისი მეშვიდე წელია, ლოგინად ნახევრადაა, მამა კი მშობლიურ უტრეხტში სანაქებო შვილის მუზეუმს პატრონობს.

პირველი ათეულის გარდა, „ფრანს ფუტბოლის" ბოლო გამოკითხვაში მოხსენიებული არიან:

**ულემინგ პოვლსენი**
დანია. „დორტმუნდი"
**ჰენრიკ ლარსენი**
დანია. „პიზა"
**იონ იენსენი**
დანია. „არსენალი"
**პაოლო მალდინი**
იტალია. „მილანი"
**ჰენრიკ ანდერსენი**
დანია. „კიოლნი"
**თომას ბროლინი**
შვედეთი. „პარმა"
**ჟან-პიერ პაპენი**
საფრანგეთი. „მილანი"
**ფრანკო ბარეზი**
იტალია. „მილანი"
**რუნე ბრატსეტი**
ნორვეგია. „ვერდერი"
**ანდრეას ჰერცოგი**
ავსტრია. „ვერდერი"



GUERIN SPORTIVO

### მარკო ვან ბასტენი

დაიბადა 1964 წლის 31 ოქტომბერს უტრეხტში.
სიმაღლე 188 სმ. წონა 80 კგ.
1982-87 — „აიაქსი", 1987 წლიდან — „მილანი"

ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი — 1988, 89, 92
ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი — 1988
ევროპის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელი — 1987

ევროპის „ოქროს ბუცის" მფლობელი — 1986
ევროპის „ვერცხლის ბუცის" მფლობელი — 1984
ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი — 1988
ჰოლანდიის საუკეთესო ბომბარდირი — 1984, 85, 87
იტალიის საუკეთესო ბომბარდირი — 1990, 92

ევროპის ჩემპიონი — 1988
ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი — 1989, 90
ევროპის თასების თასის მფლობელი — 1987
ევროპის სუპერთასის მფლობელი — 1989, 90
საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი — 1989, 90
ჰოლანდიის ჩემპიონი — 1983, 85
ჰოლანდიის თასის მფლობელი — 1983, 86, 87
იტალიის ჩემპიონი — 1988, 92

გატანილი აქვს:
ჰოლანდიის ჩემპიონატში — 128 გოლი
ჰოლანდიის თასზე — 20
იტალიის ჩემპიონატში — 89
იტალიის თასზე — 13
ევროპულ ტურნირებში — 29 („აიაქსი"-11, „მილანი"-18)
ევროპის სუპერთასზე — 1
იტალიის სუპერთასზე — 2
ჰოლანდიის ნაკრებში — 24
სულ — 306 გოლი 421 მატჩში

ჰოლანდიის ეროვნულ ნაკრებში ჩაატარა 58 მატჩი
დებიუტი — 7.09.1983 ისლანდიასთან (3:0)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 1956

# სტენლი მეთიუზი

ინგლისი.
„ბლეკპული“
დაიბადა 1.02.1915



2. ალფრედო დი სტეფანო
ესპანეთი, არგენტინა. „რეალ მადრიდი“
3. რაიმონ კოპა
საფრანგეთი. „სტად დე რეიმსი“
4. ფერენც პუშკაში
უნგრეთი. „ჰონვედი“
5. ლევ იაშინი
სსრკ. „დინამო“ მოსკოვი
6. იოზეფ ბოჟიკი
უნგრეთი. „ჰონვედი“
7. ერნსტ ოცვირკი
ავსტრია. „აუსტრია“ ვენა
8. შანდორ კოჩიში
უნგრეთი. „ჰონვედი“
9. ტედი ჩისოვსკი
საფრანგეთი. „რესინგი“
ივან კოლევი
ბულგარეთი. ც.დ.ნ.ა.
უილიამ რაიტი
ინგლისი. „ვულვერჰემპტონი“

## 1957

# ალფრედო დი სტეფანო

ესპანეთი.
„რეალ მადრიდი“
დაიბადა 4.07.1926



2. უილიამ რაიტი
ინგლისი. „ვულვერჰემპტონი“
3. რაიმონ კოპა
საფრანგეთი. „რეალ მადრიდი“
4. დანკან ედვარდსი
ინგლისი. „მანჩესტერ იუნაიტედი“
5. ლადისლაო კუბალა
უნგრეთი, ჩეხოსლოვაკია, ესპანეთი. „ბარსელონა“
6. ჯონ ჩარლზი
უელსი. „იუვენტუსი“
7. ედუარდ სტრელცოვი
სსრკ. „ტორპედო“ მოსკოვი
8. ტომას ტეილორი
ინგლისი. „მანჩესტერ იუნაიტედი“
9. იოზეფ ბოჟიკი
უნგრეთი. „ჰონვედი“
იგორ ნეტო
სსრკ. „სპარტაკი“ მოსკოვი

## 1958

# რაიმონ კოპა

საფრანგეთი.
„რეალ მადრიდი“
დაიბადა 13.10.1931



2. ჰელმუტ რანი
გფრ. „როტ ვაისი“
3. ჟიუსტ ფონტენი
საფრანგეთი. „სტად დე რეიმსი“
4. ჯონ ჩარლზი
უელსი. „იუვენტუსი“
კურტ ჰამრინი
შვედეთი. „ფიორენტინა“
6. უილიამ რაიტი
ინგლისი. „ვულვერჰემპტონი“
7. ჯონ ჰეინსი
ინგლისი. „ფულჰემი“
8. ნილს ლიდჰოლმი
შვედეთი. „მილანი“
ჰარი გრეგი
ჩრდ. ირლანდია. „მანჩესტერ იუნ.“
ჰორსტ შიმანიაკი
გფრ. „ვუპერტალი“

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 1959

# ალფრედო დი სტეფანო

ესპანეთი.
„რეალ მადრიდი“
დაიბადა 4.07.1926



2. რაიმონ კოპა
საფრანგეთი. „სტად დე რეიმსი“
3. ჯონ ჩარლზი
უელსი. „იუვენტუსი“
4. ლუის სუარესი
ესპანეთი. „ბარსელონა“
5. აგნე სიმონსონი
შვედეთი. „ორგრიტე“
6. ლაიოშ ტიხი
უნგრეთი. „ჰონვედი“
7. ფერენც პუშკაში
უნგრეთი, ესპანეთი. „რეალ მადრიდი“
8. ფრანსისკო ხენტო
ესპანეთი. „რეალ მადრიდი“
9. ჰელმუტ რანი
გფრ. „კიოლნი“
10. ჰორსტ შიმანიაკი
გფრ. „კარლსრუე“

## 1960

# ლუის სუარესი

ესპანეთი.
„ბარსელონა“
დაიბადა 2.05.1935



2. ფერენც პუშკაში
უნგრეთი, ესპანეთი. „რეალ მადრიდი“
3. უვე ზეელერი
გფრ. „ჰამბურგი“
4. ალფრედო დი სტეფანო
ესპანეთი, არგენტინა. „რეალ მადრიდი“
5. ლევ იაშინი
სსრკ. „დინამო“ მოსკოვი
6. რაიმონ კოპა
საფრანგეთი. „სტად დე რეიმსი“
7. ჯონ ჩარლზი
უელსი. „იუვენტუსი“
ბობი ჩარლტონი
ინგლისი. „მანჩესტერ იუნაიტედი“
9. ომარ სივორი
იტალია, არგენტინა. „იუვენტუსი“
ჰორსტ შიმანიაკი
გფრ. „კარლსრუე“

## 1961

# ომარ სივორი

იტალია.
„იუვენტუსი“
დაიბადა 2.10.1935



2. ლუის სუარესი ესპანეთი. „ინტერი“
3. ჯონ ჰეინსი ინგლისი. „ფულჰემი“
4. ლევ იაშინი სსრკ. „დინამო“ მოსკ.
5. ფერენც პუშკაში
უნგრეთი, ესპანეთი. „რეალ მადრიდი“
6. უვე ზეელერი გფრ. „ჰამბურგი“
ალფრედო დი სტეფანო
ესპანეთი, არგენტინა. „რეალ მადრიდი“
8. ჯონ ჩარლზი უელსი. „იუვენტუსი“
9. ფრანსისკო ხენტო
ესპანეთი. „რეალ მადრიდი“
10. ჟოზე აგუაში პორტუგ. „ბენფიკა“
ბობი ჩარლტონი
ინგლისი. „მანჩესტერ იუნაიტედი“
დიულა გროშიჩი უნგრ. „ტატაბანია“
გერჰარდ ჰანაპი ავსტრია. „რაპიდი“
იოზეფ მასოპუსტი
ჩეხოსლოვაკია. „დუკლა“ პრაღა
ხოსე ემილიო სანტამარია
ესპანეთი, ურუგვაი. „რეალ მადრიდი“
დრაგოსლავ შეკულარაცი
იუგოსლავია. „ცრვენა ზვეზდა“

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 1962

## იოზეფ მასოპუსტი

ჩეხოსლოვაკია.
„დუკლა" პრაღა
დაიბადა 8.02.1931



2. ეუსებიო
პორტუგალია. „ბენფიკა"
3. კარლ-ჰაინც შნელინგერი
გფრ. „მილანი"
4. დრაგოსლავ შეკულარაცი
იუგოსლავია. „ცრვენა ზვეზდა"
5. ჟოზეფ ჟურიონი
ბელგია. „ანდერლეხტი"
6. ჯანი რივერა
იტალია. „მილანი"
7. ჯიმი გრივსი
ინგლისი. „ტოტენჰემ ჰოთსპური"
8. ჯონ ჩარლზი
უელსი. „რომა"
მილან გალიჩი
იუგოსლავია. „პარტიზანი"
10. იანოშ დოროში
უნგრეთი. „უიპეშტ დოჟა"

# 1963

## ლევ იაშინი

სსრკ.
„დინამო" მოსკოვი
დაიბადა 22.10.1929



2. ჯანი რივერა
იტალია. „მილანი"
3. ჯიმი გრივსი
ინგლისი. „ტოტენჰემ ჰოთსპური"
4. დენის ლოუ
შოტლანდია. „მანჩესტერ იუნაიტედი"
5. ეუსებიო
პორტუგალია. „ბენფიკა"
6. კარლ-ჰაინც შნელინგერი
გფრ. „მანტოვა"
7. უვე ზეელერი
გფრ. „ჰამბურგი"
8. ლუის სუარესი
ესპანეთი. „ინტერი"
ჯოვანი ტრაპატონი
იტალია. „მილანი"
ბობი ჩარლტონი
ინგლისი. „მანჩესტერ იუნაიტედი"

# 1964

## დენის ლოუ

შოტლანდია.
„მანჩესტერ იუნაიტედი"
დაიბადა 24.02.1940



2. ლუის სუარესი
ესპანეთი. „ინტერი"
3. ამარო ამანსიო
ესპანეთი. „რეალ მადრიდი"
4. ეუსებიო
პორტუგალია. „ბენფიკა"
5. პოლ ვან ჰიმსტი
ბელგია. „ანდერლეხტი"
6. ჯიმი გრივსი
ინგლისი. „ტოტენჰემ ჰოთსპური"
7. მარიო კორსო
იტალია. „ინტერი"
8. ლევ იაშინი
სსრკ. „დინამო" მოსკოვი
9. ჯანი რივერა
იტალია. „მილანი"
10. ვალერი ვორონინი
სსრკ. „ტორპედო" მოსკოვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 1965

### ეუსებიო

პორტუგალია.
„ბენფიკა"
დაიბადა 25.01.1942



2. ჯაჩინტო ფაკეტი
   იტალია. „ინტერი"
3. ლუის სუარესი
   ესპანეთი. „ინტერი"
4. პოლ ვან ჰიმსტი
   ბელგია. „ანდერლეხტი"
5. ბობი ჩარლტონი
   ინგლისი. „მანჩესტერ იუნაიტედი"
6. ფლორიან ალბერტი
   უნგრეთი. „ფერენცვაროში"
7. ჯანი რივერა
   იტალია. „მილანი"
8. გიორგი ასპარუხოვი
   ბულგარეთი. „ლევსკი"
   სანდრო მაცოლა
   იტალია. „ინტერი"
   ვალერი ვორონინი
   სსრკ. „ტორპედო" მოსკოვი

## 1966

### ბობი ჩარლტონი

ინგლისი.
„მანჩესტერ იუნაიტედი"
დაიბადა 11.10.1937



2. ეუსებიო
   პორტუგალია. „ბენფიკა"
3. ფრანც ბეკენბაუერი
   გფრ. „ბაიერნი"
4. ბობი მური
   ინგლისი. „ვესტ ჰემ იუნაიტედი"
5. ფლორიან ალბერტი
   უნგრეთი. „ფერენცვაროში"
6. ფერენც ბენე
   უნგრეთი. „უიპეშტ დოჟა"
7. ლევ იაშინი
   სსრკ. „დინამო" მოსკოვი
   ალან ბოლი
   ინგლისი. „ევერტონი"
   იანოშ ფარკაში
   უნგრეთი. „ვაშაში"
10. ჟოზე ტორესი
   პორტუგალია. „ბენფიკა"

## 1967

### ფლორიან ალბერტი

უნგრეთი.
„ფერენცვაროში"
დაიბადა 15.09.1941



2. ბობი ჩარლტონი
   ინგლისი. „მანჩესტერ იუნაიტედი"
3. ჯეიმს ჯონსტონი
   შოტლანდია. „სელტიკი"
4. ფრანც ბეკენბაუერი
   გფრ. „ბაიერნი"
5. ეუსებიო
   პორტუგალია. „ბენფიკა"
6. ტომას ჯემელი
   შოტლანდია. „სელტიკი"
7. გერდ მიულერი
   გფრ. „ბაიერნი"
8. ჯორჯ ბესტი
   ჩრდ. ირლანდია. „მანჩესტერ იუნ."
9. იგორ ჩისლენკო
   სსრკ. „დინამო" მოსკოვი
10. იანოშ ფარკაში
   უნგრეთი. „ვაშაში"
   სანდრო მაცოლა
   იტალია. „ინტერი"
   ხოსე მარტინეს პირი
   ესპანეთი. „რეალ მადრიდი"

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 1968

## ჯორჯ ბესტი

ჩრდილოეთ ირლანდია.
„მანჩესტერ იუნაიტედი"
დაიბადა 22.05.1946



2. ბობი ჩარლტონი
ინგლისი. „მანჩესტერ იუნაიტედი"
3. დრაგან ჯაიჩი
იუგოსლავია. „ცრვენა ზვეზდა"
4. ფრანც ბეკენბაუერი
გფრ. „ბაიერნი"
5. ჯაჩინტო ფაკეტი
იტალია. „ინტერი"
6. ლუიჯი რივა
იტალია. „კალიარი"
7. ამარო ამანსიო
ესპანეთი. „რეალ მადრიდი"
8. ეუსებიო
პორტუგალია. „ბენფიკა"
9. ჯანი რივერა
იტალია. „მილანი"
10. ჯიმი გრივსი
ინგლისი. „ტოტენჰემ ჰოთსპური"
ხოსე მარტინეს პირი
ესპანეთი. „რეალ მადრიდი"

# 1969

## ჯანი რივერა

იტალია.
„მილანი"
დაიბადა 18.08.1943



2. ლუიჯი რივა
იტალია. „კალიარი"
3. გერდ მიულერი
გფრ. „ბაიერნი"
4. იოჰან კრუიფი
ჰოლანდია. „აიაქსი"
ოვე კინდვალი
შვედეთი. „ფეიენოორდი"
6. ჯორჯ ბესტი
ჩრდ. ირლანდია. „მანჩესტერ იუნ."
7. ფრანც ბეკენბაუერი
გფრ. „ბაიერნი"
8. პიერო პრატი
იტალია. „მილანი"
9. პეტარ ჟეკოვი
ბულგარეთი. ც.დ.ნ.ა.
10. ჯეკი ჩარლტონი
ინგლისი. „ლიდს იუნაიტედი"

# 1970

## გერდ მიულერი

გფრ.
„ბაიერნი"
დაიბადა 3.11.1945



2. ბობი მური
ინგლისი. „ვესტ ჰემ იუნაიტედი"
3. ლუიჯი რივა იტალია. „კალიარი"
4. ფრანც ბეკენბაუერი
გფრ. „ბაიერნი"
5. ვოლფგანგ ოვერატი გფრ. „კიოლნი"
6. დრაგან ჯაიჩი
იუგოსლავია. „ცრვენა ზვეზდა"
7. იოჰან კრუიფი
ჰოლანდია. „აიაქსი"
8. გორდონ ბენქსი
ინგლისი. „სტოკ სიტი"
9. სანდრო მაცოლა
იტალია. „ინტერი"
10. რინუს ისრაელი
ჰოლანდია. „ფეიენოორდი"
ჯანი რივერა
იტალია. „მილანი"
უვე ზეელერი
გფრ. „ჰამბურგი"
ალბერტ შესტერნიოვი
სსრკ. „ტორპედო" მოსკოვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 1971

### იოჰან კრუიფი

ჰოლანდია.
„აიაქსი“
დაიბადა 25.04.1947



2. სანდრო მაცოლა
იტალია. „ინტერი“
3. ჯორჯ ბესტი
ჩრდ. ირლანდია. „მანჩესტერ იუნ.“
4. გიუნტერ ნეცერი
გფრ. „ბორუსია“ მიონჰენგლადბახი
5. ფრანც ბეკენბაუერი
გფრ. „ბაიერნი“
6. გერდ მიულერი
გფრ. „ბაიერნი“
იოსიფ სკობლარი
იუგოსლავია. „მარსელი“
8. მარტინ ჩივერსი
ინგლისი. „ტოტენჰემ ჰოთსპური“
9. პიტ კაიზერი
ჰოლანდია. „აიაქსი“
10. ფერენც ბენე
უნგრეთი. „უიპეშტ დოჟა“
ბობი მური
ინგლისი. „ვესტ ჰემ იუნაიტედი“

## 1972

### ფრანც ბეკენბაუერი

გფრ.
„ბაიერნი“
დაიბადა 11.09.1945



2. გერდ მიულერი
გფრ. „ბაიერნი“
გიუნტერ ნეცერი
გფრ. „ბორუსია“ მიონჰენგლადბახი
4. იოჰან კრუიფი
ჰოლანდია. „აიაქსი“
5. პიტ კაიზერი
ჰოლანდია. „აიაქსი“
6. კაზიმეჟ დეინა
პოლონეთი. „ლეგია“
7. გორდონ ბენქსი
ინგლისი. „სტოკ სიტი“
ბარი ჰულსჰოფი
ჰოლანდია. „აიაქსი“
ვლოდზიმეჟ ლიუბანსკი
პოლონეთი. „გურნიკი“
ბობი მური
ინგლისი. „ვესტ ჰემ იუნაიტედი“

## 1973

### იოჰან კრუიფი

ჰოლანდია.
„ბარსელონა“
დაიბადა 25.04.1947



2. დინო ძოფი
იტალია. „იუვენტუსი“
3. გერდ მიულერი
გფრ. „ბაიერნი“
4. ფრანც ბეკენბაუერი
გფრ. „ბაიერნი“
5. ბილ ბრემნერი
შოტლანდია. „ლიდს იუნაიტედი“
6. კაზიმეჟ დეინა
პოლონეთი. „ლეგია“
7. ეუსებიო
პორტუგალია. „ბენფიკა“
8. ჯანი რივერა
იტალია. „მილანი“
9. რალფ ედსტრიომი
შვედეთი. „ეინდჰოვენი“
10. გიუნტერ ნეცერი
გფრ. „რეალ მადრიდი“

## 1974

### იოჰან კრუიფი

ჰოლანდია.
„ბარსელონა“
დაიბადა 25.04.1947



2. ფრანც ბეკენბაუერი
გფრ. „ბაიერნი“
3. კაზიმეჟ დეინა
პოლონეთი. „ლეგია“
4. პაულ ბრაიტნერი
გფრ. „ბაიერნი“
5. იოჰან ნეესკენსი
ჰოლანდია. „ბარსელონა“
6. გრჟეგოჟ ლატო
პოლონეთი. „სტალი“
7. გერდ მიულერი
გფრ. „ბაიერნი“
8. რობერტ გადოხა
პოლონეთი. „ლეგია“
9. ბილ ბრემნერი
შოტლანდია. „ლიდს იუნაიტედი“
10. რალფ ედსტრიომი
შვედეთი. „ეინდჰოვენი“
იურგენ შპარვასერი
გდრ. „მაგდებურგი“

## 1975

### ოლეგ ბლოხინი

სსრკ.
„დინამო“ კიევი
დაიბადა 5.09.1952



2. ფრანც ბეკენბაუერი
გფრ. „ბაიერნი“
3. იოჰან კრუიფი
ჰოლანდია. „ბარსელონა“
4. ბერტი ფოგტსი
გფრ. „ბორუსია“ მიონჰენგლადბახი
5. ზეპ მაიერი
გფრ. „ბაიერნი“
6. რუუდ გეელსი
ჰოლანდია. „აიაქსი“
7. იოზეფ ჰაინკესი
გფრ. „ბორუსია“ მიონჰენგლადბახი
8. პაულ ბრაიტნერი
გფრ. „რეალ მადრიდი“
9. კოლინ ტოდი
ინგლისი. „დერბი ქაუნთი“
10. დუდუ ჯორჯესკუ
რუმინეთი. „დინამო“ ბუქარესტი

## 1976

### ფრანც ბეკენბაუერი

გფრ.
„ბაიერნი“
დაიბადა 11.09.1945



2. რობ რენსენბრინკი
ჰოლანდია. „ანდერლეხტი“,
3. ივო ვიქტორი
ჩეხოსლოვაკია. „დუკლა“ პრაღა
4. კევინ კიგანი
ინგლისი. „ლივერპული“
5. მიშელ პლატინი
საფრანგეთი. „ნანსი“
6. ანტონ ონდრუში
ჩეხოსლოვაკია. „სლოვანი“
7. იოჰან კრუიფი
ჰოლანდია. „ბარსელონა“
8. ივან ჯურკოვიჩი
იუგოსლავია. „სენტ-ეტიენი“
9. რაინერ ბონჰოფი
გფრ. „ბორუსია“ მიონჰენგლადბახი
მარიან მასნი
ჩეხოსლოვაკია. „სლოვანი“
გერდ მიულერი
გფრ. „ბაიერნი“

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 1977

# ალან სიმონსენი

დანია.
„ბორუსია" მიონჰენგლადბახი
დაიბადა 15.12.1953



2. კევინ კიგანი
ინგლისი. „ლივერპული"
3. მიშელ პლატინი
საფრანგეთი. „ნანსი"
4. რობერტო ბეტეგა
იტალია. „იუვენტუსი"
5. იოჰან კრუიფი
ჰოლანდია. „ბარსელონა"
6. კლაუს ფიშერი
გფრ. „შალკე-04"
7. ტიბორ ნილაში
უნგრეთი. „ფერენცვაროში"
8. რობ რენსენბრინკი
ჰოლანდია. „ანდერლეხტი"
9. დუდუ ჯორჯესკუ
რუმინეთი. „დინამო" ბუქარესტი
10. ემლინ ჰიუზი
ინგლისი. „ლივერპული"
სტივ ჰეივეი
ირლანდია. „ლივერპული"
ბერტი ფოგტსი
გფრ. „ბორუსია" მიონჰენგლადბახი

## 1978

# კევინ კიგანი

ინგლისი.
„ჰამბურგი"
დაიბადა 14.02.1951



2. ჰანს კრანკლი
ავსტრია. „ბარსელონა"
3. რობ რენსენბრინკი
ჰოლანდია. „ანდერლეხტი"
4. რობერტო ბეტეგა
იტალია. „იუვენტუსი"
5. პაოლო როსი
იტალია. „პერუჯა"
6. რონი ჰელსტრიომი
შვედეთი. „კაიზერსლაუტერნი"
რუუდ კროლი
ჰოლანდია. „აიაქსი"
8. კენი დალგლიში
შოტლანდია. „ლივერპული"
ალან სიმონსენი
დანია. „ბორუსია" მიონჰენგლადბახი
10. პიტერ შილტონი
ინგლისი. „ნოტინგემ ფორესტი"

## 1979

# კევინ კიგანი

ინგლისი.
„ჰამბურგი"
დაიბადა 14.02.1951



2. კარლ-ჰაინც რუმენიგე
გფრ. „ბაიერნი"
3. რუუდ კროლი
ჰოლანდია. „აიაქსი"
4. მანფრედ კალცი
გფრ. „ჰამბურგი"
5. მიშელ პლატინი
საფრანგეთი. „სენტ-ეტიენი"
6. პაოლო როსი
იტალია. „პერუჯა"
7. ლაიამ ბრეიდი
ირლანდია. „არსენალი"
ტრევორ ფრენსისი
ინგლისი. „ნოტინგემ ფორესტი"
9. ზბიგნევ ბონეკი
პოლონეთი. „ვიძევი"
ზდენეკ ნეჰოდა
ჩეხოსლოვაკია. „დუკლა" პრაღა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 1980

### კარლ-ჰაინც რუმენიგე

გფრ.
„ბაიერნი“
დაიბადა 25.09.1955



2. ბერნდ შუსტერი
გფრ. „ბარსელონა“
3. მიშელ პლატინი
საფრანგეთი. „სენტ-ეტიენი“
4. ვილფრიდ ვან მური
ბელგია. „ბევერენი“
5. იან კულემანსი
ბელგია. „ბრიუგე“
6. ჰორსტ ჰრუბეში
გფრ. „ჰამბურგი“
7. ჰერბერტ პროხაზკა
ავსტრია. „ინტერი“
8. ლაიამ ბრეიდი
ირლანდია. „იუვენტუსი“
ჰანს მიულერი
გფრ. „შტუტგარტი“
10. მანფრედ კალცი
გფრ. „ჰამბურგი“

## 1981

### კარლ-ჰაინც რუმენიგე

გფრ.
„ბაიერნი“
დაიბადა 25.09.1955



2. პაულ ბრაიტნერი
გფრ. „ბაიერნი“
3. ბერნდ შუსტერი
გფრ. „ბარსელონა“
4. მიშელ პლატინი
საფრანგეთი. „სენტ-ეტიენი“
5. ოლეგ ბლოხინი
სსრკ. „დინამო“ კიევი
6. დინო ძოფი
იტალია. „იუვენტუსი“
7. რამაზ შენგელია
სსრკ. „დინამო“ თბილისი
8. ალექსანდრე ჩივაძე
სსრკ. „დინამო“ თბილისი
9. ლაიამ ბრეიდი
ირლანდია. „იუვენტუსი“
10. ჯონ უარკი
შოტლანდია. „იფსვიჩ თაუნი“

## 1982

### პაოლო როსი

იტალია.
„იუვენტუსი“
დაიბადა 23.09.1956



2. ალენ ჟირესი
საფრანგეთი. „ბორდო“
3. ზბიგნევ ბონეკი
პოლონეთი. „იუვენტუსი“
4. ბრუნო კონტი
იტალია. „რომა“
5. კარლ-ჰაინც რუმენიგე
გფრ. „ბაიერნი“
6. რინატ დასაევი
სსრკ. „სპარტაკი“ მოსკოვი
7. პიერ ლიტბარსკი
გფრ. „კიოლნი“
8. დინო ძოფი
იტალია. „იუვენტუსი“
9. მიშელ პლატინი
საფრანგეთი. „იუვენტუსი“
10. ბერნდ შუსტერი
გფრ. „ბარსელონა“

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 1983

### მიშელ პლატინი

საფრანგეთი.
„იუვენტუსი“
დაიბადა 21.06.1955



2. კენი დალგლიში
შოტლანდია. „ლივერპული“
3. ალან სიმონსენი
დანია. „ვეილე“
4. გორდონ სტრაჩანი
შოტლანდია. „აბერდინი“
5. ფელიქს მაგათი
გფრ. „ჰამბურგი“
6. რინატ დასაევი
სსრკ. „სპარტაკი“ მოსკოვი
ჟან-მარი პფაფი
ბელგია. „ბაიერნი“
8. კარლ-ჰაინც რუმენიგე
გფრ. „ბაიერნი“
იესპერ ოლსენი
დანია. „აიაქსი“
10. ბრაიან რობსონი
ინგლისი. „მანჩესტერ იუნაიტედი“

## 1984

### მიშელ პლატინი

საფრანგეთი.
„იუვენტუსი“
დაიბადა 21.06.1955



2. ჟან ტიგანა
საფრანგეთი. „ბორდო“
3. პრებენ ელკიაერ ლარსენი
დანია. „ჰელასი“ ვერონა
4. იან რაში
უელსი. „ლივერპული“
5. ფერნანდო შალანა
პორტუგალია. „ბორდო“
6. გრემ სუნესი
შოტლანდია. „სამპდორია“
7. ჰარალდ შუმახერი
გფრ. „კიოლნი“
8. კარლ-ჰაინც რუმენიგე
გფრ. „ინტერი“
9. ალან ჟირესი
საფრანგეთი. „ბორდო“
10. ბრაიან რობსონი
ინგლისი. „მანჩესტერ იუნაიტედი“

## 1985

### მიშელ პლატინი

საფრანგეთი.
„იუვენტუსი“
დაიბადა 21.06.1955



2. პრებენ ელკიაერ ლარსენი
დანია. „ჰელასი“ ვერონა
3. ბერნდ შუსტერი
გფრ. „ბარსელონა“
4. მიქაელ ლაუდრუპი
დანია. „იუვენტუსი“
5. კარლ-ჰაინც რუმენიგე
გფრ. „ინტერი“
6. ზბიგნევ ბონეკი
პოლონეთი. „რომა“
7. ოლეგ პროტასოვი
სსრკ. „დნეპრი“
8. ჰანს-პეტერ ბრიგელი
გფრ. „ჰელასი“ ვერონა
9. რინატ დასაევი
სსრკ. „სპარტაკი“ მოსკოვი
ბრაიან რობსონი
ინგლისი. „მანჩესტერ იუნაიტედი“

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 1986

## იგორ ბელანოვი

სსრკ.
„დინამო“ კიევი
დაიბადა 25.09.1960



2. გარი ლინეკერი
ინგლისი. „ბარსელონა“
3. ემილიო ბუტრაგენიო
ესპანეთი. „რეალ მადრიდი“
4. მანუელ ამორო
საფრანგეთი. „მონაკო“
5. პრებენ ელკიაერ ლარსენი
დანია. „ჰელასი“ ვერონა
6. იან რაში
უელსი. „ლივერპული“
7. ალექსანდრე ზავაროვი
სსრკ. „დინამო“ კიევი
8. მარკო ვან ბასტენი
ჰოლანდია. „აიაქსი“
ჰელმუტ დუკადამი
რუმინეთი. „სტიაუა“
10. ალესანდრო ალტობელი
იტალია. „ინტერი“

# 1987

## რუუდ გულიტი

ჰოლანდია.
„მილანი“
დაიბადა 1.09.1962



2. პაულო ფუტრე
პორტუგალია. „ატლეტიკო“ მადრიდი
3. ემილიო ბუტრაგენიო
ესპანეთი. „რეალ მადრიდი“
4. მიგელ გონსალეს მიჩელი
ესპანეთი. „რეალ მადრიდი“
5. გარი ლინეკერი
ინგლისი. „ბარსელონა“
6. მარკო ვან ბასტენი
ჰოლანდია. „აიაქსი“
ჯონ ბარნსი
ინგლისი. „ლივერპული“
8. ჯანლუკა ვიალი
იტალია. „სამპდორია“
9. ბრაიან რობსონი
ინგლისი. „მანჩესტერ იუნაიტედი“
10. კლაუს ალოფსი
გფრ. „მარსელი“
გლენ ჰიზენი
შვედეთი. „ფიორენტინა“

# 1988

## მარკო ვან ბასტენი

ჰოლანდია.
„მილანი“
დაიბადა 31.10.1964



2. რუუდ გულიტი
ჰოლანდია. „მილანი“
3. ფრანკ რაიკაარდი
ჰოლანდია. „მილანი“
4. ალექსეი მიხაილიჩენკო
სსრკ. „დინამო“ კიევი
5. რონალდ კუმანი
ჰოლანდია. „ეინდჰოვენი“
6. ლოთარ მათეუსი
გფრ. „ინტერი“
7. ჯანლუკა ვიალი
იტალია. „სამპდორია“
8. ფრანკო ბარეზი
იტალია. „მილანი“
იურგენ კლინსმანი
გფრ. „შტუტგარტი“
ალექსანდრე ზავაროვი
სსრკ. „იუვენტუსი“

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 1989

### მარკო ვან ბასტენი

ჰოლანდია.
„მილანი“
დაიბადა 31.10.1964



2. ფრანკო ბარეზი
იტალია. „მილანი“
3. ფრანკ რაიკაარდი
ჰოლანდია. „მილანი“
4. ლოთარ მათეუსი
გფრ. „ინტერი“
5. პიტერ შილტონი
ინგლისი. „დერბი ქაუნთი“
6. დრაგან სტოიკოვიჩი
იუგოსლავია. „ცრვენა ზვეზდა“
7. რუუდ გულიტი
ჰოლანდია. „მილანი“
8. იურგენ კლინსმანი
გფრ. „ინტერი“
გეორგ ჰაჯი
რუმინეთი. „სტიაუა“
10. ჟან-პიერ პაპენი
საფრანგეთი. „მარსელი“
მიშელ პრიუდომი
ბელგია. „მეხელენი“

## 1990

### ლოთარ მათეუსი

გფრ.
„ინტერი“
დაიბადა 21.03.1961



2. სალვატორე სკილაჩი
იტალია. „იუვენტუსი“
3. ანდრეას ბრემე
გფრ. „ინტერი“
4. პოლ გესქოინი
ინგლისი. „ტოტენჰემ ჰოთსპური“
5. ფრანკო ბარეზი
იტალია. „მილანი“
6. იურგენ კლინსმანი
გფრ. „ინტერი“
7. ენცო შიფო
ბელგია. „ოსერი“
8. რობერტო ბაჯო
იტალია. „იუვენტუსი“
9. ფრანკ რაიკაარდი
ჰოლანდია. „მილანი“
10. გვიდო ბუხვალდი
გფრ. „შტუტგარტი“

## 1991

### ჟან-პიერ პაპენი

საფრანგეთი.
„მარსელი“
დაიბადა 5.11.1963



2. ლოთარ მათეუსი
გერმანია. „ინტერი“
დარკო პანჩევი
იუგოსლავია. „ცრვენა ზვეზდა“
დეან სავიჩევიჩი
იუგოსლავია. „ცრვენა ზვეზდა“
5. რობერტ პროსინეჩკი
იუგოსლავია. „რეალ მადრიდი“
6. გარი ლინეკერი
ინგლისი. „ტოტენჰემ ჰოთსპური“
7. ჯანლუკა ვიალი
იტალია. „სამპდორია“
8. მიოდრაგ ბელოდედიჩი
იუგოსლავია. „ცრვენა ზვეზდა“
9. მარკ ჰიუზი
უელსი. „მანჩესტერ იუნაიტედი“
10. კრის უოდლი
ინგლისი. „მარსელი“

„ოქროს ბურთის“ მორიგი რეფერენდუმის შედეგმა „გოლის“ რეიტინგში ცვლილებები შეიტანა. ექვსი ქულა შეემატა ჰოლანდიელთა მარაგს, თუმცა ისინი მაინც მეხუთე ადგილზე დარჩნენ. ბულგარეთი კი სტოიჩკოვის მეორე ადგილის შედეგად მიღებული ორი ქულით ახალ წევრადაც შევიდა ჩვენს ცხრილში და ერთი მეტოქე უკან ჩამოიტოვა კიდეც. პირველ ადგილზე კი გერმანია რჩება. ამ ქვეყნის ეროვნული ნაკრების აქ წარმოდგენილი ჯემალ კახრაძის ფოტო 1979 წლის 21 ნოემბერს თბილისში, სსრკ ნაკრებთან თამაშის წინაა გადაღებული. (მარცხნიდან: რუმენიგე, ჰანსი მიულერი, ფიშერი, შუსტერი, კარლჰაინც ფიორსტერი, ნიკელი, ბრიგელი, კულმანი, კალცი, ნიგბური, დიცი). მატჩი გერმანელებმა მოიგეს 3:1, სეზონის ბოლოს კი ევროპის ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვეს.

# გოლის რეიტინგი



| ადგ. | ქვეყანა | მჩ | ეჩ | ჩთ | უთ | თთ | ოტ | სკთ | მჩა | ობ | სპთ | ეჩა | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | გერმანია | 160 | 64 | 65 | 52 | 33 | — | 5 | 7 | 55 | — | 1 | 442 |
| 2 | იტალია | 114 | 20 | 110 | 60 | 39 | 5 | 30 | — | 32 | 9 | 4 | 423 |
| 3 | ინგლისი | 35 | — | 90 | 96 | 48 | 15 | — | — | 35 | 12 | 6 | 337 |
| 4 | ესპანეთი | 10 | 32 | 100 | 84 | 48 | 5 | 10 | 2 | 25 | 3 | 4 | 323 |
| 5 | ჰოლანდია | 34 | 20 | 55 | 32 | 9 | — | 10 | — | 46 | 6 | — | 212 |
| 6 | სსრკ | 10 | 56 | — | — | 21 | 10 | — | 7 | 15 | 3 | 10 | 132 |
| 7 | საფრანგეთი | 34 | 20 | 20 | 4 | 3 | 5 | — | — | 36 | — | — | 125 |
| 8 | პორტუგალია | 12 | — | 55 | 4 | 9 | — | 5 | 10 | 11 | 3 | — | 109 |
| 9 | იუგოსლავია | 22 | 24 | 15 | 16 | — | 5 | 5 | 5 | 5 | — | 4 | 101 |
| 10 | ბელგია | 10 | 12 | 5 | 20 | 27 | 5 | — | — | — | 9 | — | 88 |
| 11 | უნგრეთი | 34 | — | — | 16 | 6 | 15 | — | — | 7 | — | 4 | 82 |
| 12 | ჩეხეთსლოვაკეთი | 34 | 20 | — | — | 6 | 5 | — | — | 5 | — | 3 | 73 |
| 13 | შვედეთი | 39 | — | 5 | 16 | — | 5 | — | — | — | — | 1 | 66 |
| 14 | შოტლანდია | — | — | 15 | 4 | 13 | — | — | — | 8 | 3 | — | 48 |
| 15 | პოლონეთი | 24 | — | — | — | 3 | 5 | — | — | 2 | — | — | 34 |
| 16 | ავსტრია | 22 | — | — | — | 6 | — | — | — | 2 | — | — | 30 |
| 17 | დანია | — | 20 | — | — | — | — | — | — | 9 | — | — | 29 |
| 18 | გდრ | — | — | — | — | 12 | 5 | — | — | — | — | 3 | 20 |
| 19 | რუმინეთი | — | — | 15 | — | — | — | — | — | — | 3 | — | 18 |
| 20 | საბერძნეთი | — | — | 5 | — | — | — | — | — | — | — | 1 | 6 |
| | ჩრდ. ირლანდია | — | — | — | — | — | — | — | — | 6 | — | — | 6 |
| 22 | ბულგარეთი | — | — | — | — | — | — | — | — | 2 | — | — | 2 |
| 23 | უელსი | — | — | — | — | — | — | — | — | 1 | — | — | 1 |

ქულების დარიცხვის სისტემა ასეთია: მსოფლიოს ჩემპიონატში (მჩ) გამარჯვებისათვის გუნდი იღებს 25 ქულას, მეორე-მეოთხე ადგილებისათვის შესაბამისად — 17, 12, 10 ქულას. ევროპის ჩემპიონობა (ეჩ) „შეფასებულია“ 20 ქულად, მეორე ადგილი — 12 ქულად. ჩემპიონთა თასის (ჩთ) მოგება იძლევა 10 ქულას, ფინალში გასვლა კი — 5 ქულას, ხოლო უეფას თასი (უთ) და თასების თასი (თთ) შესაბამისად — 8 და 4; 6 და 3 ქულას. ოლიმპიურ ტურნირში (ოტ), მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატსა (მჩა) და საკონტინენტთაშორისო თასის (სკთ) გათამაშებაში გამარჯვებულთათვის განკუთვნილია 5-5 ქულა. გარდა ამისა, მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის ფინალში გასვლა იძლევა 2 ქულას. ოქროს ბურთის (ობ) ლაურეატები შესაბამისად იღებენ 5, 2 და 1 ქულას. სუპერთასის (სპთ) მოგებისათვის 3 ქულაა. ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატში (ეჩა) გამარჯვება იძლევა 3 ქულას, მეორე ადგილი კი 1 ქულას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## REAL MADRID C. F.

# სამეფო კლუბის რეგალიები და ამბიციები

1902 წლის 9 მარტს ესპანეთის დედაქალაქ მადრიდში, პადროსების გავლენიანი საგვარეულოს მეცადინეობით დაარსდა ახალი საფეხბურთო კლუბი — „მადრიდ კლუბ დე ფუტბოლ“. მისი პირველი პრეზიდენტიც თვით კლუბის დამაარსებელი ხუან პადრასი იყო, თუმცა სულ მალე იგი მისმა ძმამ კარლოსმა შეცვალა.

ქვეყნის დედაქალაქის პირველი საფეხბურთო კლუბის დაარსება დაემთხვა, ან უფრო ზუსტად, დაამთხვიეს ესპანეთის ტახტზე ბურბონების სახელოვანი დინასტიის გამგრძელებლის მეფე ალფონს XIII ასვლას. ამან, როგორც ჩანს, გადამწყვეტი როლი ითამაშა ახლადშექმნილი კლუბის მომავალი ბედის განსაზღვრაში. ფაქტია, რომ ახალი მონარქი გულგრილი არ იყო მისი ბედის მიმართ. ეს, ალბათ, სამეფო კარზე მიღებულ პადროსთა დამსახურებაც გახლდათ და თვით გუნდისაც.

„მადრიდი“ იმთავითვე განსაკუთრებულობისთვის „განწირული“ აღმოჩნდა. იგი უკანმოუხედავად გადაეშვა საფეხბურთო მოვლენების მორევში. პრაქტიკულად დაარსებისთანავე ჩაება ალფონს XIII საპატივცემულოდ მოწყობილი „მეფის თასის“ (იგივე ესპანეთის თასის) გათამაშებაში, რომელიც 13-16 მაისს მადრიდში გაიმართა (ამ ტურნირის ერთ-ერთი ორგანიზატორი „მადრიდის“ ახალი პრეზიდენტი კარლოს პადროსი იყო). ამ ტურნირში მადრიდელებს ხელი მოეცარათ, მაგრამ შემდეგ წელს ფინალში თამაშის უფლება მიიღეს და მხოლოდ მინიმალური სხვაობით დამარცხდნენ ბილბაოს „ატლეტიკოსთან“ (მაშინ ამ კლუბს სწორედ „ატლეტიკო“ ერქვა) — 2:3.

1904 წელს კი „მადრიდმა“ მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი. იგი წარმოადგენდა თავის ქვეყანას ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის დამფუძნებელ კონგრესზე, რომელიც პარიზში ჩატარდა. ფიფას დამფუძნებელთა შორის მხოლოდ ესპანეთი იყო წარმოდგენილი საკლუბო გუნდით. დანარჩენი ექვსი ქვეყანა (ბელგია, ჰოლანდია, საფრანგეთი, შვეიცარია, ავსტრია, საფრანგეთი) კი — ეროვნული ფედერაციებით.

ამ არაორდინალურმა მოვლენამ თითქოს კლუბის სპორტულ მიღწევებსაც მისცა ბიძგი. 1905 წელს დაიწყო „მადრიდის“ ოთხი გამარჯვებისგან შემდგარი სერია იმ დროს ერთადერთი და უკვე ძალიან პოპულარული ტურნირის „მეფის თასის“ გათამაშებებში. ეს შედეგი დღემდე დარჩა რეკორდად, რომლის მხოლოდ გამეორება მოახერხა (1930-33 წლები) იმ ფეხბურთელებით დაკომპლექტებულმა ბილბაოს „ატლეტიკომ“, რომელთაგან საუკეთესონი: გრეგორიო ბლასკო, ხოსე მუგერსა, გილერმო გოროსტისა და ლეონარდო სილაუნენი 1937 წელს თბილისში ჩამოვიდნენ ჩვენში ლეგენდად შემორჩენილ „ბასკ ვირტუოზთა“ გუნდის შემადგენლობაში.

ერთ-ერთი, ჩემი აზრით ყველაზე სარწმუნო ვერსიით, სწორედ „მეფის თასის“ გათამაშებაში მოპოვებულ გამარ-



გუნდის არქივი

„რეალ მადრიდის“ **1960** წლის ლეგენდარული გუნდი, საკონტინენტთაშორისო თასის პირველ გათამაშებაში გამარჯვებული: დგანან (მარცხნიდან): დომინგესი, მარკიტოსი, სანტამარია, პაჩინი, ვიდალი, სარაგა; სხედან: ერერა, დელ სოლი, დი სტეფანო, პუშკაში, ხენტო.

ჯვებათა ამ „ჯაჭვმა“ განაპირობა, რომ ალფონს XIII, ამ საპატიო ჯილდოს დამაარსებელმა, ტრიუმფატორს მანამდე არგაგონილი მიღწევებისთვის მი-



ბოლის არქივი

დონ სანტიაგო ბერნაბეუ

ანიჭა უფლება სახელწოდებაში ჩაერთო სიტყვა „რეალ“, რაც ესპანურად „მეფურს“, „სამეფოს“ ნიშნავს. სწორედ მას შემდეგ მიიღო დღეს უკვე პლანეტის უპოპულარესმა და უმდიდრესმა, ყველაზე ტიტულოვანმა კლუბმა დღევანდელი სახელი: „რეალ მადრიდ“.

ამ აღზევების მერე კლუბს მძიმე პერიოდი დაუდგა. იგი ვეღარ უწევდა ღირსეულ კონკურენციას ბილბაოს „ატლეტიკოსა“ და „ბარსელონას“. კლუბის მესვეურთა დიდი გულმოდგინების მიუხედავად კრიზისი გაჭიანურდა. მართალია, „რეალ მადრიდი“ პერიოდულად ახსენებდა თავს საფეხბურთო სამყაროს და ზოგჯერ საკმაოდ რიხიანადაც (გამარჯვებები „მეფის თასის“ გათამაშებაში — 1917, 1931 და ესპანეთის ჩემპიონატში 1932, 1933), მაგრამ მისი ამბიციების კლუბებისთვის ეს ძალიან ცოტა იყო და მისი ადგილიც საფეხბურთო იერარქიაში, შესაბამისად, არც ისე მაღალი, „სამეფოზე“ რომ არაფერი ვთქვათ.

სწორედ ასეთ მდგომარეობაში ჩაიბარა კლუბი 1944 წელს ახალმა პრეზიდენტმა სანტიაგო ბერნაბეუმ. ადამიანმა, რომელმაც მთელი ცხოვრება „რეალში“, „რეალთან“ და „რეალისთვის“ გაატარა, დამსახურებულად მოიპოვა საყოველთაო პატივისცემა და უკვდავყო საკუთარი სახელი. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს.

სანტიაგო ბერნაბეუ 1909 წელს, 14 წლისა გახდა „რეალის“ წევრი. 18 წლისას კლუბის პირველ გუნდში ჰქონდა დებიუტი და 12 წლის მანძილზე იცავდა მის ღირსებას. იყო გუნდის კაპიტანი. მიუხედავად იმისა, რომ მოთამაშის კარიერის დამთავრების მერე იურიდიული განათლება მიიღო, „რეალს“ არ ჩამოშორებია. მუშაობდა მწვრთნელის თანაშემწედ, მწვრთნელად, გენერალურ მდივნად, 1944 წელს კი დონ ფერნანდო სანტიაგო ბერნაბეუ დე იესტემ კლუბის პრეზიდენტის სავარძელი დაიკავა.

მისი ხელი მალე დაეტყო კლუბს. ახალმა პრეზიდენტმა გააძლიერა გუნდი და შედეგმაც არ დააყოვნა: 1946 წელს, ათწლიანი ინტერვალის შემდეგ რეალმა ესპანეთის თასი დაისაკუთრა. ეს წარმატება მადრიდელებმა 1947 წელსაც გაიმეორეს. ამავე წლის 14 დეკემბერს გაიხსნა დონ ბერნაბეუს ინიციატივით აშენებული ახალი სტადიონი, რომელმაც შეცვალა 20-იან წლებში აგებული 22 ათასიანი „ჩამარტინი“ და რომელსაც „ესტადიო სანტიაგო ბერნაბეუ“ ეწოდა. კლუბის ისტორიაში ახალი ხანა იწყებოდა. დონ ბერნაბეუმ მიზნად დაისახა „რეალი“ სუპერკლუბად ექცია და ამ მიზნის მისაღწევად არაფერს იშურებდა: არც დროს, არც ენერგიასა და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, არც ფულს.

„რეალის“ თეთრი მაისურა ჩაიცვეს სხვადასხვა ქვეყნის ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავებმა და ახალგაზრდა პერსპექტიულმა ესპანელმა ფეხბურთელებმა. მათ შორის იყვნენ არგენტინელი რიალი, ფრანგი კოპა, უნგრელი პუშკაში, ურუგვაელი სანტამარია, ბრაზილიელი დიდი, შვედი სიმონსონი, ესპანელები მარკიტოსი, მუნიოსი, ხენტო და სხვა.

მაგრამ დონ ბერნაბეუს ყველაზე სარფიანი გარიგება, რა თქმა უნდა, ლეგენდარული არგენტინელი ფეხბურთელის ალფრედო დი სტეფანოს გადმობირება იყო. არა მარტო იმიტომ, რომ დი სტეფანო მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში ყველა დროის ერთ-ერთ უდიდეს ოსტატად შევიდა და ბევრის აზრით თვით პელესაც კი უტოლდება, არამედ უფრო იმიტომ, რომ სწორედ დი სტეფანო იქცა იმ ხერხემლად, რომლის გარშემოც შეიკრა „რეალის“ მითად ქცეული გუნდი.

ამ მითს 1956 წლის 13 ივნისს პარიზში მიეცა დასაბამი. იმ დღეს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის პირველი გათამაშების ფინალურ მატჩში ინგლისელი არბიტრის არტურ ელისის ნიშანზე განთქმულ „პარკ დე პრენსის“ მინდორზე „რეალ მადრიდი“ და იმ დროის საფრანგეთის უძლიერესი კლუბი „სტად რეიმსი“ გამოვიდნენ. ის ფინალი დღემდე ითვლება ერთ-ერთ საუკეთესოდ ჩემპიონთა თასის გათამაშების ისტორიაში. მიუხედავად იმისა, რომ თავიდან ფრანგები დაწინაურდნენ — 2:0, მადრიდელებმა შეძლეს თამაშში გარდატეხის შეტანა და საბოლოოდ გაიმარჯვეს კიდეც — 4:3. ამ მატჩში „რეალის ღირსებას იცავდნენ:



ბოლის არქივი

1956 წლის 26 მაისი. ჩემპიონთა თასის პირველი გათამაშების ფინალში „სტად რეიმსთან“ გამარჯვების შემდეგ.




DON BALON

ასე ზეიმობენ მეტოქის კარში გატანილ [illegible] გოლს „სანტიაგო ბერნაბეუზე“.

## REAL MADRID

„რეალ მადრიდ კლუბ დე ფუტბოლ“ — დაარსდა 9. III. 1902
სტადიონი „სანტიაგო ბერნაბეუ“ — 90 200 ადგილი (106 X 72 მ.)
მისამართი: **Cocha Espana, 1. 28036 Madrid**

| | |
|---|---|
| ესპანეთის ჩემპიონი: | 1932,33,54,55,57,58,61-65,67-69,72,75,76,78,80 - 86-88,89,90 (25) |
| მეორე პრიზიორი: | 1929,34-36,42,45,59,60,66,81,83,84,92 (13) |
| მესამე პრიზიორი: | 1949,52,53,56,82,91 (6) |
| თასის მფლობელი: | 1905-08,17,34,36,46,47,62,70,74,75,80,82,89 (16) |
| ფინალისტი: | 1903,18,24,29,30,33,40,43,58,60,61,68,79,83,90,92(16) |

| | |
|---|---|
| ჩემპიონთა თასის მფლობელი: | 1956,57,58,59,60,66 |
| ფინალისტი: | 1962,64,81 |
| თასების თასის მფლობელი: | — |
| ფინალისტი: | 1971,83 |
| უეფას თასის მფლობელი: | 1985,86 |
| ფინალისტი: | — |
| სუპერთასის მფლობელი: | — |
| საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი: | 1960 |

ალონსო, ატიენსა, მარკიტოსი, ლესმესი, მუნიოსი, სარაგა, ხოსეიტო, მარჩალი, დი სტეფანო, რიალი, ხენტო.

სწორედ ეს გამარჯვებაა დასაწყისი ბერნაბეუსეული „რეალის“ ხუთწლიანი უცილობელი ბატონობისა ევროპის კონტინენტზე. ხუთჯერ ზედიზედ დაისაკუთრა „რეალ მადრიდმა“ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი! ე. ი. ჩემპიონთა ჩემპიონი გახდა!

„რეალის“ შესახებ თხრობა სრულყოფილი არ იქნება, თუ არ გავიხსენეთ ჩემპიონთა თასის მეხუთე გათამაშების ფინალი. „რეალისა“ და ფრანკფურტის „აინტრახტის“ შეხვედრა გლაზგოს „ჰემპდენ პარკზე“ შემდგომში ჟურნალისტებმა მონათლეს როგორც „კლასიკური“. ეს მატჩი მართლაც გამორჩეულია. მასში ბევრი რამ იყო არა მარტო დრამატული და საინტერესო, არამედ სარეკორდოც სხვა ფინალებთან შედარებით: სწორედ ამ ფინალში გავიდა ყველაზე მეტი გოლი — 10 („რეალმა“ გაიმარჯვა — 7:3), ამ თამაშს ჰყავდა ყველაზე მეტი მაყურებელი — 135 000, ერთდროულად ორმა ფეხბურთელმა შეასრულა ჰეთ-თრიკი, მათგან უფრო ყისმათიანმა პუშკაშმა კი 4 გოლი გაიტანა, რაც სხვებისთვის ასევე დღემდე მიუღწეველ შედეგად რჩება.

ამ მატჩში „რეალ მადრიდის“ მწვრთნელი უკვე მიგელ მუნიოსი იყო. სწორედ ის მუნიოსი, რომელმაც 1956 წელს ამავე კლუბის კაპიტნის რანგში „პირველი“ ჩემპიონთა თასი ჩაიბარა. იგი ერთნახევარი ათეული წლის მანძილზე წვრთნიდა „რეალს“, მოგვიანებით კი ესპანეთის ეროვნულ ნაკრებსაც ხელმძღვანელობდა.

1960 წელს მუნიოსს კიდევ ერთხელ ერგო წილად პატივი პირველობისა: ამჯერად უკვე როგორც მწვრთნელმა გაიმარჯვა საკონტინენტთაშორისო თასის გათამაშებაში.

იმდროინდელი „რეალის“ შესახებ იტალიელი ჟურნალისტი ანჯელო როველი ამბობს: „მთავარი, რაც „რეალ მადრიდს“ ევროპის საფეხბურთო სცენაზე გამოარჩევდა, კოლექტიურობის გრძნობა იყო, რაც ცალკეული რგოლების ჰარმონიულ შერწყმაში ვლინდებოდა. დი სტეფანოს გენია ფრთებს ასხამდა თანაგუნდელებს და ყველაზე დრამატულ მომენტებშიც კი გუნდს სულის სიმტკიცეს უნარჩუნებდა“. საგულისხმო აზრია: იმ „რეალის“ გენიალურობა იმაში იყო, რომ იგი უნიჭიერესი სოლისტებისგან შემდგარ შეთანხმებულ ანსამბლს წარმოადგენდა.

60-იანი წლების დასაწყისში „რეალ მადრიდში“ გარკვეული ცვლილებები მოხდა. სახელგანთქმული ვეტერანების ადგილი დაიკავეს ახალგაზრდებმა: ამანსიომ, პირიმ, სოკომ, დელ სოლმა და მათმა თანატოლებმა, რომლებმაც 1966 წელს „რეალს“ მეექვსედ მოუპოვეს ჩემპიონთა თასი, თუმცა, ახალგაზრდების მხარდამხარ „ძველი გვარდიის“ ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელიც ასპარეზობდა: მარცხენა გარემარბი ფრანსისკო ხენტო. მან მეექვსედ გაიმარჯვა ჩემპიონთა თასის გათამაშებაში და უნიკალური რეკორდი დაამყარა. იგი ერთადერთია მსოფლიოში, ვინც ამ საპატიო თასის გათამაშებაში ექვსი ტრიუმფი იზეიმა.



მიგელ მუნიოსი

1966 წლის გამარჯვება იყო „რეალ მადრიდის“ ბოლო მიღწევა ჩემპიონთა თასის გათამაშებებში, სადაც ეს კლუბი დღიდან მისი დაარსებისა უცვლელად გამოდიოდა 1970 წლამდე. ესეც უპრეცედენტო შემთხვევაა.

„რეალმა“ დაკარგა ევროპულ საკლუბო ფეხბურთში ჰეგემონის სახელი. მისი ხელმძღვანელობა არც ახლა იშურებდა სახსრებს ძვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „რეალის“ უცხოელები

| | |
|---|---|
| ალბერტი (უნგრეთი) | 1935-36 |
| გიდიჩელი (ბრაზილია) | 35-36 |
| კელემენი (უნგრეთი) | 35-36 |
| ბორბოლა (მექსიკა) | 43-44 |
| ნავარო (არგენტინა) | 47-48 |
| როჩა (პორტუგალია) | 47-48 |
| ჯაქსონი (ინგლისი) | 48-49 |
| ონი (საფრანგეთი) | 50-51 |
| იმბელიონი (არგენტინა) | 50-51 |
| ლუსიანო (საფრანგეთი) | 50-51 |
| ოლსენი (არგენტინა) | 50-51 |
| ნემეში (უნგრეთი) | 52-53 |
| ბრიტოსი (ურუგვაი) | 52-53 |
| როდრიგესი (ურუგვაი) | 52-53 |
| დი სტეფანო (არგენტინა) | 53-54 |
| რიალი (არგენტინა) | 54-55 |
| კოპა (საფრანგეთი) | 56-57 |
| დომინგესი (არგენტინა) | 57-58 |
| სანტამარია (ურუგვაი) | 57-58 |
| პუშკაში (უნგრეთი) | 58-59 |
| კანარიო (ბრაზილია) | 59-60 |
| დიდი (ბრაზილია) | 59-60 |
| კაჩაში (უნგრეთი) | 59-60 |
| სიმონსონი (შვედეთი) | 60-61 |
| დაუჩიკი (უნგრეთი) | 62-63 |
| ევარისტო (ბრაზილია) | 62-63 |
| მიულერი (საფრანგეთი) | 62-63 |
| აგუერო (პარაგვაი) | 65-66 |
| გოიეაერტსი (ბელგია) | 65-66 |
| მიგელ პერესი (არგენტინა) | 67-68 |
| ფლეიტასი (პარაგვაი) | 69-70 |
| ტოურინიო (არგენტინა) | 70-71 |
| ანსარდა (არგენტინა) | 71-72 |
| მალდონადო (პარაგვაი) | 73-74 |
| მასი (არგენტინა) | 73-74 |
| ნეცერი (გერმანია) | 73-74 |
| ბრაიტნერი (გერმანია) | 74-75 |
| მარტინესი (არგენტინა) | 74-75 |
| გურინი (არგენტინა) | 75-76 |
| იენსენი (დანია) | 76-77 |
| შტილიკე (გერმანია) | 77-78 |
| ვოლფი (არგენტინა) | 77-78 |
| კანინგემი (ინგლისი) | 79-80 |
| უოსტა (ურუგვაი) | 82-83 |
| მეტგოდი (ჰოლანდია) | 82-83 |
| ვალდანო (არგენტინა) | 84-85 |
| ლოზანო (ბელგია) | 84-85 |
| სანჩესი (მექსიკა) | 85-86 |
| იანკოვიჩი (იუგოსლავია) | 87-88 |
| შუსტერი (გერმანია) | 88-89 |
| რუჯერი (არგენტინა) | 89-90 |
| სპასიჩი (იუგოსლავია) | 90-91 |
| პაჯი (რუმინეთი) | 90-91 |
| პროსინეჩკი (იუგოსლავია) | 91-92 |
| როჩა (ბრაზილია) | 91-92 |
| სამორანო (ჩილე) | 92-93 |

მითითებულია „რეალში“ ჩარიცხვის სეზონი.

ლუბური ძლევამოსილების აღსადგენად, მაგრამ ყველა ცდა ამაო გამოდგა. მიუხედავად იმისა, რომ „რეალი“ ინარჩუნებდა წამყვან ადგილს შინაურ სარბიელზე და არც საერთაშორისო მასშტაბით დაუკარგავს მაღალი რეპუტაცია, მისი თაყვანისმცემლები აწ გარდასულ ოქროს ხანას მინატროდნენ. დიახ, 70-იანი წლების „რეალი“ თავისივე წინამორბედის ჩრდილში მოექცა და ვერაფრით აღწევდა თავს ამ არასახარბიელო მდგომარეობას.

1978 წელს მადრიდელთა კლუბმა დიდი დანაკლისი განიცადა. 83 წლისა გარდაიცვალა კლუბის პრეზიდენტი დონ სა-


ფრანსისკო ხენტო ჩემპიონთა თასის ექვსი მინიატურული ასლით.

ნტიაგო ბერნაბეუ. „რეალ მადრიდის“ შემოქმედი აღარაა ცოცხალი“ — წერდნენ გაზეთები. რათა საბოლოოდ დავრწმუნდეთ დონ ბერნაბეუს უდიდეს ღვაწლში „რეალის“ იმიჯის შექმნაში, გადავხედოთ ციფრებს. დონ ბერნაბეუს პრეზიდენტობამდე „რეალი“ ორჯერ იყო ესპანეთის ჩემპიონი და შვიდჯერ ფლობდა ქვეყნის თასს. დონ ბერნაბეუს პრეზიდენტობის პერიოდში კი თექვსმეტჯერ (თითქმის ყოველ ორ წელიწადში ერთხელ!) იყო ჩემპიონი და ექვსჯერ — თასის მფლობელი. გარდა ამისა, სწორედ სანტიაგო ბერნაბეუმ გააცნო კლუბი მთელ მსოფლიოს. „რეალმა“, გარდა იმისა, რომ ექვსჯერ დაისაკუთრა ჩემპიონთა თასი და კიდევ ორჯერ დამარცხდა ამ პრიზის გათამაშების ფინალში, 1960 წელს საკონტინენტთაშორისო თასი მოიგო, 1971 წელს კი თასების მფლობელთა თასის ფინალში ითამაშა.

დიახ, „რეალზე“ სულ რაღაც შვიდი წლით უფროსი დონ სანტიაგო ბერნაბეუ მისდამი ნამდვილ მამობრივ მზრუნველობას იჩენდა და შედეგიც სახეზეა, ალბათ, სწორედ ამან განაპირობა ის, რომ „რეალის“ ისტორია ბერნაბეუს ისტორია გახდა და პირიქით!


DON BALON
თავდამსხმელთა ლეგენდარული ტრიო (მარცხნიდან): რაიმონ კოპა, ალფრედო დი სტეფანო, ფერენც პუშკაში.

დაობლებულ „რეალს“ სათავეში ახალი, რიგით მეათე პრეზიდენტი, დონ ლუის დე კარლოსი ჩაუდგა. იგი 1945 წლიდან ამ კლუბის წევრია და სანტიაგო ბერნაბეუს მუდამ მხარში ედგა. „დიდი დონისგან“ გამოყოლილი ინერციით „რეალმა“ 1979 და 1980 წლებშიც არავის დაუთმო ესპანეთის ჩემპიონის ტიტული, მაგრამ დაღმასვლა მაინც შეიმჩნეოდა. თბილისელებმა სწორედ ამ პერიოდში, უფრო ზუსტად კი 1981 წლის გაზაფხულზე იხილეს ამ გუნდის თამაში „დინამოს“ სტადიონზე, სადაც


გოლის არქივი
„რეალ მადრიდის“ საკლუბო მუზეუმში 8 000-ზე მეტი სხვადასხვა სახის ჯილდო ინახება.

ჩემპიონთა თასის გათამაშების მეოთხედფინალურ მატჩში „რეალი“ მოსკოვის „სპარტაკს“ შეხვდა.

ამის მერე კი დაიწყო ის, რაც, კაცმა რომ თქვას, მოსალოდნელიც იყო. არ შეიძლებოდა ათწლეულების მანძილზე დამკვიდრებული საკლუბო აპარატის რეორგანიზაციის პროცესს უმტკივნეულოდ ჩაევლო. თუმცა ის რაც „რეალისთვის“ წარუმატებლად ითვლება, ბევრი ცნობილი კლუბისთვის სანატრელიც კი იქნებოდა, მაგრამ „რეალისგან“ მხოლოდ პირველობას ელიან, პირველობას — მოითხოვენ! ამას კი „თეთრები“ (კლუბის ფორმის ფერები) ვერაფრით აღწევდნენ. 1982 წელს „რეალს“ კიდევ ერთხელ, ახლა უკვე მწვრთნელად, მოევლინა ალფრედო დი სტეფანო, მაგრამ ამჯერად ისიც უძლური აღმოჩნდა. ზედიზედ ხუთი სეზონის მანძილზე ვერ შეძლო „რეალმა“ ესპანეთის ჩემპიონის ტახტზე ასვლა. ასეთი დიდი ინტერვალი, მას შემდეგ, რაც აწ განსვენებულმა დონ ბერნაბეუმ „რეალს“ ახალი სული შთაბერა, კლუბის ისტორიაში არ ყოფილა. „რეალის“ ახალ გამარჯვებებს მონატრებულ გულშემატკივართა არმიისთვის, ვერაფერ შეღავათს წარმოადგენდა ის, რომ „ესტადიო სანტიაგო ბერნაბეუს“ შენობის სპეციალურ სათავსოებში წარსული დიდების წლებში მოპოვებული სამი ათასზე მეტი ნაირ-ნაირი ჯილდო და თასი ინახება.

„რეალის“ ქომაგების მოლოდინს, როგორც იქნა, ბოლო მოეღო. 1985 წელი გარდატეხის წელიწადად იქცა და ასე გაჭიანურებული „გვალვა“ ნამდვილი „ოქროს წვიმით“ შეიცვალა: მადრიდელებმა 19 წლის შემდეგ საერთაშორისო არენაზე კვლავ იზეიმეს გამარჯვება, 1985 და 1986 წლებში ზედიზედ ორჯერ მოიპოვეს უეფას თასი („ბაზრობათა თასის“ პირველ ორ გათამაშებაში „ბარსელონის“ გამარჯვების მერე ასეთი „დუბლისთვის“ არავის მიუღწევია), ხოლო ეროვნულ ჩემპიონატებში ზედიზედ ხუთი წლის მანძილზე არ დაუთმიათ პირველობა. მანამდე ასეთ შედეგს მხოლოდ... „რეალ მადრიდმა“ მიაღწია 1961-65 წლებში! ახალი თაობის „რეალის“ ვარსკვლავებმა: ბუტრაგენიომ, მიჩელმა, გორდილიომ, სანტილიანამ, ხუანიტომ, კამაჩომ, არგენტინელ ვალდანოსა და მექსიკელ უგო სანჩესთან ერთად ფეხბურთის მოყვარულებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „რეალის“ მწვრთნელები ესპანეთის ლიგის შექმნის დღიდან

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ხოსე ბერაონდო | 1927-29 | ენრიკე ფერნანდესი (ურუგვაი) | 53-55 | ლუის მოლოვნი | 82 |
| ხოსე კირანტე | 29-30 | ხოსე ვილიალონგა | 55-57 | ალფრედო დი სტეფანო | 82-84 |
| ლიპო პერცა (უნგრეთი) | 30-32 | ლუის კარნილია (არგენტინა) | 57-59 | ამარო ამანსიო | 84-85 |
| რობერტ ფერხთი (ინგლისი) | 32-33 | მანუელ ფლეიტასი (ბრაზილია) | 59-60 | ლუის მოლოვნი | 85-86 |
| ფრანსისკო ბრუ | 33-40 | მიგელ მუნიოსი | 60-74 | ლეო ბეენჰაკერი (ჰოლანდია) | 86-89 |
| ხუან არმეტ კინკე | 40-43 | ლუის მოლოვნი | 74 | ჯონ ტოშაკი (უელსი) | 89-90 |
| რამონ ენსიენასი | 43-45 | მილიან მილიანიჩი (იუგოსლავია) | 74-77 | რადომირ ანტიჩი (იუგოსლავია) | 90-91 |
| ხასინტო კინკოსესი | 45-46 | ლუის მოლოვნი | 77-79 | ლეო ბეენჰაკერი (ჰოლანდია) | 91-92 |
| ბალტასარ ალბენისი | 46-48 | ვუი 6 ბოშკოვი (იუგოსლავია) | 79-82 | ბენიტო ფლორო (ჩილე) | 92- |
| მაიკლ კიპინგი (ინგლისი) | 48-50 | | | | |
| ექტორ სკარონე (ურუგვაი) | 50-52 | | | | |
| ხუან იპინია | 52-53 | | | | |

1992 წელი. ბენიტო ფლორო (მარჯვნივ) და „რეალის“ კაპიტანი სანჩისი კრემლის დათვალიერებისას.



გოგის არქივი

თამამი, ჩინებულად ორგანიზებული, უმაღლეს ტექნიკასა და მაღალ ტემპზე დაფუძნებული ულამაზესი სპექტაკლებით დაახსომეს თავი. სწორედ ამ გუნდმა გაახსენა მთელ საფეხბურთო სამყაროს „რეალის“ ბრწყინვალე წარსული, ლეგენდად ქცეული დი სტეფანოს დროინდელი გუნდი.

გარდა ამისა, „რეალმა“ ისიც შეგვახსენა, რომ იგი არ განეკუთვნება იმათ კატეგორიას, ვინც ალმაფრენის შემდეგ, სამუდამოდ თუ არა, დიდი ხნით იკარგება ფართო საზოგადოებრიობის თვალთახედვიდან და სტატისტის როლს დროებით მაინც ჯერდება. როგორც ნამდვილ არისტოკრატს ეკადრება, იგი ნიადაგ რესპექტაბელურია და მუდამ უმაღლესი საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლად რჩება.

დღევანდელი „რეალის“ ერთ-ერთმა წამყვანმა ფეხბურთელმა ფერნანდო იერომ ამასწინათ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა: „უეფას თასის მიმდინარე გათამაშებაში ჩვენზე ძლიერ კლუბს მე ვერ ვხედავ და იმედი მაქვს, ტურნირში გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება“.

შეიძლება პარადოქსულად ჟღერს, მაგრამ ის, რომ „რეალს“ ორ სეზონზე მეტია დიდ ტურნირში არ გაუმარჯვია, იეროს პროგნოზს... უფრო სარწმუნოს ხდის.

ერთხელ, მადრიდის „ატლეტიკოს“ ყოფილმა პრეზიდენტმა ვისენტე კალდერონმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა: „რეალ მადრიდი“ [illegible] ფეხბურთის განსახიერებაა, მისი სავიზიტო ბარათი. ესპანური ფეხბურთის წარმოდგენა „რეალის“ გარეშე ისევე შეუძლებელია, როგორც ესპანეთისა — დონ კიხოტისა და სანჩო პანსას გარეშე“. დაუძინებელი კონკურენტის მხრიდან ასეთი აღიარება, როგორც იტყვიან, კომენტარს არ საჭიროებს.

ზურაბ ინასარიძე

## „რეალ მადრიდის“ ყველა მატჩი ევროპის საკლუბო ტურნირებში

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1955-56 | ჩთ | I ეტ. | „სერვეტი“ (ჟენევა) | 2:0, 5:0 |
| | | 1/4 | „პარტიზანი“ (ბელგრადი) | 4:0, 0:3 |
| | | 1/2 | „მილანი“ | 4:2, 1:2 |
| | | ფ | „სტად დე რეიმსი“ | 4:3 (პარიზი) |
| 1956-57 | ჩთ | I ეტ. | თავისუფალი იყო | |
| | | II ეტ. | „რაპიდი“ (ვენა) | 4:2, 1:3 2:0 (მადრიდი) |
| | | 1/4 | „ნიცა“ | 3:0, 3:2 |
| | | 1/2 | „მანჩესტერ იუნაიტედი“ | 3:1, 2:2 |
| | | ფ | „ფიორენტინა“ ფლორენცია | 2:0 (მადრიდი) |
| 1957-58 | ჩთ | I ეტ. | თავისუფალი იყო | |
| | | II ეტ. | „ანტვერპენი“ | 2:1, 6:0 |
| | | 1/4 | „სევილია“ | 8:0, 2:2 |
| | | 1/2 | „ვაშაში“ (ბუდაპეშტი) | 4:0, 0:2 |
| | | ფ | „მილანი“ | 3:2 დ.დ. (მადრიდი) |
| 1958-59 | ჩთ | I ეტ. | თავისუფალი იყო | |
| | | II ეტ. | „ბეშიქთაში“ (სტამბოლი) | 2:0, 1:1 |
| | | 1/4 | „ვინერ შპორტკლუბი“ | 0:0, 7:1 |
| | | 1/2 | „ატლეტიკო“ (მადრიდი) | 2:1, 0:1, 2:1 (სარაგოსა) |
| | | ფ | „სტად დე რეიმსი“ | 2:0 (შტუტგარტი) |
| 1959-60 | ჩთ | I ეტ. | თავისუფალი იყო | |
| | | II ეტ. | „ჟენესი“ (ეში) | 7:0, 5:2 |
| | | 1/4 | „ნიცა“ | 2:3, 4:0 |
| | | 1/2 | „ბარსელონა“ | 3:1, 3:1 |
| | | ფ | „აინტრახტი“ მ. ფრანკფურტი | 7:3 (გლაზგო) |
| 1960-61 | ჩთ | I ეტ. | თავისუფალი იყო | |
| | | II ეტ. | „ბარსელონა“ | 2:2, 1:2 |
| 1961-62 | ჩთ | I ეტ. | „ვაშაში“ (ბუდაპეშტი) | 2:0, 3:1 |
| | | II ეტ. | „ოდენსე BK 1913“ | 3:0, 9:0 |
| | | 1/4 | „იუვენტუსი“ (ტურინი) | 1:0, 0:1, 3:1 (პარიზი) |
| | | 1/2 | „სტანდარდი“ (ლიეჟი) | 4:0, 2:0 |
| | | ფ | „ბენფიკა“ (ლისაბონი) | 3:5 (ამსტერდამი) |
| 1962-63 | ჩთ | I ეტ. | „ანდერლეხტი“ (ბრიუსელი) | 3:3, 0:1 |
| 1963-64 | ჩთ | I ეტ. | „გლაზგო რეინჯერსი“ | 1:0, 6:0 |
| | | II ეტ. | „დინამო“ (ბუქარესტი) | 3:1, 5:3 |
| | | 1/4 | „მილანი“ | 4:1, 0:2 |
| | | 1/2 | „ციურიხი“ | 2:1, 6:0 |
| | | ფ | „ინტერი“ (მილანი) | 1:3 (ვენა) |
| 1964-65 | ჩთ | I ეტ. | „BK 1909 ოდენსე“ | 5:2, 4:0 |
| | | II ეტ. | „დუკლა“ (პრაღა) | 4:0, 2:0 |
| | | 1/4 | „ბენფიკა“ (ლისაბონი) | 1:5, 2:1 |
| 1965-66 | ჩთ | I ეტ. | „ფეიენოორდი“ (როტერდამი) | 1:2, 5:0 |
| | | II ეტ. | „კილმარნოკი“ (ჩრდ. ირლანდია) | 2:2, 5:1 |
| | | 1/4 | „ანდერლეხტი“ (ბრიუსელი) | 0:1, 4:2 |
| | | 1/2 | „ინტერი“ (მილანი) | 1:0, 1:1 |
| | | ფ | „პარტიზანი“ (ბელგრადი) | 2:1 (ბრიუსელი) |
| 1966-67 | ჩთ | I ეტ. | თავისუფალი იყო | |
| | | II ეტ. | „მიუნხენ 1860“ | 0:1, 3:1 |
| | | 1/4 | „ინტერი“ (მილანი) | 0:1, 0:2 |
| 1967-68 | ჩთ | I ეტ. | „აიაქსი“ (ამსტერდამი) | 1:1, 2:1 დ.დ. |
| | | II ეტ. | „ჰვიდოვრე“ (კოპენჰაგენი) | 2:2, 4:1 |
| | | 1/4 | „სპარტა“ (პრაღა) | 1:2, 3:0 |
| | | 1/2 | „მანჩესტერ იუნაიტედი“ | 0:1, 3:3 |
| 1968-69 | ჩთ | I ეტ. | „აპოლონი“ (ლიმასოლი) | 6:0, 6:0 (მადრიდი) |
| | | II ეტ. | „რაპიდი“ (ვენა) | 0:1, 2:1 |
| 1969-70 | ჩთ | I ეტ. | „ოლიმპიაკოსი“ (ნიქოზია) | 8:0, 6:1 (მადრიდი) |
| | | II ეტ. | „სტანდარდი“ (ლიეჟი) | 0:1, 2:3 |
| 1970-71 | თთ | I ეტ. | „ჰიბერნიანი“ (ლა ვალეტა) | 0:0, 5:0 |
| | | II ეტ. | „სვაროვსკი-ვაკერი“ (ინსბრუკი) | 0:1, 2:0 |
| | | 1/4 | „კარდიფ სიტი“ | 0:1, 2:0 |
| | | 1/2 | PSV (ეინდჰოვენი) | 0:0, 2:1 |
| | | ფ | „ჩელსი“ (ლონდონი) | 1:1, 1:2 (ათენი) |
| 1971-72 | უთ | I ეტ. | „ბაზელი“ | 2:1, 2:1 |
| | | II ეტ. | PSV (ეინდჰოვენი) | 3:1, 0:2 |
| 1972-73 | ჩთ | I ეტ. | „IB კეფლავიკი“ | 3:0, 1:0 (რეიკიავიკი) |
| | | II ეტ. | „არჯეში“ (პიტეშტი) | 1:2, 3:1 |
| | | 1/4 | „დინამო“ (კიევი) | 0:0 (ოდესა), 3:0 |
| | | 1/2 | „აიაქსი“ (ამსტერდამი) | 1:2, 0:1 |
| 1973-74 | უთ | I ეტ. | „იფსვიჩ თაუნი“ | 0:1, 0:0 |
| 1974-75 | თთ | I ეტ. | „ფრამი“ (რეიკიავიკი) | 2:0, 6:0 |
| | | II ეტ. | „აუსტრია“ (ვენა) | 3:0, 2:2 |
| | | 1/4 | „ცრვენა ზვეზდა“ (ბელგრადი) | 2:0, 0:2 პ 5:6 |
| 1975-76 | ჩთ | I ეტ. | „დინამო“ (ბუქარესტი) | 4:1, 0:1 |
| | | II ეტ. | „დერბი ქაუნთი“ | 1:4, 5:1 დ.დ. |
| | | 1/4 | „ბორუსია“ (მიონჰენგლადბახი) | 2:2 (დიუსელდორფი), 1:1 |
| | | 1/2 | „ბაიერნი“ (მიუნხენი) | 1:1, 0:2 |
| 1976-77 | ჩთ | I ეტ. | „სტალი“ (მელეცი) | 2:1, 1:0 (სევილია) |
| | | II ეტ. | „ბრიუგე“ | 0:0 (მალაგა), 0:2 |
| 1978-79 | ჩთ | I ეტ. | „პროგრესი“ (ნიდერკორნი) | 5:0, 7:0 (დიფერდანჟი) |
| | | II ეტ. | „გრასჰოპერსი“ (ციურიხი) | 3:1, 0:2 |
| 1979-80 | ჩთ | I ეტ. | „ლევსკი სპარტაკი“ (სოფია) | 1:0, 2:0 |
| | | II ეტ. | „პორტუ“ | 1:2, 1:0 |
| | | 1/4 | „სელტიკი“ (გლაზგო) | 0:2, 3:0 |
| | | 1/2 | „ჰამბურგი“ | 2:0, 1:5 |
| 1980-81 | ჩთ | I ეტ. | „ლიმერიკი“ | 2:1, 5:1 |
| | | II ეტ. | „ჰონვედი“ (ბუდაპეშტი) | 1:0, 2:0 |
| | | 1/4 | „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 0:0 (თბილისი), 2:0 |
| | | 1/2 | „ინტერი“ (მილანი) | 2:0, 0:1 |
| | | ფ | „ლივერპული“ | 0:1 (პარიზი) |
| 1981-82 | უთ | I ეტ. | „ბანიასი“ (ტატაბანია) | 1:2, 1:0 |
| | | II ეტ. | „კარლ ცაისი“ (იენა) | 3:2, 0:0 |
| | | III ეტ. | „რაპიდი“ (ვენა) | 1:0, 0:0 |
| | | 1/4 | „კაიზერსლაუტერნი“ | 3:1, 0:5 |
| 1982-83 | თთ | I ეტ. | „ბაია მარე“ (რუმინეთი) | 0:0, 5:2 |
| | | II ეტ. | „უიპეშტ დოჟა“ (ბუდაპეშტი) | 3:1, 1:0 |
| | | 1/4 | „ინტერი“ (მილანი) | 1:1, 2:1 |
| | | 1/2 | „აუსტრია“ (ვენა) | 2:2, 3:1 |
| | | ფ | „აბერდინი“ | 1:2 დ.დ. (გიოტებორგი) |
| 1983-84 | უთ | I ეტ. | „სპარტა“ (პრაღა) | 2:3, 1:1 |
| 1984-85 | უთ | I ეტ. | „სვაროვსკი-ვაკერი“ (ინსბრუკი) | 5:0, 0:2 |
| | | II ეტ. | „რიეკა“ | 1:3, 3:0 |
| | | III ეტ. | „ანდერლეხტი“ (ბრიუსელი) | 0:3, 6:1 |
| | | 1/4 | „ტოტენჰემ ჰოთსპური“ (ლონდონი) | 1:0, 0:0 |
| | | 1/2 | „ინტერი“ (მილანი) | 0:2, 3:0 |
| | | ფ | „ვიდეოტონი“ (სეკეშფეჰერვარი) | 3:0, 0:1 |
| 1985-86 | უთ | I ეტ. | AEK (ათენი) | 0:1, 5:0 |
| | | II ეტ. | „ჩერნომორეცი“ (ოდესა) | 2:1, 0:0 |
| | | III ეტ. | „ბორუსია“ (მიონჰენგლადბახი) | 1:5 (დიუსელდორფი), 4:0 |
| | | 1/4 | „ქსამაქსი“ (ნოიშატელი) | 3:0, 0:2 |
| | | 1/2 | „ინტერი“ (მილანი) | 1:3, 5:1 დ.დ. |
| | | ფ | „კიოლნი“ | 5:1, 0:2 (დას. ბერლინი) |
| 1986-87 | ჩთ | I ეტ. | „იანგ ბოიზი“ (ბერნი) | 0:1, 5:0 |
| | | II ეტ. | „იუვენტუსი“ (ტურინი) | 1:0, 0:1 პ 3:1 |
| | | 1/4 | „ცრვენა ზვეზდა“ (ბელგრადი) | 2:4, 2:0 |
| | | 1/2 | „ბაიერნი“ (მიუნხენი) | 1:4, 1:0 |
| 1987-88 | ჩთ | I ეტ. | „ნაპოლი“ | 2:0, 1:1 |
| | | II ეტ. | „პორტუ“ | 2:1 (ვალენსია), 2:1 |
| | | 1/4 | „ბაიერნი“ (მიუნხენი) | 2:3, 2:0 |
| | | 1/2 | PSV (ეინდჰოვენი) | 1:1, 0:0 |
| 1988-89 | ჩთ | I ეტ. | „მოსი“ (ნორვეგია) | 3:0, 1:0 |
| | | II ეტ. | „გურნიკი“ (ზაბჟე) | 1:0, 3:2 |
| | | 1/4 | PSV (ეინდჰოვენი) | 1:1, 2:1 დ.დ. |
| | | 1/2 | „მილანი“ | 1:1, 0:5 |
| 1989-90 | ჩთ | I ეტ. | „სპორა“ (ლუქსემბურგი) | 3:0 (ზაარბრიუკენი), 6:0 |
| | | II ეტ. | „მილანი“ | 0:2, 1:0 |
| 1990-91 | ჩთ | I ეტ. | „ოდენსე BK“ | 4:1, 6:0 |
| | | II ეტ. | „ტიროლი“ (ინსბრუკი) | 9:1, 2:2 |
| | | 1/4 | „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 0:0, 1:3 |
| 1991-92 | უთ | I ეტ. | „სლოვანი“ (ბრატისლავა) | 2:1, 1:1 |
| | | II ეტ. | „უტრეხტი“ | 3:1, 1:0 |
| | | III ეტ. | „ქსამაქსი“ (ნოიშატელი) | 0:1, 4:0 |
| | | 1/4 | „სიგმა“ (ოლომოუცი) | 1:1, 1:0 |
| | | 1/2 | „ტორინო“ | 2:1, 0:2 |
| 1992-93 | უთ | I ეტ. | „პოლიტექნიკა“ (ტიმიშოარა) | 1:1, 4:0 |
| | | II ეტ. | „ტორპედო“ (მოსკოვი) | 5:2, 2:3 |
| | | III ეტ. | „ვიტესი“ (არნემი) | 1:0, 1:0 |

შენიშვნები: გამოყოფილია შინ ჩატარებულ შეხვედრათა ანგარიშები.

გახსოვთ „ჩვენი ზურა“ და მისი ლამის სენტიმენტური ბარათი, რომლის გამოჩენაზეც სადღაც გაქრა წინა ნომერში დასაბეჭდად გამზადებული ფოტოები და ინტერვიუ ცნობილ ჰოლანდიელ მეკარე ჰანს ვან ბრეკელენთან? ისიც გეხსომებათ, როგორი გამოსავალი ვიპოვეთ მაშინ და აღგითქვით იმ ინტერვიუს მომდევნო ნომერში დაბეჭდვა. ამჯერად არცერთი ფეხბურთზე „ძაან“ შეყვარებული თანამოქალაქე აღარ გვსტუმრებია რედაქციაში და ჩვენც ვასრულებთ სიტყვას.



WORLD SOCCER

# ჩემთან ხუმრობა არ შეიძლება

...PSV „ეინდჰოვენის“ მეკარე, 37 წლის იოჰანეს ვან ბრეკელენი ნიდერლანდის ნაკრებში ჩატარებული მატჩების რიცხვით მხოლოდ რუუდ კროლს ჩამორჩება. ვან ბრეკელენი ვილნიუსში თავის კლუბთან ერთად ჩამოვიდა ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების საპასუხო მატჩზე, რომელიც PSV-მ მოიგო, 2:0. ჰოლანდიელებმა კლასით აჯობეს მასპინძლებს და გაარცხეს ისინი თამაშის სრულყოფილი ტაქტიკური გეგმით, რომელიც თითოეული ფეხბურთელის ინდივიდუალურ შესაძლებლობათა სრულად გამოყენებაზეა დაფუძნებული. ჰოლანდიის გუნდის იმდღევანდელმა მოქმედებამ „აიაქსის“ თამაში მომაგონა ტურინში, უეფას თასის პირველ ფინალურ მატჩში, თუმცა საერთო შთაბეჭდილების შედარებაც არ შეიძლებოდა, პირველ ყოვლისა ლიტველთა სისუსტის გამო.

უნდა იყვნენ გუნდში. ერთი სიტყვით, თუ წლეულს ევროპაში კარგად გამოვედით, მესამე წრეში საკმარისი გამოცდილება შევიძინეთ, იმედი მაქვს, გაისად „მილანსა“ და „ბარსელონასაც“ ღირსეულ მეტოქეობას გავუწევთ. იმის გამო, რომ „ჟალგირისთან“ მატჩი დიდი ინტრიგებითა და დაძაბულობით არ გამოირჩეოდა, ნუმანმა ვერ შეძლო თავისი საბრძოლო თვისებების სრულად გამოვლენა. მაგრამ მან იმდღევანდელი ბრწყინვალე გოლით ყველას უჩვენა თავისი ოსტატობა: როგორც კი მეკარე ოდნავ წინ გამოვიდა, არტურმა უზადოდ შესრულებული დარტყმით მის თავს ზემოთ გადაატარა ბურთი და კარში შეაგდო. ოცდაორი წლის ნუმანი, ბერხკამპი და რიხარდ ვიჩხე — ეს სამი ფეხბურთელი ჰოლანდიის ნაკრების ხვალინდელი დღეა.

ვან ბრეკელენს სასტუმრო „ლეტუვაში“ შევხვდი, სადაც ჰოლანდიელთა ინტერნაციონალური გუნდი ცხოვრობდა. ფოიეში საუბრობდით. ბარიდან ისმოდა PSV „ეინდჰოვენის“ თეთრ-წითელი გულშემატკივრებისა და ჰოლანდიის პრესის წარმომადგენელთა ხმები. ალბათ ლიტვის სახელმწიფოს დედაქალაქში „პაინეკენის“ წარმატებას თუ ზეიმობდნენ.

**ევროპის ჩემპიონთა თასის წლევანდელ გათამაშებაში PSV-ს აქვს რაიმე წარმატების იმედი?**

არა მგონია, რომ დღეს ჩვენმა გუნდმა „მილანთან“ თანაბარი ბრძოლა შეძლოს. ბოლო სამ-ოთხ წელიწადში უამრავი რამ გადავხდა თავს... ოთხმოცდარვაში მართლა კარგი გუნდი ვიყავით და მშვენივრადაც ვთამაშეთ ევროპის ჩემპიონთა თასის მატჩებში. ოთხმოცდაცხრაშიც არა გვიშავდა, შემდეგ კი უკან უკან და უკან წავედით. ბოლო ორი წლის მანძილზე ერთხელაც ვერ მივაღწიეთ წარმატებას ევროპის თასების გათამაშებაში. საფრანგეთის „მონპელიესთან“ პირველ რაუნდში წავაგეთ, შარშან კი „ანდერლეხტთან“ დავმარცხდით მეორე რაუნდში. მაგრამ დღეს, ჩემი აზრით, ისევ აღმავლობის გზაზე ვართ და სულ უფრო უკეთ ვთამაშობთ. ახალი მწვრთნელი გვყავს, თითქოს ყველაფერი მოწესრიგდა. შეიცვალა მოთამაშეთა ტაქტიკური პოზიციები, რაც, ჩემი აზრით, სავსებით სწორი გადაწყვეტილება იყო. დასასრულ, ხელი მოვაწერეთ კონტრაქტს გუნდის ახალ წევრთან „ტვენტედან“ გადმოსულ არტურ ნუმანთან. არტური, გარდა იმისა, რომ საუცხოო ფეხბურთელია, შესანიშნავი ბიჭია და ღმერთს მადლობას ვწირავ, რომ იგი PSV-ში ითამაშებს. მისი დიდი გული მუდამ გამარჯვებისაკენ ისწრაფვის. ნუმანისთანა მოთამაშეები აუცილებლად

**თუ ამ სეზონში წარმატებით ითამაშეთ, დარჩებით ისევ PSV-ში?**

ჩემს კონტრაქტს ერთი წლის შემდეგ გაუდის ვადა, ოთხმოცდათოთხმეტში. მერე მივდივარ ფეხბურთიდან. მინდა ერთი წლით სათადარიგო მეკარედ გადავიდე, რომ თამაშს ნელ-ნელა „გადავეჩვიო“.

**ფიფა-ს ახალი წესებით მეკარის მოქმედება ერთგვარად შეიზღუდა. თქვენ რას იტყვით ამის შესახებ?**

მე ეს წესები ძალზე ხელოვნურად მიმაჩნია. მეკარე შეჩვეულია ბურთის ხელით დაჭერას და ხელითვე ტყორცნას მოედანზე. ცხადია, გასაგებია, რა მიზნებით შემოიღეს ეს წესები — სურთ ბრძოლა გამოუცხადონ დროის გაჭიანურებას და სხვა ამგვარებს, მაგრამ განა შეიძლება, მეკარეს ბურთის ხელით დაჭერის საშუალება არ ჰქონდეს? ჩემი აზრით, ბევრად უფრო სწორი იქნება, მსაჯმა აღრიცხოს დრო იმ წამიდან, როცა მეკარე ბურთს ხელს შეახებს. არბიტრი ხელს ასწევს და იწყებს დათვლას: ერთი, ორი, სამი თვლაზე „ოთხი“ ან ბურთი უნდა გაუშვა ხელიდან ან დაგაჯარიმებენ. მცველი რომ ბურთს უკან, კარისკენ გამოგიგორებს. შენ უნდა გქონდეს საშუალება, ხელით აიღო. მეკარე თავდამსხმელთან ერთად ვერ ირბენს მინდორზე - ეს მას არ შეუძლია.

მე, მაგალითად, კარში იმიტომ დავდექი, რომ მოედანზე ისე ვერ ვთამაშობდი, როგორც საჭიროა. მე მცველის როლს ვერ შევასრულებ, რადგან ვიცი, არაფერი გამომივა. ამასვე გეტყვიან სხვა მეკარეებიც... ახლა კი, მცველი რომ ბურთს ჩემსკენ გამოაგორებს, თვალები უნდა დავხუჭო და დავარტყა... მოკლედ, ძალზე დამთრგუნველი წესია.

**საერთოდ, მეკარეები ცრურწმენებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. აი, თქვენც, დანიის გუნდთან ნახევარფინალში, ვიდრე თერთმეტ-**

**იოჰანეს ვან ბრეკელენი**

**PSV**

**80-იანი წლების მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე**

**დაიბადა 1956 წლის 4 ოქტომბერს**
**სიმაღლე 188 სმ. წონა 86 კგ.**
**ჰოლანდიის ნაკრებში — 74 მატჩი**
**ევროპის ჩემპიონი — 1988**
**ჩემპიონთა თასის მფლობელი — 1988**

**მეტრიანები დაიწყებოდა, ბურთს რაღაც „მანიპულაციებს უტარებდით"...**

— მოედანზე რომ ვარ, სულ არ მაღელვებს, რას ფიქრობს ჩემზე მაყურებელი. ამ დროს ჩემი ერთადერთი მიზანი გამარჯვებაა. ამიტომ ყველაფერს ვაკეთებ მეტოქის წონასწორობიდან გამოსაყვანად — ხან გამოველაპარაკები, ხან პირდაპირ თვალებში ვაშტერდები, არც პროვოცირებას ვერიდები, მინდა ნერვები ავუშალო, რაც შეიძლება აუტანელი ვიყო. ზოგჯერ მართლაც ვაღწევ ამით მიზანს, ზოგჯერ კი — ვერა. ასე მოხდა დანიელებთან მატჩშიც...

— **სამაგიეროდ, ამ ხერხმა სავსებით გაამართლა ორ სხვა ფინალში — ბელანოვთან და ველოზუსთან.**

— დიახ, საბედნიეროდ.

— **როგორ მოქმედებს თქვენზე ტრიბუნების უარყოფითი განწყობილება?**

— დამატებით სტიმულს მაძლევს. ამგვარი რეაქცია ჩემთვის შესანიშნავი გამღიზიანებელია. მიჩნდება სურვილი, ყველას დავუმტკიცო, რომ ჩემთან ხუმრობა არ შეიძლება. ვხვდები, რომ მაყურებელს არ მოვეწონვარ, რომ იმ დროს მისი მტერი ვარ და ეს ბრძოლა სიამოვნებას მგვრის.

— **ხომ ვერ გაიხსენებდით ყველაზე გულდასაწყვეტ ეპიზოდს თქვენი სპორტული ბიოგრაფიიდან?**

— მსოფლიო თასის გათამაშება იტალიაში... ასე იმედგაცრუებული არასოდეს ვყოფილვარ. ჩვენს გუნდს, ბევრად მეტი შეეძლო. შემადგენლობაც იგივე იყო, რაც 1988 წელს. მაგრამ ფეხბურთელებმა ვერ შესძლეს ისე ეთამაშათ, როგორ გერმანიაში თამაშობდნენ. ჩემი აზრით, ამაში პირველ ყოვლისა, ჩვენვე ვართ დამნაშავე. პოლანდიის ფედერაციამ, მწვრთნელებმა, ფეხბურთელებმა ვერ შევძელით ერთი მიზნისათვის გაერთიანება. ასეთ დროს კი, როცა ყველა შეთანხმებულად არ მოქმედებს, თუნდაც საუკეთესო მოთამაშეები გყავდეს, ყველაფერი წყალშია გადაყრილი.

— **ესე იგი თქვენ ამბობთ, რომ მეგობრობა და გუნდის წევრთა შორის პატიოსანი ურთიერთობა წარმატების უპირველესი პირობაა?**

— ოთხმოცდარვა წლის შემდეგ, როცა ევროპის ჩემპიონობა მოვიპოვეთ, უამრავი შეცდომა დავუშვით. არ ვიცი, შეიძლება ეს ფედერაციის ბრალი იყო, შეიძლება ჩვენ, ფეხბურთელები ვიყავით დამნაშავე, მაგრამ ასეა თუ ისე, ნაცვლად იმისა, რომ ძალა მოგვეკრიბა და მთელი გულისყური თამაშზე გადაგვეტანა, ლაპარაკს მოვუნდით, ჩხუბს გადავყევით... ერთი სიტყვით, იმის მაგიერ, რომ გუნდისთვის გვეთამაშა, ერთმანეთისთვის გვეთამაშა, ყველა საკუთარ თავზე ვფიქრობდით.

— **გამოგიტყდებით, მე პოლანდიის ნაკრების ძველი გულშემატკივარი გახლავართ და შემიძლია ვთქვა: ის, რასაც ახლა თქვენ ლაპარაკობთ, ამ გუნდისთვის უკვე ტრადიციულ პრობლემად იქცა. გავიხსენოთ თუნდაც ევროპის ჩემპიონატი იუგოსლავიაში 1976 წელს...**

— დიახ, დიახ. რასაკვირველია, თქვენ მართალი ხართ. არ ვიცი, რა ემართებათ, მაგრამ, როგორც კი რაღაც წარმატებას მიაღწევენ, ჩვენი ფეხბურთელებიც და ფედერაციის წევრებიც თითქოს ჭკუიდან იშლებიან. (იქვე მდგარმა ორმა პოლანდიელმა რეპორტიორმა ამ სიტყვებზე ხმაშეწყობილად გადაიხარხარა — ზ.ბ.), ყველა ფიქრობს, მთავარი მე ვარ და არა გუნდიო. ამიტომ სავალდებულოდაც აღარ მიაჩნიათ, მოედანზე აკეთონ მხოლოდ ის, რასაც წარმატების მოსაპოვებლად უნდა აკეთებდნენ, და მაშინ გუნდი ნაწილ-ნაწილ იშლება. აი, რა მოხდა 1990 წელს. წლეულს ჩვენ კვლავ შევძელით გაერთიანება და შვედეთში წარმატებით ვითამაშეთ, მაგრამ ნახევარფინალში, დანიის გუნდთან, რღვევა ისევ დაიწყო. ეს იმიტომ მოხდა, რომ ორი-სამი ფეხბურთელი არ თამაშობდა გუნდში წინასწარ შემუშავებული და შეთანხმებული გეგმით, იმას აკეთებდა, რაც თვითონ მიაჩნდა საჭიროდ. ეს იმას ნიშნავდა, რომ ჩვენ ისევ არ ვიყავით გუნდი, არ იყო საჭირო განწყობილება, დავკარგეთ საბრძოლო სულისკვეთება, რომლითაც გერმანელებთან ვთამაშობდით. სწორედ ამიტომ ვერ ვაჯობეთ დანიელებს. მე ასეთი რამ არ შემიძლია გავიგო და გავამართლო, რადგან



აქ მთავარი ის კი არ არის, რა შეუძლია ადამიანს, არამედ ის, რაც მის შეგნებაში ხდება.

— **თქვენ, პოლანდიელებს, მეტისმეტი ინდივიდუალიზმი გახასიათებთ და შეიძლება მიზეზი სწორედ ეს იყოს. შეგიძლიათ მითხრათ, რატომ თამაშობს ასე კარგად მარკო ვან ბასტენი „მილანში" და რატომ ითამაშა ასე უფერულად შვედეთში? ეს ინტერვიუ ქართულ ენაზე დაიბეჭდება და არა მგონია, პოლანდიაში ბევრმა წაიკითხოს.**

— არ ვიცი. ამაზე მეც ბევრჯერ მიფიქრია. მინდა ვიცოდე, რა ხდება, მაგრამ არ ვიცი. ჩემი აზრით, ვან ბასტენი მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი თავდამსხმელია, მაგრამ, გეთანხმებით, „მილანში" იგი ამჯერად უფრო ძლიერად თამაშობს, ვიდრე ნაკრებში. ამის ახსნა მხოლოდ თავად მას შეუძლია.

— **ხშირად ადარებენ ერთმანეთს პოლანდიის ოთხმოციანი და სამოცდაათიანი წლების ნაკრებ გუნდებს. თქვენი თაობის გუნდიდან ორი პოზიცია — თქვენი და ვან ბასტენისა — ალბათ უკეთესი იყო სამოცდაათიანი წლების „მფრინავ პოლანდიელებთან" შედარებით.**

— მე კი მგონია, რომ შედარების ამგვარი მეთოდი მთლად გამართლებული არ უნდა იყოს. ამ ორი გუნდის შედარება არ შეიძლება. მაგრამ თუ მაინც შევადარებთ...

— **ეს დიდი ცდუნებაა გულშემატკივრისთვის.**

— ... მესმის, მაგრამ თუ შედარება აუცილებელია, პირველ ყოვლისა, უნდა გვახსოვდეს, რომ სამოცდაათიანი წლების გუნდს ერთხელაც არ მოუგია, მუდამ მეორე იყო, ჩემი თაობა კი ევროპის ჩემპიონი გახდა. ეს — რაც შეეხება შედარების საკითხს.

თქვენ ორი პოზიცია ახსენეთ. ამაში ვერ დაგეთანხმებით, რადგან მგონია, რომ კუმანი, როგორც მოთამაშე, არი ჰაანზე მაღლა დგას.

— **კროლი?**

— ნაკრებში იგი მარცხენა ფლანგზე თამაშობდა. მე მგონია, რომ კუმანი ერთ-ერთი საუკეთესო ლიბეროა მსოფლიოში. ჩემი აზრით, რაიკაარდი ბრწყინვალე ფეხბურთელია, ვან ტიგელენი სჯობს რიისბერგენს ან ბრანდტს. მე ვფიქრობ, რომ გულიტი უკეთესი ფეხბურთელია, ვიდრე ჯონი რეპი... ასე რომ, შედარება ძალზე ძნელი საქმეა.

— **თქვენი აზრით, რამდენად მოქმედებს მოთამაშის წარმოშობა მისი თამაშის სტილზე? ან უმთავრესად რით განსხვავდება პოლანდიური ფეხბურთი ყველა დანარჩენისაგან?**

— ძალიან რთული შეკითხვაა. ვფიქრობ, ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, რა მოთხოვნებს ვუყენებთ მოზარდს, რომელიც ფეხბურთს თამაშობს. პოლანდიაში ადრეულ ბავშვობიდანვე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ინდივიდუალურ უნარს და ამიტომ იქ ინდივიდუალისტი მოთამაშეები იზრდებიან. აქ მთავარ როლს თამაშობს ჩვენი ცხოვრების წესი, ჩვენს ინდივიდუალიზებულ საზოგადოებაზე დაფუძნებული მრწამსი და შეხედულებები. ფეხბურთელებს სურთ ინდივიდუალისტები იყვნენ და ცდილობენ კიდეც ამას, მერე კი ჩვენ ვცდილობთ ერთად შევკრიბოთ ისინი. მაგრამ თუ გინდა, შენი უნარი გამოიყენო და მასზე დაყრდნობით მიზანს მიაღწიო, ეს პირველ ყოვლისა, შენი წარმატებაა. ეს ალბათ სკოლის ანარეკლია, სადაც ყურადღებას უპირველესად სწორედ ბავშვის ინდივიდუალობაზე ამახვილებენ. ყველაფერ ამას საფუძვლად პოლანდიელი ხალხის ხასიათი უდევს. აბა სხვა ქვეყნის გუნდებს გადავხედოთ — მათი დისციპლინა ჩვენი ფეხბურთელებისთვის ძალიან ძნელი მისაღწევია. პოლანდიურ ფეხბურთში იშვიათად შეხვდებით ბერი ვან აერლეს, ადრი ვან ტიგელენის და იან ვაუტერსის ტიპის მოთამაშეებს. ეს ფეხბურთელები უდიდესი პასუხიმგებლობით თამაშობენ და გუნდის ძლიერებას სწორედ ისინი განაპირობებენ. ცხადია, გუნდის განსხვავებულ სახეს ინდივიდუალისტები ქმნიან, მაგრამ წარმატებას სჭირდება მოთამაშეები, რომლებიც, უბრალოდ თავიანთ საქმეს აკეთებენ. ეს აუცილებელია თვით გუნდში ბალანსის შესანარჩუნებლად. ისეთი ფეხბურთელები, როგორებიც არიან მიურენი, ვან აერლე, ვან ტიგელენი, ვაუტერსი და ნუმანი, სხვა ქვეყნებისათვის სრულიად ჩვეულებრივი მოვლენაა. აი, მაგალითად, გერმანიის გუნდი — რა მტკიცე დისციპლინა აქვს!... მათ ყოველთვის ზუსტად იციან, რა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა გააკეთონ და აკეთებენ კიდეც, პოლანდიელებისათვის კი ასეთი რამ ხშირად უცხო ხილია. მე უკვე ვილაპარაკე პოლანდია — დანიის მატჩზე. მარცხის მიზეზებზე შეიძლება ბევრი ითქვას, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ჩვენ ვერ შევინარჩუნეთ ბალანსი გუნდში და შედეგმაც არ დააყოვნა. ოთხმოცდარვაში ასე არ იყო. მაშინ თითოეული მოთამაშე მოედანზე აკეთებდა იმას, რასაც წინასწარ ვიყავით შეთანხმებული. ამიტომაც ვიგებდით. იტალიაშიც ჩვენი მარცხის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ბალანსი დაირღვა. მოედანზე გასული ფეხბურთელები საკუთარ თავზე მეტს ფიქრობდნენ, ვიდრე დისციპლინაზე.

— **რა შეგიძლიათ თქვათ ინგლისში გატარებულ წლებზე?**

— ჯერ კიდევ პატარა ბიჭმა ტელევიზიით ინგლისის ჩემპიონატის უამრავი მატჩი ვნახე. ჩემი ოცნება ინგლისში თამაში იყო.

— **რომელ გუნდში?**

— „ნოტინგემ ფორესტში“ ვთამაშობდი.

— **პო, მაგრამ, ბავშვობაში რომელ გუნდზე ოცნებობდით?**

— „მანჩესტერ იუნაიტედზე“, და როცა ინგლისში გამგზავრების საშუალება მომეცა, წავედი, რაც არასოდეს მინანია. რა დამავიწყებს იმ წლებს. ინგლისში სულ სხვა, მართლაც განსაკუთრებული ატმოსფეროა. ინგლისელებს აქვთ ნამდვილი საფეხბურთო კულტურა. ამ მხრივ მათ ვერც პოლანდიელები შეედრებიან, ვერც გერმანელები და ვერც რომელიმე სხვა ქვეყნის ფეხბურთელები. თუ თამაშში მთელ ძალასა და უნარს აქსოვ, გულშემატკივრები მუდამ გაფასებენ. თუნდაც დღეს წააგო, თუკი დაინახეს, რომ თავი არ დაგიზოგავს, არ გისაყვედურებენ, აუცილებლად იტყვიან, მერე რა ვუყოთ, მოგება და წაგება ამხანაგები არიანო. პოლანდიაში კი მით უფრო, თუ „აიაქსში“ ან PSV-ში თამაშობ, წაგების უფლება არა გაქვს — შენი გუნდი ხომ ფავორიტია და ჩემპიონობისთვის იბრძვის. ინგლისში სხვაგვარადაა, იქ მუდამ ცდილობენ შეინარჩუნონ თამაშის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულება, ჩემს სამშობლოში კი გულშემატკივართა უმრავლესობა ნეგატიურად არის განწყობილი.

— **ინგლისში საფეხბურთო პრესა, შეიძლება ითქვას, საოცარი დონისაა.**

— იქაური პრესა უფრო რეალისტურია და, ამავე დროს, ცდილობს ობიექტური იყოს. პოლანდიაში ჟურნალისტები რატომღაც დარწმუნებულნი არიან, რომ ისინი ფეხბურთელებსა და თვით ფეხბურთზე მაღლა დგანან. თავიანთ მთავარ ამოცანად ის მიაჩნიათ, რომ საკუთარი იდეები მიაწოდონ მკითხველებს, რომელთაც მათი მუდამ სჯერათ. პოლანდიაში ნამდვილი სპორტული კულტურა იმიტომ არ არის, რომ არსებობს ჟურნალისტთა ცალკეული კლანები, რომლებიც მხოლოდ „თავიანთ“ გუნდებზე წერენ.

(ვილნიუსში ერთ პოლანდიელ ჟურნალისტს რაღაც ვკითხე PSV-ზე, მაგრამ ვერ მიპასუხა — მე ამსტერდამიდან ვარ და „აიაქსზე“ ვწერ, PSV-ზე ბევრი არაფერი ვიცი და საერთოდაც, აქ შემთხვევით მოვხვდიო — ზ.ბ.).

— **შეგიძლიათ დაასახელოთ ნაკრები ან კლუბი, რომლის წინააღმდეგაც განსაკუთრებული აღმაფრენით თამაშობთ?**

— გერმანია. ამ გუნდთან გამართული ყოველი მატჩი რაღაც განსაკუთრებულ გრძნობას აღმიძრავს. ჩვენ ყოველ შაბათს



FUWO

**1988 წლის ევროპის ჩემპიონატი. ვან ბასტენი, ვან ბრეკელენი და ვაუტერსი ირლანდიელებთან მოგებას და ნახევარფინალში გასვლას ზეიმობენ.**

ვუყურებთ გერმანიის ტელევიზიით ბუნდესლიგის ჩემპიონატის შეხვედრებს და საშუალება გვაქვს, დავაკვირდეთ იქაური ფეხბურთელების თამაშს. მართალი გითხრათ, ძალიან მაღიზიანებენ თავიანთი ქედმაღლობითა და გაუთავებელი სიმულირებით. სულ პენალტის დანიშვნას მოითხოვენ, სულ იმის ცდაში არიან, რომ მეტოქე როგორმე მოედნიდან გააძევებინონ. არა, გერმანელი ფეხბურთელები არ მიყვარს. ტურნირებზე შეხვედრისას სალამს არ გეტყვიან, თუმცა კოლეგები კი ვართ. ესეც მაღიზიანებს. რატომ მომწონს გერმანელების წინააღმდეგ თამაში? იმიტომ, რომ მიყვარს მათი დამარცხება.

ამ სიტყვებზე ვან ბრეკელენმა მარცხენა ხელი გაშალა და ხელისგულზე მთელი ძალით დაირტყა მუშტი. მაშინ მე გამახსენდა ერთი ეპიზოდი პოლანდია — გერმანიის 1988 წლის შეხვედრიდან. მატჩის დამთავრებამდე სულ რაღაც რამდენიმე წუთი რჩებოდა, ანგარიში კი 1:1 იყო და ყველას ეგონა, რომ საქმე დამატებით ტაიმებამდე მივიდოდა. ამ დროს პოლანდიელთა მეკარემ მეტოქის მიერ დარტყმული ბურთი აიღო და არც წამომდგარა, ჩაჩოქილმა, რათა წამიც არ დაკარგულიყო, ხელის ასეთივე მძლავრი, ლაღი მოძრაობით მოედნისკენ ტყორცნა, ჭეშმარიტად „რაღაც განსაკუთრებული გრძნობით“ აღვსილმა.

— ამასთან, რაღა თქმა უნდა, მუდამ სიამოვნებას განიჭებს ისეთ მეტოქეებთან თამაში, როგორებიც არიან „რეალ მადრიდი“, „ბარსელონა“, „მილანი“. ეს მუდამ დიდი ფეხბურთია და დიდი ბედნიერებაა იმის შეგრძნება, რომ ამ ზეიმის მონაწილე ხარ.

— **როგორც მეკარეს, რომელი თავდამსხმელი მიგაჩნდათ ყველაზე სახიფათო მეტოქედ?**

— მარკო ვან ბასტენი. „აიაქსთან“ მატჩში შევხვდით ერთმანეთს. ბრწყინვალე თავდამსხმელია. ერთი-ორჯერ მარადონასაც შევხვედრივარ. იგი რაღაც განსაკუთრებული, ნამდვილი სუპერვარსკვლავია. ჩემი აზრით, ძალზე ძლიერი თავდამსხმელია გარი ლინეკერი.

— **რით ხართ დაკავებული, როცა ფეხბურთს არ თამაშობთ?**

— ოჯახით. ჩემი მთავარი საქმე ოჯახია. სამი შვილი მყავს — ორი ბიჭი და გოგონა. ერთი ცხრა წლისაა, მეორე შვიდის, ნაბოლარა კი — ხუთის. ჩემი ერთადერთი ჰობი ფეხბურთია. თუნდაც არ ვთამაშობდე, მაინც მუდამ რაღაც ისეთს ვაკეთებ, რაც ისევ და ისევ ფეხბურთთან არის დაკავშირებული. ისე კი ყველაზე მეტად ჩემს ოჯახთან ყოფნა მიყვარს — ბავშვებთან თამაში, ცოლ-შვილთან ერთად რესტორანში სიარული, ველოსიპედით სეირნობა და ტყეში ხეტიალი. მთელ თავისუფალ დროს ოჯახთან ვატარებ და თავს ბედნიერად ვგრძნობ.

კიდევ ბევრი რამ მინდოდა მეკითხა ვან ბრეკელენისთვის, მაგრამ ჩემს წინ მოულოდნელად ხნიერი პოლანდიელი ჟურნალისტის ფიგურა აღიმართა. ჟურნალისტი აქეთ-იქით ირწეოდა. მკერდზე ეკეთა ორდენი დიდ სამამულო ომში გამარჯვებისთვის, ყველასათვის ნაცნობი ამაყი პროფილით. ასე რომ, ვან ბრეკელენი ერთბაშად ორი ქართველის კამპანიაში აღმოჩნდა. ახალმოსულმა მას პოლანდიურად დაუწყო ლაპარაკი და მივხვდი, რომ ბარში ეპატიჟებოდა, საითაც პანსი მალე გაემართა კიდეც. მე კი მეორე ბარს მივაშურე, სადაც დოლარები აუცილებელი არ იყო.

**ესაუბრა ზურაბ ბერელაშვილი,**
**გოლის სპეც. კორესპონდენტი.**
**ვილნიუსი — თბილისი.**

FIFA
founded 1904

# FEDERATION INTERNATIONALE DE FOOTBALL ASSOCIATION

სადღეისოდ ფიფა 178 წევრს ითვლის. ვფიქრობთ, მკითხველისთვის უინტერესო არ იქნება ზოგიერთი მონაცემის გაცნობა ამ ქვეყნების საფეხბურთო გაერთიანებების შესახებ.

**ავსტრალია (OFC)**
კანბერა
**Australian Soccer Federation**
დაარსდა—1961, ფიფა—1963
ოქროსფერი მწვანით
მწვანე
თეთრი (მწვანე)-ოქროსფერი

**ავსტრია (UEFA)**
ვენა
**Osterreichischer Fussball-Bund**
დაარსდა—1904, ფიფა—1905
თეთრი
შავი
შავი

**ავღანეთი (AFC)**
ქაბული
**The Football Federation**
დაარსდა—1933, ფიფა—1948
თეთრი წითელი ზოლებით
თეთრი წითელი ზოლებით
თეთრი წითელი ზოლებით

**ალბანეთი (UEFA)**
ტირანა
**Federata Shqiptare Futbollit**
დაარსდა—1930, ფიფა—1932
წითელი
წითელი
წითელი

**ალჟირი (CAF)**
ალჟირი
**Federation Algerienne de Football**
დაარსდა—1962, ფიფა—1963
მწვანე
თეთრი
წითელი

**ანგოლა (CAF)**
ლუანდა
**Federation Angolaise de Football**
დაარსდა—1979, ფიფა—1980
წითელი
შავი
წითელი

**ანტიგუა და ბარბუდა (CONCACAF)**
სენტ ჯონსი
**The Antigua Football Association**
დაარსდა—1928, ფიფა—1970
ოქროსფერი
შავი
შავი

**ანტილის კუნძულები (CONCACAF)**
ვილემსტადი
**Nederlands Antiliaanse Voetbal Unie**
დაარსდა—1921, ფიფა—1932
თეთრი წითლით და ლურჯით
თეთრი
წითელი

**არაბთა გაერთ. საემიროები (AFC)**
აბუ დაბი
**United Arab Emirates Football Association**
დაარსდა—1971, ფიფა—1972
თეთრი
თეთრი
თეთრი

**არგენტინა (CONMEBOL)**
ბუენოს აირესი
**Asociacion del Futbol Argentino**
დაარსდა—1893, ფიფა—1912
ცისფერი თეთრი ზოლებით
შავი
თეთრი

**არუბა (CONCACAF)**
ორანჟესტადი
**Arubaanse Voetbal Bond**
დაარსდა—1932, ფიფა—1988
ყვითელი
ლურჯი
ყვითელი (ლურჯი)

**აშშ (CONCACAF)**
ვაშინგტონი
**United States Soccer Federation**
დაარსდა—1913, ფიფა—1913
თეთრი
ლურჯი
თეთრი

**ახალი ზელანდია (OFC)**
ველინგტონი
**New Zealand Football Association Inc.**
დაარსდა—1891, ფიფა—1948
თეთრი
თეთრი
თეთრი

**ბანგლადეში (ACF)**
დაკა
**Bangladesh Football Federation**
დაარსდა—1972, ფიფა—1974
ნარინჯისფერი
თეთრი
მწვანე

**ბარბადოსი (CONCACAF)**
ბრიჯთაუნი
**Barbados Football Association**
დაარსდა—1910, ფიფა—1968
ლურჯი და ოქროსფერი
ოქროსფერი
ლურჯი და ოქროსფერი

**ბაჰამის კუნძულები (CONCACAF)**
ნასო
**Bahamas Football Association**
დაარსდა—1967, ფიფა—1968
ყვითელი
შავი
ყვითელი

**ბაჰრეინი (AFC)**
მანამა
**Bahrain Football Association**
დაარსდა—1957, ფიფა—1966
თეთრი
წითელი
წითელი და თეთრი

**ბელარუსი (UEFA)**
მინსკი
**Football Federation of Byelorussia**
დაარსდა—1992, ფიფა—1992
წითელი თეთრით
წითელი
თეთრი

**ბელგია (UEFA)**
ბრიუსელი
**Union Royale Belge des Societe de Football Association**
დაარსდა—1895, ფიფა—1904
წითელი
წითელი; წითელი

**ბელიზი (CONCACAF)**
ბელმოპანი
**Belize National Football Association**
დაარსდა—1980, ფიფა—1986
ლურჯი წითელი ან თეთრი ზოლებით
თეთრი
ლურჯი

**ბენინი (CAF)**
პორტო ნოვო
**Federation Beninoise de Football**
დაარსდა—1968, ფიფა—1969
მწვანე
მწვანე
მწვანე

**ბერმუდის კუნძულები (CONCACAF)**
ჰამილტონი
**The Bermuda Football Association**
დაარსდა—1928, ფიფა—1962
ლურჯი
თეთრი
თეთრი

**ბოლივია (CONMEBOL)**
ლა პასი
**Federacion Boliviana de Futbol**
დაარსდა—1925, ფიფა—1926
მწვანე თეთრი ზოლებით
მწვანე თეთრი ზოლებით
მწვანე

**ბოტსვანა (CAF)**
გაბორონე
**Botsvana Football Association**
დაარსდა—1970, ფიფა—1976
ლურჯი თეთრით
ლურჯი (თეთრი) შავით
ლურჯი თეთრი (შავი) ზოლებით

**ბრაზილია (CONMEBOL)**
ბრაზილია
**Confederacao Brasileira de Futebol**
დაარსდა—1914, ფიფა—1923
ყვითელი მწვანით
ლურჯი
თეთრი მწვანით ან ყვითლით

**ბრუნეი (AFC)**
ბანდარ სერი ბეგავანი
**Football Association of Brunei Darussalam**
დაარსდა—1959, ფიფა—1959
ოქროსფერი
შავი
ოქროსფერი

**ბულგარეთი (UEFA)**
სოფია
**Bulgarski Futbolen Soius**
დაარსდა—1923, ფიფა—1924
თეთრი
მწვანე
თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბურკინა ფასო (CAF)
უაგადუგუ
Federation Burkinabe de Foot-Ball
დაარსდა—1960, ფიფა—1964
წითელი
მწვანე ყვითლით
წითელი

## ბურუნდი (CAF)
ბუჟუმბურა
Federation de Football du Burundi
დაარსდა—1948, ფიფა—1972
წითელი
თეთრი
მწვანე

## გაბონი (CAF)
ლიბრევილი
Federation Gabonaise de Football
დაარსდა—1962, ფიფა—1963
მწვანე (ყვითელი) ლურჯი
ლურჯი (ყვითელი) ლურჯი
თეთრი

## გამბია (CAF)
ბანჯული
Gambia Football Association
დაარსდა—1952, ფიფა—1966
თეთრმ
თეთრი
თეთრი

## განა (CAF)
აკრა
Ghana Football Association
დაარსდა—1957, ფიფა—1958
ყვითელი
ყვითელი
ყვითელი

## გერმანია (UEFA)
ბონი
Deutscher Fussball-Bund
დაარსდა—1900, ფიფა—1904
თეთრი
შავი
თეთრი

## გვატემალა (CONCACAF)
გვატემალა
Federacion Nacional
de Futbol de Guatemala
დაარსდა—1900, ფიფა—1933
თეთრი ლურჯი ზოლით
ლურჯი; თეთრი

## გვიანა (CONCACAF)
კაიენა
Guyana Football Association
დაარსდა—1904, ფიფა—1968
მწვანე
მწვანე
ყვითელი

## გვინეა (CAF)
კონაკრი
Federation Guineenne de Football
დაარსდა—1959, ფიფა—1961
წითელი
ყვითელი
მწვანე

## გვინეა-ბისაუ (CAF)
ბისაუ
Federacao de Football du Guinea-Biessau
დაარსდა—1974, ფიფა—1986
მწვანე
მწვანე
მწვანე

## გრენადა (CONCACAF)
სენტ ჯორჯესი
Grenada Football Association
დაარსდა—1924, ფიფა—1976
მწვანე ყვითელი ზოლებით
წითელი
ყვითელი

## დანია (UEFA)
კოპენჰაგენი
Dansk Boldspil Union
დაარსდა—1889, ფიფა—1904
წითელი
თეთრი
წითელი

## დომინიკის რესპუბლიკა (CONCACAF)
როზო
Federacion Dominicana de Futbol
დაარსდა—1953, ფიფა—1958
ცისფერი
თეთრი; წითელი

## ეგვიპტე (CAF)
კაირო
Egyptian Football Association
დაარსდა—1921, ფიფა—1923
წითელი
თეთრი
შავი

## ეთიოპია (CAF)
ადის-აბება
Ethiopian Football Federation
დაარსდა—1943, ფიფა—1953
მწვანე (ყვითელი)
ყვითელი (წითელი)
წითელი (მწვანე)

## ეკვადორი (CONMEBOL)
კიტო
Federacion Ecuatoriana de Futbol
დაარსდა—1925, ფიფა—1926
ყვითელი ლურჯით და წითლით
ლურჯი
წითელი

## ეკვატორული გვინეა (CAF)
მალაბო
Federacion Ecuatoguineana de Futbol
დაარსდა—1986, ფიფა—1986
წითელი
წითელი
წითელი

## ერაყი (AFC)
ბაღდადი
Iraqui Football Association
დაარსდა—1948, ფიფა—1950
თეთრი
თეთრი
თეთრი

## ესპანეთი (UEFA)
მადრიდი
Real Federacion Espanola de Futbol
დაარსდა—1913, ფიფა—1904
წითელი
ლურჯი
შავი

## ესტონეთი (UEFA)
ტალინი
Estonian Football Association
დაარსდა—1921, ფიფა—1923
ლურჯი
შავი
თეთრი

## ვანუატუ (OFC)
ვილა
Vanuatu Football Federation
დაარსდა—1934, ფიფა—1988
ოქროსფერი (შავი)
შავი
ოქროსფერი (შავი)

## ვენესუელა (CONMEBOL)
კარაკასი
Federacion Venezolana de Futbol
დაარსდა—1926, ფიფა—1952
მუქი წითელი
თეთრი
თეთრი შავით

## ვიეტნამი (ამჟამად არ არის AFC-ს წევრი)
ჰანოი
Association de Football du Viet-nam
დაარსდა—1962, ფიფა—1964
წითელი
თეთრი
წითელი

## ზაირი (CAF)
კინშასა
Federation Zairoise
de Football-Association
დაარსდა—1919, ფიფა—1962
მწვანე
ყვითელი; წითელი

## ზამბია (CAF)
ლუსაკა
Football Association of Zambia
დაარსდა—1929, ფიფა—1964
მწვანე
თეთრი, მწვანე, შავი და წითელი
შავი

## ზიმბაბვე (CAF)
ჰარარე
Zimbabwe Football Association
დაარსდა—1965, ფიფა—1965
მწვანე
ოქროსფერი
მწვანე (ოქროსფერი)

## თურქეთი (UEFA)
ანკარა
Turkiye Futbol Federasyonu
დაარსდა—1923, ფიფა—1923
თეთრი
თეთრი
წითელი და თეთრი

## იამაიკა (CONCACAF)
კინგსტონი
Jamaica Football Federation
დაარსდა—1910, ფიფა—1962
მწვანე
შავი
ოქროსფერი

## იაპონია (AFC)
ტოკიო
The Football Association of Japan
დაარსდა—1921, ფიფა—1929
თეთრი
წითელი
თეთრი

## იემენი (AFC)
სანა
Republic of Yemen Football Association
დაარსდა—1962, ფიფა—1980
მწვანე
მწვანე
მწვანე

## ინგლისი (UEFA)
ლონდონი
The Football Association
დაარსდა—1863, ფიფა—1905
თეთრი წითლით და ცისფერით
ცისფერი წითლით და თეთრით
თეთრი ლურჯით

## ინდოეთი (AFC)
დელი
All Indian Football Federation
დაარსდა—1937, ფიფა—1948
ნარინჯისფერი (ცისფერი)
თეთრი (ნარინჯისფერი)
მწვანე (ცისფერი)

## ინდონეზია (AFC)
ჯაკარტა
All Indonesia Football Federation
დაარსდა—1930, ფიფა—1952
წითელი
თეთრი
წითელი და თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**იორდანია** (AFC)
ამანი
Jordan Football Association
დაარსდა—1949, ფიფა—1958
თეთრი, წითელი
თეთრი, წითელი
თეთრი, წითელი

**ირანი** (AFC)
თეირანი
Football Federation
of the Islamic Republic of Iran
დაარსდა—1920, ფიფა—1945
მწვანე
თეთრი; წითელი

**ირლანდია** (UEFA)
დუბლინი
The Football Association of Ireland
დაარსდა—1921, ფიფა—1923
მწვანე
თეთრი
მწვანე (თეთრი)

**ისლანდია** (UEFA)
რეიკიავიკი
Knattspyrnusamband Island
დაარსდა—1912, ფიფა—1929
ლურჯი
თეთრი
ლურჯი

**ისრაელი** (დამოუკიდებელი წევრი)
იერუსალიმი
Israel Football Association
დაარსდა—1928 ფიფა—1929
ლურჯი
თეთრი
ლურჯი

**იტალია** (UEFA)
რომი
Federazione Italiana Giuoco Caicio
დაარსდა—1898, ფიფა—1905
ლურჯი
თეთრი
ლურჯი (თეთრი)

**იუგოსლავია** (UEFA)
ბელგრადი
Fudbalski Savez Jugoslavije
დაარსდა—1919, ფიფა—1919
ლურჯი
თეთრი
წითელი

**კაბო-ვერდე** (CAF)
პრაია
Federacao Cabo-Verdiana de Futebol
დაარსდა—1982, ფიფა—1986
მწვანე
მწვანე
მწვანე

**კაიმანის კუნძულები** (CONCACAF)
ჯორჯთაუნი
Cayman Islands Football Association
დაარსდა— ფიფა—1992

**კამერუნი** (CAF)
იაუნდე
Federation Camerounaise de Football
დაარსდა—1959, ფიფა—1962
მწვანე
წითელი
ყვითელი

**კამპუჩია** (ამჟამად არ არის AFC-ს წევრი)
პნომპენი
Federation Khmere de Football Association
დაარსდა—1933, ფიფა—1953
ლურჯი, წითელი და თეთრი
თეთრი
წითელი

**კანადა** (CONCACAF)
ოტავა
The Canadian Soccer Association
დაარსდა—1912, ფიფა—1912
წითელი
წითელი
წითელი

**კენია** (CAF)
ნაირობი
Kenia Football Federation
დაარსდა—1960, ფიფა—1960
წითელი, მწვანე, თეთრი
წითელი, მწვანე, თეთრი
წითელი, მწვანე, თეთრი

**კვიპროსი** (UEFA)
ნიქოზია
Cyprus Football Association
დაარსდა—1934, ფიფა—1948
ლურჯი
თეთრი
ლურჯი

**კოლუმბია** (CONMEBOL)
ბოგოტა
Federacion Colombiana de Futbol
დაარსდა—1924, ფიფა—1936
ყვითელი სამფერა ზოლით
ლურჯი
წითელი სამფერა ზოლით

**კონგო** (CAF)
ბრაზავილი
Federation Congolaise de Football
დაარსდა—1962, ფიფა—1962
წითელი
წითელი
წითელი

**კორეა** (AFC)
სეული
Korea Football Association
დაარსდა—1928, ფიფა—1948
წითელი
წითელი
წითელი

**კორეის ს.დ.რ.** (AFC)
ფხენიანი
Football Association of the DPR of Korea
დაარსდა—1945, ფიფა—1958
თეთრი
თეთრი
თეთრი

**კოსტა რიკა** (CONCACAF)
სან ხოსე
Federacion Costarricense de Futbol
დაარსდა—1921, ფიფა—1921
წითელი
ლურჯი
თეთრი

**კოტ დ'ივუარი** (CAF)
აბიჯანი
Federation Ivoirienne de Football
დაარსდა—1960, ფიფა—1960
ნარინჯისფერი
თეთრი
მწვანე

**კუბა** (CONCACAF)
ჰავანა
Associacion de Futbol de Cuba
დაარსდა—1924, ფიფა—1932
თეთრი წითლით
მუქი ლურჯი
თეთრი და წითელი

**ლაოსი** (ამჟამად არ არის AFC-ს წევრი)
ვიენტიანი
Federation de Foot-Ball Lao
დაარსდა—1951, ფიფა—1952
წითელი
თეთრი
ლურჯი

**ლატვია** (UEFA)
რიგა
The Football Association of Latvia
დაარსდა—1921, ფიფა—1923
ნარინჯისფერი
ლურჯი
თეთრი

**ლესოტო** (CAF)
მასერუ
Lesotho Sports Council
დაარსდა—1932, ფიფა—1964
ლურჯი, თეთრი და მწვანე
თეთრი
ლურჯი და თეთრი

**ლიბანი** (AFC)
ბეირუთი
Federation Libanaise
de Football-Association
დაარსდა—1933, ფიფა—1935
წითელი
თეთრი; წითელი

**ლიბერია** (CAF)
მონროვია
The Liberia Football Association
დაარსდა—1936, ფიფა—1962
წითელი
თეთრი
წითელი

**ლიბია** (CAF)
ტრიპოლი
Libyan Arab Jamahiria Football Federation
დაარსდა—1963, ფიფა—1963
მწვანე
თეთრი
მწვანე

**ლიტვა** (UEFA)
ვილნიუსი
Lietuvos Futbolo Federacija
დაარსდა—1923, ფიფა—1923
ყვითელი
მწვანე
ყვითელი

**ლიხტენშტეინი** (UEFA)
ვადუცი
Liechtenschteiner Fussball-Verband
დაარსდა—1933, ფიფა—1974
ლურჯი
წითელი
ლურჯი

**ლუქსემბურგი** (UEFA)
ლუქსემბურგი
Federation
Luxembourgeoise de Football
დაარსდა—1908, ფიფა—1910
წითელი
თეთრი; ლურჯი

**მადაგასკარი** (CAF)
ანტანანარივუ
Federation Malagasy de Football
დაარსდა—1961, ფიფა—1962
წითელი
თეთრი
მწვანე

**მავრიკია** (CAF)
პორტ ლუი
Mauritius Football Association
დაარსდა—1952, ფიფა—1962
წითელი
თეთრი
წითელი და თეთრი

**მავრიტანია** (CAF)
ნუაკშოტი
Federation de Foot-Ball de la
Republique Islamique de Mauritanie
დაარსდა—1961, ფიფა—1964
მწვანე (ყვითელი)
ლურჯი; მწვანე

### მაკაო (AFC)
აომინი
Associacao de Futebol de Macao
დაარსდა—1939, ფიფა—1976
წითელი და მწვანე
წითელი
წითელი

### მალავი (CAF)
ლილონგვე
Football Association of Malawi
დაარსდა—1966, ფიფა—1967
წითელი
წითელი
წითელი

### მალაიზია (AFC)
კუალა ლუმპური
Persatuan Bolasepak Malaysia
დაარსდა—1933, ფიფა—1956
ყვითელი (შავი)
ყვითელი (შავი)
ყვითელი (შავი)

### მალდივის რესპუბლიკა (AFC)
მალე
Football Association of Maldives
დაარსდა—1982, ფიფა—1986
მწვანე
თეთრი
წითელი

### მალი (CAF)
ბამაკო
Federation Malienne de Football
დაარსდა—1960, ფიფა—1962
მწვანე
ყვითელი
წითელი

### მალტა (UEFA)
ლა ვალეტა
Malta Football Association
დაარსდა—1900, ფიფა—1959
წითელი
თეთი
წითელი

### მაროკო (CAF)
რაბათი
Federation Royale Marocaine de Football
დაარსდა—1955, ფიფა—1956
წითელი
წითელი
წითელი

### მექსიკა (CONCACAF)
მეხიკო
Federacion
Mexicana de Futbol Associacion
დაარსდა—1927, ფიფა—1929
მწვანე
თეთრი; თეთრი

### მიანმა (AFC)
რანგუნი
Myanmar Football Federation
დაარსდა—1947, ფიფა—1947
წითელი
თეთრი
წითელი

### მოზამბიკი (CAF)
მაპუტუ
Federacao Mocambicana de Futebol
დაარსდა—1978, ფიფა—1978
წითელი
შავი
შავი (წითელი)

### ნამიბია (CAF)
ვინდჰუკი
Namibia Football Federation
დაარსდა— ფიფა—1992

### ნეპალი (AFC)
კატმანდუ
All-Nepal Football Association
დაარსდა—1951, ფიფა—1970
წითელი
წითელი
წითელი

### ნიგერი (CAF)
ნიამეი
Federation Nigerienne de Football
დაარსდა—1967, ფიფა—1967
ნარინჯისფერი
თეთრი
მწვანე

### ნიგერია (CAF)
ლაგოსი
Nigeria Football Association
დაარსდა—1945, ფიფა—1959
მწვანე
თეთრი
მწვანე

### ნიდერლანდი (UEFA)
ამსტერდამი
Koninklijke
Nederlandsche Voetbalbond
დაარსდა—1889, ფიფა—1904
ნარინჯისფერი
თეთრი; ნარინჯისფერი

### ნიკარაგუა (CONCACAF)
მანაგუა
Federacion Nicaraguense de Futbol
დაარსდა 1931, ფიფა—1950
ლურჯი თეთრი ზოლებით
ლურჯი
ლურჯი თეთრი ზოლებით

### ნორვეგია (UEFA)
ოსლო
Norges Fotballforbund
დაარსდა—1902, ფიფა—1908
წითელი
თეთრი
ლურჯი

### ომანი (AFC)
მასკატი
Oman Football Association
დაარსდა—1978, ფიფა—1980
წითელი
წითელი (თეთრი)
წითელი (თეთრი)

### პაკისტანი (AFC)
ისლამაბადი
Pakistan Football Federation
დაარსდა—1948, ფიფა—1948
მწვანე
თეთრი
მწვანე და თეთრი

### პანამა (CONCACAF)
პანამა
Federacion Nacional
de Futbol de Panama
დაარსდა—1937, ფიფა—1938
წითელი და თეთრი
ლურჯი; წითელი

### პაპუა ახალი გვინეა (OFC)
პორტ მორსბი
Papua New Guinea Football Association Inc.
დაარსდა—1962, ფიფა—1963
წითელი
შავი
წითელი

### პარაგვაი (CONMEBOL)
ასუნსიონი
Liga Paraguaia de Futbol
დაარსდა—1906, ფიფა—1921
წითელი და თეთრი
ლურჯი
ლურჯი

### პერუ (CONMEBOL)
ლიმა
Federacion Peruana de Futbol
დაარსდა—1922, ფიფა—1924
თეთრი და წითელი
თეთრი და წითელი
თეთრი და წითელი

### პოლონეთი (UEFA)
ვარშავა
Polski Zwiazek Pilki Noznej
დაარსდა—1919, ფიფა—1923
თეთრი
წითელი
თეთრი და წითელი

### პორტუგალია (UEFA)
ლისაბონი
Federacao Portuguesa de Futebol
დაარსდა—1914, ფიფა—1926
წითელი
მწვანე
წითელი

### პუერტო რიკო (CONCACAF)
სან ხუანი
Federacion Puertorriquena de Futbol
დაარსდა—1940, ფიფა—1960
წითელი და თეთრი
ლურჯი
ლურჯი და თეთრი

### რუანდა (CAF)
კიგალი
Federation Rwandaise
de Foot-Ball Amateur
დაარსდა—1972, ფიფა—1976
წითელი, მწვანე, ყვითელი
მწვანე; წითელი

### რუმინეთი (UEFA)
ბუქარესტი
Federatia Romana de Fotbal
დაარსდა—1909, ფიფა—1930
ყვითელი
ლურჯი
წითელი

### რუსეთი (UEFA)
მოსკოვი
Rossiisky Futbolny Soyuz
დაარსდა—1912, ფიფა—1912

### საბერძნეთი (UEFA)
ათენი
Elliniki Podosfairiki Omospondia
დაარსდა—1926, ფიფა—1927
თეთრი
ლურჯი
თეთრი

### სალვადორი (CONCACAF)
სან სალვადორი
Federacion Salvadorena de Futbol
დაარსდა—1935, ფიფა—1938
ლურჯი
თეთრი
ლურჯი

### სამოა (OFC)
აპია
Western Samoa Football Association
დაარსდა—1986, ფიფა—1986
ლურჯი
თეთრი
ლურჯი და თეთრი

### სამხრეთ აფრიკა (CAF)
პრეტორია
South African Football Association
დაარსდა—1892, ფიფა—1992
მწვანე (ყვითელი)
მწვანე (ყვითელი)
მწვანე (ყვითელი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

### სან მარინო (UEFA)
სან მარინო
**Federazione Sammarinese**
**Guioco Calcio**
დაარსდა—1931, ფიფა—1988
ლურჯი
ლურჯი; ლურჯი

### სან ტომე და პრინსიპი (CAF)
სან ტომე
**Federation Santomense de Futebol**
დაარსდა—1975, ფიფა—1986
მწვანე (ყვითელი)
მწვანე (ყვითელი)
მწვანე (ყვითელი)

### საუდის არაბეთი (AFC)
ერ რიადი
**Saudi Arabian Football Federation**
დაარსდა—1959, ფიფა—1959
თეთრი მწვანე ზოლებით
თეთრი მწვანე ზოლებით
თეთრი მწვანით

### საფრანგეთი (UEFA)
პარიზი
**Federation Francaise de Football**
დაარსდა—1919, ფიფა—1904
ლურჯი
თეთრი
წითელი

### საქართველო (UEFA)
თბილისი
საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია
დაარსდა—1990, ფიფა—1992
შინდისფერი
შავი
შინდისფერი შავით და თეთრით

### სეიშელის კუნძულები (CAF)
ვიქტორია
**Seychelles Football Federation**
დაარსდა—1979, ფიფა—1986
წითელი
თეთრი
წითელი

### სენეგალი (CAF)
დაკარი
**Federation Senegalaise de Football**
დაარსდა—1960, ფიფა—1962
მწვანე
ყვითელი
წითელი

### სენტ ვინსენტი და გრენადინები (CONCACAF)
კინგსთაუნი
**St. Vincent and the Grenadines Football Federation**
დაარსდა— ფიფა—1988

### სენტ კიტსი და ნევისი (CONCACAF)
ბასტერი
**St. Kitts and Nevis Football Association**
დაარსდა— ფიფა—1992

### სენტ ლუსია (CONCACAF)
კასტრი
**St. Lucia National Football Union**
დაარსდა— ფიფა—1988
ლურჯი და თეთრი
შავი
ლურჯი

### სვაზილენდი (CAF)
მბაბანე
**National Football**
**Association of Swaziland**
დაარსდა—1976, ფიფა—1976
ლურჯი და ოქროსფერი
თეთრი; ლურჯი და ოქროსფერი

### სიერა ლეონე (CAF)
ფრიტაუნი
**Sierra Leone Football Association**
დაარსდა—1967, ფიფა—1967
მწვანე, თეთრი და ლურჯი
თეთრი
ლურჯი თეთრით

### სინგაპური (AFC)
სინგაპური
**Football Association of Singapore**
დაარსდა—1892, ფიფა—1952
თეთრი
თეთრი
თეთრი

### სირია (AFC)
დამასკო
**Association Arab Syrienne de Football**
დაარსდა—1936, ფიფა—1937
თეთრი
თეთრი
თეთრი

### სლოვენია (UEFA)
ლიუბლიანა
**Nogometna Zveza Slovenije**
დაარსდა— ფიფა—1992

### სოლომონის კუნძულები (OFC)
ჰონიარა
**Solomon Islands Football Federation**
დაარსდა— ფიფა—1988

### სომალი (CAF)
მოგადიშო
**Somali Football Federation**
დაარსდა—1951, ფიფა—1960
ცისფერი
თეთრი
თეთრი

### სომხეთი (UEFA)
ერევანი

დაარსდა— ფიფა—1992

### სუდანი (CAF)
ხართუმი
**Sudan Football Association**
დაარსდა—1936, ფიფა—1948
მწვანე
თეთრი
მწვანე

### სურინამი (CONCACAF)
პარამარიბო
**Surinaamse Voetbal Bond**
დაარსდა—1920, ფიფა—1929
წითელი, მწვანე, თეთრი
თეთრი ან მწვანე
თეთრი ან მწვანე

### ტაივანი (AFC)
ტაიპეი
**Chinese Taipei Football Association**
დაარსდა—1936, ფიფა—1954
ლურჯი
თეთრი
წითელი

### ტაილანდი (AFC)
ბანგკოკი
**The Football Association of Thailand**
დაარსდა—1916, ფიფა—1925
წითელი
წითელი
წითელი

### ტაიტი (OFC)
პაპეეტე
**Federation Tahitienne de Football**
დაარსდა— ფიფა—1990
თეთრი
წითელი
თეთრი

### ტანზანია (CAF)
დარ-ეს-სალამი
**Football Association of Tanzania**
დაარსდა—1930, ფიფა—1964
ყვითელი შავი ზოლებით
ყვითელი
ყვითელი შავი ზოლებით

### ტოგო (CAF)
ლომე
**Federation Togolaise de Football**
დაარსდა—1960, ფიფა—1962
თეთრი
მწვანე
წითელი ყვითელი ან მწვანე ზოლებით

### ტრინიდადი და ტობაგო (CONCACAF)
პორტ ოვ სპეინი
**Trinidad and Tobago Football Association**
დაარსდა—1906, ფიფა—1963
თეთრი
შავი
წითელი

### ტუნისი (CAF)
ტუნისი
**Federation Tunisienne de Football**
დაარსდა—1956, ფიფა—1960
წითელი
თეთრი
წითელი

### უგანდა (CAF)
კამპალა
**Federation of Uganda**
**Football Associations**
დაარსდა—1924, ფიფა—1959
ყვითელი შავი ზოლებით
შავი ყვითელი ზოლებით; ყვითელი და წითელი

### უელსი (UEFA)
კარდიფი
**The Football Association of Wales, ltd**
დაარსდა—1876, ფიფა—1910
წითელი
წითელი
წითელი

### უკრაინა (UEFA)
კიევი

დაარსდა— ფიფა—1992

### უნგრეთი (UEFA)
ბუდაპეშტი
**Magyar Labdarugo Szovetseg**
დაარსდა—1901, ფიფა—1906
წითელი
თეთრი
მწვანე

### ურუგვაი (CONMEBOL)
მონტევიდეო
**Asociacion Uruguaya de Futbol**
დაარსდა—1900, ფიფა—1923
ცისფერი თეთრით
ცისფერი
ცისფერი თეთრით

### ფარერის კუნძულები (UEFA)
ტორსჰავნი
**Fotboltssamband Foroya**
დაარსდა—1979, ფიფა—1988
თეთრი
ლურჯი
თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ფილიპინები (AFC)**
მანილა
**Philippine Football Federation**
დაარსდა 1907, ფიფა 1928
ლურჯი და წითელი
ლურჯი
თეთრი

**ფინეთი (UEFA)**
ჰელსინკი
**Suomen Palloliitto**
დაარსდა 1907, ფიფა 1908
თეთრი
ლურჯი
თეთრი

**ფიჯი (OFC)**
სუვა
**Fiji Football Association**
დაარსდა 1938, ფიფა 1963
თეთრი (ლურჯი)
ლურჯი
ლურჯი

**ქუვეითი (AFC)**
ელ ქუვეითი
**Kuwait Football Association**
დაარსდა 1952, ფიფა 1962
ლურჯი
თეთრი
ლურჯი

**ყატარი (AFC)**
დოჰა
**Qatar Football Association**
დაარსდა 1960, ფიფა 1970
თეთრი
ნაბლისფერი
თეთრი

**შვედეთი (UEFA)**
სტოკჰოლმი
**Svenska Fotbollforbundet**
დაარსდა 1904, ფიფა 1904
ყვითელი
ლურჯი
ყვითელი

**შვეიცარია (UEFA)**
ბერნი
**Schweizerischer Fussball-Verband**
დაარსდა 1895, ფიფა 1904
წითელი
თეთრი
წითელი

**შოტლანდია (UEFA)**
ედინბურგი
**The Scottish Football Association**
დაარსდა 1873, ფიფა 1910
მუქი ლურჯი
თეთრი
მუქი ლურჯი

**შრი ლანკა (AFC)**
კოლომბო
**Football Federation of Sri Lanka**
დაარსდა 1939, ფიფა 1950
ნაბლისფერი და ოქროსფერი
თეთრი
თეთრი

**ჩადი (CAF)**
ნჯამენა
**Federation Tcshadienne de Football**
დაარსდა 1962, ფიფა 1988

**ჩეხეთსლოვაკეთი (UEFA)**
პრაღა
**Ceskoslovensky futbalovy zvaz**
დაარსდა 1922, ფიფა 1923
წითელი
თეთრი
ლურჯი

**ჩილე (CONMEBOL)**
სანტიაგო
**Federacion de Futbol de Chile**
დაარსდა 1895, ფიფა 1912
წითელი თეთრით
ლურჯი
თეთრი

**ჩინეთი (AFC)**
პეკინი
**Football Association of The People's Republic of China**
დაარსდა 1924, ფიფა 1931
თეთრი
თეთრი; თეთრი

**ჩრდილოეთ ირლანდია (UEFA)**
ბელფასტი
**The Irish Football Association, ltd**
დაარსდა 1880, ფიფა 1911
მწვანე
თეთრი
მწვანე

**ცენტრალური აფრიკა (CAF)**
ბანგი
**Federation Centrafricaine de Football**
დაარსდა 1937, ფიფა 1963
ნაცრისფერი ლურჯით
თეთრი
წითელი ყვითელი ზოლით

**ხორვატია (UEFA)**
ზაგრები
**Croatian Football Federation**
დაარსდა ფიფა 1992

**ჰაიტი (CONCACAF)**
პორტ-ო-პრენსი
**Federation Haitienne de Football**
დაარსდა 1904, ფიფა 1933
ლურჯი და წითელი
ლურჯი
ლურჯი და წითელი

**ჰონდურასი (CONCACAF)**
ტეგუსიგალპა
**Federacion Nacional Autonoma de Futbol de Honduras**
დაარსდა 1951, ფიფა 1951
თეთრი
ლურჯი; ლურჯი

**ჰონკონგი (AFC)**
სიანგანი
**The Hong Kong Football Association, ltd**
დაარსდა 1914, ფიფა 195.
წითელი
თეთრი; წითელი

**ავსტრალია (OFC)** — ქვეყანა (რეგიონული ორგანიზაცია)
კანბერა — დედაქალაქი
**Australian Soccer Federation** — საფეხბურთო გაერთიანების დასახელება
დაარსდა 1961, ფიფა 1963 — დაარსებისა და ფიფა-ს წევრობის წელი
ოქროსფერი მწვანით — მაისურები
მწვანე — ტრუსები
თეთრი (მწვანე)-ოქროსფერი — გეტრები

როგორც ხედავთ, წარმომადგენლობით ფიფა თვით გაეროსაც კი მხოლოდ რამდენიმე წევრით ჩამორჩება. მართალია, ახალი ქვეყნების მიღება მხოლოდ **1994** წელს აშშ-ში, ფიფას მორიგ კონგრესზე მოხდება, წელსვე წევრთა რაოდენობა ერთით გაიზრდება. საქმე ისაა, რომ ამჟამად უკვე ალიარებული სახელმწიფოს ჩეხეთსლოვაკეთის (ადრე ჩეხოსლოვაკიის) ნაცვლად ფიფა-ში მის ადგილს ავტომატურად დაიკავებენ ჩეხეთი და სლოვაკეთი, თუმცა, ვინაიდან მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ჯერ კიდევ გაერთიანებული გუნდი გამოდის (სახელწოდებით ჩეხეთი და სლოვაკეთი), ჩვენც ჯერჯერობით ჩეხეთსლოვაკეთის ფედერაცია შევიტანეთ ამ სიაში.

ჩეხეთის ფეხბურთის ფედერაცია (**Cesky futbalovy zvaz**) **1901** წელს დაარსდა, ხუთი წლის შემდეგ კი ფიფა-ში გაწევრიანდა. ახლა, ფაქტიურად, მისი ამ ორგანიზაციაში აღდგენა მოხდება, ისევე როგორც ლიტვა, ლატვია და ესტონეთი აღადგინეს ფიფა-ს სრულუფლებიან წევრებად **1991** წლის **8** დეკემბერს, ნიუ-იორკში. ჩვენს ცხრილში ამ ქვეყნების ფედერაციების სწორედ პირველი ჩამოყალიბებისა და ფიფა-ში გაწევრიანების თარიღებია მოცემული, თუმცა მაშინ საფეხბურთო გაერთიანებებს სხვა სახელი ერქვა (მაგალითად ლიტვაში **Lietuvos Kamuolio Zaidimu Sajunga**), ასევე მოვიქეცით რუსეთის შემთხვევაშიც.

**1992** წელს ფიფა-ში აღადგინეს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, მაგრამ ფიფა-ს ოფიციალური ბიულეტენი, რომლითაც ჩვენ ვხელმძღვანელობდით, არ იძლევა 70-იან წლებში ფიფა-დან გარიცხული ამ ქვეყნის პირველად შესვლის თარიღს.

რაც შეეხება საფრანგეთს, აქ ფეხბურთის ფედერაცია **1919** წელს ჩამოყალიბდა. მანამდე კი საფეხბურთო საქმეებს განაგებდა და ფიფა-ში ქვეყანას წარმოადგენდა **Union des Societes Francaises des Sports Athletigues.**

სიაში არ არიან ფიფა-ს ასოცირებული წევრები აზერბაიჯანი, მოლდოვა და სხვები. მათი სრულუფლებიან წევრებად მიღება მოხდება ფიფა-ს მორიგ კონგრესზე **1994** წლის ივნისში, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ტურნირის დაწყების წინ.

ზოგიერთი ასოციაციის დაარსების თარიღი და ოფიციალური ემბლემა, სამწუხაროდ, ჯერ არ გაგვაჩნია.

# მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი

**გთავაზობთ მდგომარეობას კონკაკაფისა და ოკეანიის რეგიონებში, სადაც ტურნირი გადამწყვეტ ფაზაში შევიდა, აგრეთვე აზიის რეგიონის კალენდარს.**

## კონკაკაფი

**წინაშესარჩევი წრე**

**ჩრდილო-კარიბული რეგიონი**
21.03.92 დომინიკის რესპუბლიკა – პუერტო რიკო 1:2
29.03.92 პუერტო რიკო – დომინიკის რესპუბლიკა 1:1
22.03.92 სენტ ლუსია – სენტ ვინსენტი 1:0
29.03.92 სენტ ვინსენტი – სენტ ლუსია 3:1

შესარჩევ წრეში გავიდნენ:
**პუერტო რიკო და სენტ ვინსენტი.**

**შესარჩევი წრე**

**ჩრდილო-კარიბული რეგიონი**
26.04.92 ბერმუდა – ჰაიტი 1:0
25.05.92 ჰაიტი – ბერმუდა 2:1
25.05.92 იამაიკა – პუერტო რიკო 2:1
30.05.92 პუერტო რიკო – იამაიკა 0:1

სენტ ვინსენტი – კუბა (კუბის უარი)

პირველ წრეში გავიდნენ:
**ბერმუდა, იამაიკა და სენტ ვინსენტი.**

**სამხრეთ-კარიბული რეგიონი**
19.04.92 ანტილის კუნძულები – ანტიგუა 1:1
26.04.92 ანტიგუა – ანტილის კუნძულები 3:0
26.04.92 გაიანა – სურინამი 1:2
25.05.92 სურინამი – გაიანა 1:1
24.05.92 ბარბადოსი – ტრინიდადი და ტობაგო 1:2
31.05.92 ტრინიდადი და ტობაგო – ბარბადოსი 3:0

პირველ წრეში გავიდნენ:
**ანტიგუა, სურინამი და ტრინიდადი და ტობაგო.**

**პირველი წრე**

**ცენტრალური რეგიონი**
19.07.92 გვატემალა – ჰონდურასი 0:0
26.07.92 ჰონდურასი – გვატემალა 2:0
19.07.92 ნიკარაგუა – სალვადორი 0:5
23.07.92 სალვადორი – ნიკარაგუა 5:1
16.08.92 პანამა – კოსტა რიკა 1:0
23.08.92 კოსტა რიკა – პანამა 5:1

მეორე წრეში გავიდნენ:
**ჰონდურასი, სალვადორი და კოსტა რიკა.**

**კარიბის რეგიონი**
14.06.92 ანტიგუა – ბერმუდა 0:3
04.07.92 ბერმუდა – ანტიგუა 2:1
05.07.92 ტრინიდადი და ტობაგო – იამაიკა 1:2
16.08.92 იამაიკა – ტრინიდადი და ტობაგო 1:1
02.08.92 სურინამი – სენტ ვინსენტი 0:0
30.08.92 სენტ ვინსენტი – სურინამი 2:1

მეორე წრეში გავიდნენ:
**ბერმუდა, იამაიკა და სენტ ვინსენტი.**

**მეორე წრე**

**„ა" ჯგუფი**
08.11.92 კოსტა რიკა – ჰონდურასი 2:3
08.11.92 სენტ ვინსენტი – მექსიკა 0:4
15.11.92 მექსიკა – ჰონდურასი 2:0
15.11.92 სენტ ვინსენტი – კოსტა რიკა 0:1
22.11.92 მექსიკა – კოსტა რიკა 4:0
22.11.92 სენტ ვინსენტი – ჰონდურასი 0:4
28.11.92 ჰონდურასი – სენტ ვინსენტი 4:0
29.11.92 კოსტა რიკა – მექსიკა 2:0
05.12.92 ჰონდურასი – კოსტა რიკა 2:1
06.12.92 მექსიკა – სენტ ვინსენტი 11:0
13.12.92 კოსტა რიკა – სენტ ვინსენტი 5:0
13.12.92 ჰონდურასი – მექსიკა 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მექსიკა | 6 | 4 | 1 | 1 | 22-3 | 9 |
| ჰონდურასი | 6 | 4 | 1 | 1 | 14-6 | 9 |
| კოსტა რიკა | 6 | 3 | 0 | 3 | 11-9 | 6 |
| სენტ ვინსენტი | 6 | 0 | 0 | 6 | 0-29 | 0 |

ფინალურ წრეში გავიდნენ:
**მექსიკა და ჰონდურასი**

**„ბ" ჯგუფი**
18.10.92 იამაიკა – კანადა 1:1
18.10.92 ბერმუდა – სალვადორი 1:0
25.10.92 სალვადორი – კანადა 1:1
25.10.92 ბერმუდა – იამაიკა 1:1
01.11.92 კანადა – იამაიკა 1:0
01.11.92 სალვადორი – ბერმუდა 4:1
08.11.92 კანადა – სალვადორი 2:3
08.11.92 იამაიკა – ბერმუდა 3:2
15.11.92 კანადა – ბერმუდა 4:2
22.11.92 იამაიკა – სალვადორი 0:2
06.12.92 ბერმუდა – კანადა 0:0
06.12.92 სალვადორი – იამაიკა 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სალვადორი | 6 | 4 | 1 | 1 | 12-6 | 9 |
| კანადა | 6 | 2 | 3 | 1 | 9-7 | 7 |
| იამაიკა | 6 | 1 | 2 | 3 | 6-9 | 4 |
| ბერმუდა | 6 | 1 | 2 | 3 | 7-12 | 4 |

ფინალურ წრეში გავიდნენ:
**სალვადორი და კანადა.**

**ფინალური წრის კალენდარი**

**4 აპრილი.** ჰონდურასი – კანადა, სალვადორი – მექსიკა; **11 აპრილი.** მექსიკა – ჰონდურასი, კანადა – სალვადორი; **18 აპრილი.** კანადა – ჰონდურასი, მექსიკა – სალვადორი; **25 აპრილი.** მექსიკა – კანადა, ჰონდურასი – სალვადორი; **2 მაისი.** ჰონდურასი – მექსიკა, სალვადორი – კანადა; **9 მაისი.** კანადა – მექსიკა, სალვადორი – ჰონდურასი.

გამარჯვებული მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალის საგზურს მიიღებს, მეორე ადგილზე გასული ჯერ ოკეანიის ზონის გამარჯვებულს შეხვდება, წარმატების შემთხვევაში კი სამხრეთ ამერიკის „ა" ჯგუფში მეორე ადგილზე გასულს შეეცილება აშშ-ს კიდევ ერთ საგზურს.

## ოკეანია

**I ჯგუფი**

11.07.92 სოლომონის კუნძულები – ტაიტი 1:1
04.09.92 სოლომონის კუნძულები – ავსტრალია 1:2
11.09.92 ტაიტი – ავსტრალია 0:3
20.09.92 ავსტრალია – ტაიტი 2:0
25.09.92 ავსტრალია – სოლომონის კუნძულები 6:1
09.10.92 ტაიტი – სოლომონის კუნძულები 4:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ავსტრალია | 4 | 4 | 0 | 0 | 13-2 | 8 |
| ტაიტი | 4 | 1 | 1 | 2 | 5-8 | 3 |
| სოლომონის კ-ბი | 4 | 0 | 1 | 3 | 5-13 | 1 |

**II ჯგუფი**

07.06.92 ახალი ზელანდია – ფიჯი 3:0
27.06.92 ვანუატუ – ახალი ზელანდია 1:4
01.07.92 ახალი ზელანდია – ვანუატუ 8:0
12.09.92 ფიჯი – ვანუატუ 3:0
19.09.92 ფიჯი – ახალი ზელანდია 0:0
26.09.92 ვანუატუ – ფიჯი 0:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ახალი ზელანდია | 4 | 3 | 1 | 0 | 15-1 | 7 |
| ფიჯი | 4 | 2 | 1 | 1 | 6-3 | 5 |
| ვანუატუ | 4 | 0 | 0 | 4 | 1-18 | 0 |

**ჯგუფებში გამარჯვებულები ჯერ ერთმანეთში გაარკვევენ ურთიერთობას:**

**29 მაისი.** ახალი ზელანდია – ავსტრალია
**5 ივნისი.** ავსტრალია – ახალი ზელანდია

ამათში გამარჯვებული კონკაკაფის მეორე გუნდს შეხვდება, წარმატების შემთხვევაში კი სამხრეთ ამერიკის „ა" ჯგუფში მეორე ადგილზე გასულს ეთამაშება ფინალური ეტაპის საგზურისთვის.

## აზია

**„ა" ჯგუფი**
22 მაისი. იორდანია – იემენი, პაკისტანი – ჩინეთი; 24 მაისი. იორდანია – ერაყი, იემენი – პაკისტანი; 26 მაისი. იორდანია – ჩინეთი, იემენი – ერაყი; 28 მაისი. პაკისტანი – ერაყი, იემენი – ჩინეთი; 30 მაისი. იორდანია – პაკისტანი, ერაყი – ჩინეთი. **თამაშები ჩატარდება ამანში (იორდანია).** 12 ივნისი. იემენი – იორდანია, ჩინეთი – პაკისტანი; 14 ივნისი. პაკისტანი – იემენი, ერაყი – იორდანია; 16 ივნისი. იორდანია – ჩინეთი, ერაყი – იემენი; 18 ივნისი. ერაყი – პაკისტანი, იემენი – ჩინეთი; 20 ივნისი. პაკისტანი – იორდანია, ჩინეთი – ერაყი. **თამაშები გაიმართება პეკინში (ჩინეთი).**

**„ბ" ჯგუფი**
28 ივნისი. ირანი – ომანი, ტაივანი – სირია; 30 ივნისი. ომანი – სირია, ტაივანი – ირანი; 2 ივლისი. ირანი – სირია, ომანი – ტაივანი. **თამაშები გაიმართება თეირანში (ირანი).** 7 ივლისი. ომანი – ირანი, სირია – ტაივანი; 9 ივლისი. სირია – ომანი, ტაივანი – ირანი; 11 ივლისი. სირია – ირანი, ომანი – ტაივანი. **თამაშები გაიმართება დამასკოში (სირია).**

**„გ" ჯგუფი**
9 აპრილი. ყატარი – ინდონეზია, კსდრ – ვიეტნამი; 11 აპრილი. კსდრ – სინგაპური, ვიეტნამი – ყატარი; 13 აპრილი. სინგაპური – ვიეტნამი, კსდრ – ინდონეზია; 16 აპრილი. ყატარი – სინგაპური, ვიეტნამი – ინდონეზია; 18 აპრილი. ინდონეზია – სინგაპური, ყატარი – კსდრ. **თამაშები გაიმართება დოჰაში (ყატარი).** 24 აპრილი. ინდონეზია – ყატარი, ვიეტნამი – კსდრ; 26 აპრილი. ვიეტნამი – ყატარი, კსდრ – სინგაპური; 28 აპრილი. ინდონეზია – კსდრ, სინგაპური – ვიეტნამი; 30 აპრილი. ყატარი – სინგაპური, ინდონეზია – ვიეტნამი; 2 მაისი. სინგაპური – ინდონეზია, კსდრ – ყატარი. **თამაშები გაიმართება სინგაპურში.**

**„დ" ჯგუფი**
7 მაისი. ჰონკონგი – ბაჰრეინი, ინდოეთი – ლიბანი; 9 მაისი. ბაჰრეინი – კორეა, ლიბანი – ჰონკონგი; 11 მაისი. ლიბანი – კორეა, ინდოეთი – ჰონკონგი; 13 მაისი. ბაჰრეინი – ლიბანი, კორეა – ინდოეთი; 15 მაისი. ჰონკონგი – კორეა, ინდოეთი – ბაჰრეინი. **თამაშები გაიმართება ბეირუთში (ლიბანი).** 5 ივნისი. კორეა – ჰონკონგი, ბაჰრეინი – ლიბანი; 7 ივნისი. ინდოეთი – ბაჰრეინი, ლიბანი – კორეა; 9 ივნისი. ჰონკონგი – ლიბანი, კორეა – ინდოეთი; 11 ივნისი. ინდოეთი – ლიბანი, ბაჰრეინი – ჰონკონგი; 13 ივნისი. ჰონკონგი – ინდოეთი, ბაჰრეინი – კორეა. **თამაშები გაიმართება სეულში (კორეა).**

**„ე" ჯგუფი**
1 მაისი. საუდის არაბეთი – მაკაო, მალაიზია – ქუვეითი; 3 მაისი. ქუვეითი – მაკაო, საუდის არაბეთი – მალაიზია; 5 მაისი. ქუვეითი – საუდის არაბეთი, მალაიზია – მაკაო. **თამაშები გაიმართება კუალა ლუმპურში (მალაიზია).** 14 მაისი. საუდის არაბეთი – მაკაო, ქუვეითი – მალაიზია; 16 მაისი. მაკაო – ქუვეითი, მალაიზია – საუდის არაბეთი; 18 მაისი. მაკაო – მალაიზია, საუდის არაბეთი – ქუვეითი. **თამაშები გაიმართება ერ-რიადში (საუდის არაბეთი).**

**„ვ" ჯგუფი**
8 აპრილი. იაპონია – ტაილანდი, შრი ლანკა – არაბეთის გაერთიანებული საემიროები; 11 აპრილი. იაპონია – ბანგლადეში, ტაილანდი – შრი ლანკა; 13 აპრილი. ბანგლადეში – შრი ლანკა, არაბეთის გ.ს. – ტაილანდი; 15 აპრილი. იაპონია – შრი ლანკა, ბანგლადეში – არაბეთის გ.ს.; 18 აპრილი. იაპონია – არაბეთის გ.ს., ტაილანდი – ბანგლადეში. **თამაშები გაიმართება ტოკიოში (იაპონია).** 28 აპრილი. ტაილანდი – იაპონია, არაბეთის გ.ს. – შრი ლანკა; 30 აპრილი. ბანგლადეში – იაპონია, ტაილანდი – არაბეთის გ.ს.; 3 მაისი. შრი ლანკა – ტაილანდი, ბანგლადეში – არაბეთის გ.ს.; 5 მაისი. ბანგლადეში – ტაილანდი, შრი ლანკა – იაპონია; 7 მაისი. ბანგლადეში – შრი ლანკა, არაბეთის გ.ს. – იაპონია. **თამაშები გაიმართება დუბაიში (არაბეთის გ.ს.).**

**ჯგუფების გამარჯვებულები ორწრიან ტურნირში ფინალური ეტაპის 2 საგზურს გაითამაშებენ.**

# სტატისტიკა

## საერთაშორისო მატჩები

16.12.92. პორტუ-ალეგრი. 45 000 მაყურებელი. ამხანაგური მატჩი.

**ბრაზილია — გერმანია 3:1**

**ბრაზილია:** ტაფარელი, ჟორჟინიო, პაულაო, სელიო სილვა, ბრანკო, მაურო სილვა, ენრიკე (ჟუნიორი, 53), ზინიო, ბებეტო (რომარიო, 68), კარეკა, სილასი (ლუზინიო, 89).

**გერმანია:** ილგნერი, ბუხვალდი, კოლერი, ვერნსი, ვოლტერი (ცორკი, 59), პესლერი (ზამერი, 80), ეფენბერგი, მათეუსი, ვაგნერი (კ. რაინჰარდტი, 46), კლინსმანი, ტომი (დოლი, 68).

**მსაჯი:** ხუან ესკობარი (პარაგვაი)

**გოლები:** ენრიკე (39), ბებეტო (42), ზამერი (85), ჟორჟინიო (90).

20.12.92. მონტევიდეო. „ესტადიო სენტენარიო". 30 000 მაყურებელი. ამხანაგური მატჩი.

**ურუგვაი — გერმანია 1:4**

**ურუგვაი:** სიბოლდი, გომესი, სანჩესი, მოასი, კაბრერა, სარალეგი (გარსია, 59), სალასარი, გუტიერესი, მორანი, გერა, პელეტი.

**გერმანია:** კეპკე, ტონი, კოლერი, პელმერი, პესლერი (ზამერი, 84), ბუხვალდი, მათეუსი, ცორკი, დოლი (კირსტენი, 84), მიოლერი, კლინსმანი (ლაბადია, 75).

**მსაჯი:** ლუსტო (არგენტინა)

**გოლები:** ბუხვალდი (41), მიოლერი (61), პესლერი (72), კლინსმანი (76), მორანი (83).

24.01.93. ლა-ვალეტა. ეროვნული სტადიონი. 10 000 მაყურებელი. მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. I ჯგუფი.

**მალტა — პორტუგალია 0:1**

**მალტა:** კლუეტი, ს. ველა, გალეა, ბრინკატი, ბუხაჯარი, ბუტიგიგი, რ. ველა (სუდა, 46), ბუზუტილი, გრეგორი, ლაფერლა, სკერი (დე ჯორჯო, 73).

**პორტუგალია:** ვიტორ ბაია, ჟოაო პინტუ I, ველოსუ, ჟორჟე კოუტუ, პელდერი, ოსეანუ, არაუჟუ (ჟოაო პინტუ II, 51), სემედუ, დომინგუში (ჟაიმე მაგალიაეში, 64), რუი აგუაში, ფიგუ.

**მსაჯი:** ელერი (ინგლისი)

**გოლი:** რუი აგუაში (58).

27.01. ლას-პალმასი. „ინსულარი". 40 000 მაყურებელი. ამხანაგური მატჩი.

**ესპანეთი — მექსიკა 1:1**

**ესპანეთი:** სუბისარეტა, ფერერი, სოლოსაბალი (ალკორტა, 46), ლოპესი, ნანდო (ტონი, 46), ხელი (კრისტობალი, 46), იმასი, გერერო, ფრანი, ალფონსო (კლაუდიო, 46), კიკო ნარვაესი (კრისტიანსენი, 46).

**მექსიკა:** კამპოსი, სუარესი, პერალესი, ამბრისი, რამირესი, ესპანია, ორდიალესი, ანდრადე (ესპინოსა, 56), ალვეს ზაგე, ლუის გარსია, ლუჩო ფლორესი (ურიბე, 60).

**მსაჯი:** როტლისბერგერი (შვეიცარია)

**გოლები:** სუარესი (43), ტონი (73 პ).

13.02. ნიქოზია. 3 000 მაყურებელი. მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. IV ჯგუფი.

**კვიპროსი — ბელგია 0:3**

**კვიპროსი:** ონისიფორუ, კალოტეუ (სოტირიუ, 71), პიტასი, კონსტანტინუ, პ. ხრისტოდუ, იანგულაკისი (ხარალამბუსი, 58), კოსტა, დ. იოანუ, პაპავასილიუ, ი. იოანუ, სავიდისი.

**ბელგია:** პრიუდომი, მედვედი, გრიუნი, ალბერი, სმიდტსი, ბოფუნი, შიფო (გოსენსი, 87), სტალენსი, ვან დერ ელსტი, დეგრიზი, ნილისი (ჩერნიატინსკი, 75).

**მსაჯი:** ჩეზარინი (იტალია)

**გოლები:** შიფო (2, 5), ალბერი (87).

**გაფრთხილება:** კალოტეუ, პიტასი.

13.02. ორლანდო. „სიტრეს ბოული". 13 650 მაყურებელი. ამხანაგური მატჩი.

**აშშ — რუსეთი 0:1**

**აშშ:** მეოლა, ბალბოა, ლაფერი, კალიგიური (აგუსი, 83), კლავიჯო, არმსტრონგი (სორბერი, 63), ვუდრინგი (მიხალიკი, 79), კინირი, ვერმესი (ჯოუნსი, 63), კლოუპასი, პენდერსონი (მური, 63).

**რუსეთი:** ჩერჩესოვი, ხლესტოვი, ჩერნიშოვი, ა. ივანოვი, ონოპკო, ლედიახოვი (აფანასიევი, 58), პოპოვი (თედეევი, 33), კარპინი, ვ. ბესჩასტნიხი, სერგეევი (მატვეევი, 70), რადჩენკო.

**გოლი:** სერგეევი (12).

17.02. გლაზგო. 35 490 მაყურებელი. მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. I ჯგუფი.

**შოტლანდია — მალტა 3:0**

**შოტლანდია:** გორამი, მაკფერსონი (რობერტსონი, 73), ბოიდი, მაკსტეი, მაკლიში, მაკლარენი, ნევინი, მაკალისტერი (ფერგიუსონი, 73), მაკკოისტი, კოლინზი, ჯესი.

**მალტა:** კლუეტი, ს. ველა, ბუხაჯარი, გალეა, ბრინკატი, ბუტიგეგი, ბუზუტილი, სალიბა, დ. კამილერი, ლაფერლა, სულთანა.

**მსაჯი:** კოპი (ფინეთი)

**გოლები:** მაკკოისტი (15, 68), ნევინი (84).

17.02. ლონდონი. „უემბლი". 51 154 მაყურებელი. მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. II ჯგუფი.

**ინგლისი — სან მარინო 6:0**

**ინგლისი:** ვუდსი, დიქსონი, უოლკერი, ადამსი, დორიგო, გესქოინი, ბეტი, პლატი, პალმერი, ფერდინანდი, ბარნსი.

**სან მარინო:** ბენედეტინი, მუჩიოლი, ჯენარი, ძანოტი, კანტი, გუერა, მანძაროლი, მ. მაკა, ბაჩიოკი (ბ. მაცა, 63), ბონინი, ფრანჩინი (მატეონი, 81).

**მსაჯი:** ფილიპი (ლუქსემბურგი)

**გოლები:** პლატი (13, 24, 67, 83), პალმერი (78), ფერდინანდი (86).

17.02. ტირანა. „ქემალ სტაფა". 20 000 მაყურებელი. მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. III ჯგუფი.

**ალბანეთი — ჩრდ. ირლანდია 1:2**

**ალბანეთი:** კაპილარი, ზმიანი, კაჩაი, ბაკო, კატა, ბოზგო, ლეკბელო, ფორტუზი, აბაზი, რაკლი, დემოლარი.

**ჩრდ. ირლანდია:** რაიტი, ფლემინგი, მოროუ, ტაგარტი, მაკდონალდი, დონაჰიუ, მეგილტონი, მ. ო'ნილი, დოუი, ფ. გრეი, ბლეკი.

**მსაჯი:** ბოგდანოვი (ბულგარეთი)

**გოლები:** დონაჰიუ (15), მაკდონალდი (41), რაკლი (89).

17.02. ათენი. 40 000 მაყურებელი. მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. V ჯგუფი.

**საბერძნეთი — ლუქსემბურგი 2:0**

**საბერძნეთი:** მინუ, აპოსტოლაკისი, კარატაიდისი, მანოლასი, კალიციდაკისი, პ. ცალუხიდისი, დონისი (კარაპიალისი, 60), ფრანცესკოსი (მიტროპულოსი, 60), დიმიტრიადისი, მიობლასი, ციანდაკისი.

**ლუქსემბურგი:** კოხი, ვაისი, ვოლფი, პეტრი, ბოსი, ბულსენი, ზიმერსი, ჯელისი, გრაფი (სკუტო, 70), ლანგერი, მალეჯ (მარაკუტი, 80).

**მსაჯი:** კრონდლი (ჩეხეთი და სლოვაკეთი)

**გოლები:** დიმიტრიადისი (30 პ), მიტროპულოსი (65).

17.02. თელ-ავივი. „რამათ განი". 29 000 მაყურებელი. მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. VI ჯგუფი.

**ისრაელი — საფრანგეთი 0:4**

**ისრაელი:** გინზბურგი, ხალფონი, ხალელი, ხაზანი, კლინგერი, ა. ხარაზი, ბანინი, ჩიმნი, ამარი (დრიქსი, 56), რ. ხარაზი, როზენტალი.

**საფრანგეთი:** ლამა, ბოლი, როში, ბლანი, ლიზარაზუ (ლოკო, 82), ლე გუენი, დეშამი, სოზე, ჟინოლა (პეტი, 63), პაპენი, კანტონა.

**მსაჯი:** ვუიჩიკი (პოლონეთი)

**გოლები:** კანტონა (27), ბლანი (62, 84), როში (88).

18.02. ლოს ანჯელესი. „როუზ ბოული". 16 000 მაყურებელი. ამხანაგური მატჩი.

**სალვადორი — რუსეთი 1:2**

**სალვადორი:** გარსია, ოზორიო, ტრიხეროსი, კარკანო, აბრეგო, ვასკესი (სიენფუეგოსი, 28), რივერა, მაური, მელენდესი (პალასიოსი, 57), არსე, ირახეტა.

**რუსეთი:** ოვჩინნიკოვი, ხლესტოვი, სკლიაროვი, ა. ივანოვი, აფანასიევი, ონოპკო, კარპინი (სერგეევი, 46), ლედიახოვი, ტედეევი, ვ. ბესჩასტნიხი (მატვეევი, 78), რადჩენკო.

**გოლები:** ონოპკო (53), თედეევი (55), არსე (60).

**გაფრთხილება:** ხლესტოვი, სკლიაროვი.

**გაძევება:** რადჩენკო (40).

21.02. სან ხოსე. სტაფორდის უნივერსიტეტის სტადიონი. 26 450 მაყურებელი. ამხანაგური მატჩი.

**აშშ — რუსეთი 0:0**

**აშშ:** ფრიდელი, ბალბოა, არმსტრონგი (კალიგიური, 59), კლავიჯო, დოული, ლაფერი, პენდერსონი (ჯოუნსი, 59), ქუინი, ვერმესი (მური, 68), კინირი, პარბორი.

**რუსეთი:** ჩერჩესოვი, ხლესტოვი, ჩერნიშოვი, ა. ივანოვი, ონოპკო, ლედიახოვი, კარპინი, პოპოვი (თედეევი, 46), ვ. ბესჩასტნიხი (მატვეევი, 46), სერგეევი, რადჩენკო.

24.02. ლისაბონი. 65 000 მაყურებელი. მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. I ჯგუფი.

**პორტუგალია — იტალია 1:3**

**პორტუგალია:** ვიტორ ბაია, ჟოაო პინტუ I, პელეგრინი (რუი ბარუში, 35), მენდეში, ჟორჟე კოუტუ, ოსეანუ, სემედუ, ფიგუ, დომინგუში, ფუტრე, ჟაკერი (რუი აგუაში, 46).

**იტალია:** პალიუკა, ტასოტი, მალდინი, დ. ბაჯო, კოსტაკურტა, ვიერხოვოდი, ფუზერი, ალბერტინი, კაზირაგი (ლენტინი, 26), რ. ბაჯო (მანჩინი, 85), სინიორი.

**მსაჯი:** კარლსონი (შვედეთი)

**გოლები:** რ. ბაჯო (2), კაზირაგი (24), პალიუკა (57, საკ. კარში), დ. ბაჯო (74).

24.02. უტრეხტი. 14 000 მაყურებელი. მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. II ჯგუფი.

**ჰოლანდია — თურქეთი 3:1**

**ჰოლანდია:** დე გუი, დე კოკი, კუმანი, სილოი, ვაუტერსი (ვინტერი, 73), იონკი, რობ ვიჩხე, გულიტი, ბერხკამპი, ვან ფოსენი (დე ბური, 70), ოვერმარსი.

**თურქეთი:** ენგინი, რეჯეპი, ბულენტი, გეკჰანი, თუგაი (სერჰათი, 78), ალი, ფეიაზი (საფეტი, 70), უნალი, ოგიუზი, ორჰანი, ჰაკანი.

**მსაჯი:** ნავარეტო (ესპანეთი)

**გოლები:** ოვერმარსი (4), ფეიაზი (36 პ), ვიჩხე (37, 57).

**გაფრთხილება:** კუმანი, რეჯეპი, თუგაი.

24.02. სევილია. „სანჩეს პისხუანი". 20 000 მაყურებელი. მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. III ჯგუფი.

**ესპანეთი — ლიტვა 5:0**

**ესპანეთი:** სუბისარეტა, ფერერი, ლასა, ალკორტა, გინერი, გვარდიოლა, კრისტობალი, იერო (ალდანა, 59), სალინასი (კრისტიანსენი, 72), ბაკერო, ბეგირისტაინი.

**ლიტვა:** მარტინკენასი, ბუზმაკოვი, იანონისი, სუკრისტოვი, ვაინორასი, მაუეიკისი, ზდანჩუსი, ტერეშკინი (უუტა, 72), ივანაუსკასი, ფრიდრიკასი, ბარანაუსკასი.

**მსაჯი:** მიკალეფი (მალტა)

**გოლები:** კრისტობალი (5), ბაკერო (13), ბეგირისტაინი (17), კრისტიანსენი (87), ალდანა (90).

## თანამეგობრობის თასი

**მოსკოვი. 25-31 იანვარი, 1993.**
**ტურნირი გაიმართა ხელოვნურსაფარიან დარბაზებში.**

**„ა" ჯგუფი.**

„ნეფთჩი" (ბაქო, აზერბაიჯანი) — „სკონტო" (რიგა, ლატვია) 0:1

„სპარტაკი" (მოსკოვი, რუსეთი) — „სკონტო" 7:0

„სპარტაკი" — „ნეფთჩი" 8:0

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" | 2 | 0 | 0 | 15-0 | 4 |
| „სკონტო" | 1 | 0 | 1 | 1-7 | 2 |
| „ნეფთჩი" | 0 | 0 | 2 | 0-9 | 0 |

**„ბ" ჯგუფი.**

„კოპეტდაგი" (აშგაბატი, თურქმენეთი) — „ზიმბრული" (კიშინიოვი, მოლდოვა) 6:1

„დინამო" (თბილისი, საქართველო) — „ფახთაქორი" (ტაშკენტი, უზბეკეთი) 5:2. „დინამო": ზოიძე (ჩხეიძე), ბერაძე, ჯამარაული (კვარაცხელია), შელია (ქველაძე), კუდინოვი, ყაველაშვილი (არზიანი), ინალიშვილი (ანჩაბაძე), ჩიქოვანი, რ. არველაძე, ქინქლაძე, შ. არველაძე. გოლები: შ. არველაძე-2, ქინქლაძე, ყაველაშვილი, კვარაცხელია.

„ფახთაქორი" — „კოპეტდაგი" 3:1

„დინამო" — „ზიმბრული" 3:1. „დინამო": ზოიძე, არზიანი, ჯამარაული (ინალიშვილი), შელია, ქველაძე, ყაველაშვილი (კუდინოვი), ანჩაბაძე, ბერაძე, რ. არველაძე (რეხვიაშვილი), ქინქლაძე, შ. არველაძე (ჩიქოვანი). გოლები: შ. არველაძე-2, ინალიშვილი.

„ფახთაქორი" — „ზიმბრული" 3:3

„დინამო" — „კოპეტდაგი" 2:2. „დინამო": ზოიძე, ბერაძე, ჯამარაული (ქველაძე), შელია, კუდინოვი (არზიანი), ყაველაშვილი (ა. არველაძე), ინალიშვილი, ჩიქოვანი, რ. არველაძე, ქინქლაძე, შ. არველაძე. გოლები: ყაველაშვილი, შ. არველაძე.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" | 2 | 1 | 0 | 10-5 | 5 |
| „კოპეტდაგი" | 1 | 1 | 1 | 9-6 | 3 |
| „ფახთაქორი" | 1 | 1 | 1 | 8-9 | 3 |
| „ზიმბრული" | 0 | 1 | 2 | 5-12 | 1 |

**„გ" ჯგუფი.**

„კაირათი" (ალმა-ათა, ყაზახეთი) — „ალგა" (ბიშკეკი, ყირგიზეთი) 3:2

„ალგა" — „ეკრანასი" (პანევეჟისი, ლიტვა) 1:5

„ეკრანასი" — „კაირათი" 0:0

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| „ეკრანასი" | 1 | 1 | 0 | 5-1 | 3 |
| „კაირათი" | 1 | 1 | 0 | 3-2 | 3 |
| „ალგა" | 0 | 0 | 2 | 3-8 | 0 |

**„დ" ჯგუფი.**

„პომენტმენი" (ერევანი, სომხეთი) — „ბელარუსი" (მინსკი, ბელარუსი) 0:2

„ნორმა" (ტალინი, ესტონეთი) — „რეგარი" (ტურსუნ-ზადე, ტაჯიკეთი) 5:0

„რეგარი" — „პომენტმენი" 1:2

„ბელარუსი" — „ნორმა" 1:0

„პომენტმენი" — „ნორმა" 3:3

„ბელარუსი" — „რეგარი" 6:2

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| „ბელარუსი" | 3 | 0 | 0 | 9-2 | 6 |
| „ნორმა" | 1 | 1 | 1 | 8-4 | 3 |
| „პომენტმენი" | 1 | 1 | 1 | 5-6 | 3 |
| „რეგარი" | 0 | 0 | 3 | 3-13 | 0 |

**ნახევარფინალი**

„ბელარუსი" — „ეკრანასი" 0:0 პ 4:2

„სპარტაკი" — „დინამო" 2:1. „დინამო": ზოიძე, ბერაძე, ჯამარაული (ანჩაბაძე), შელია, კუდინოვი, ყაველაშვილი, ინალიშვილი (ა. არველაძე), ჩიქოვანი, რ. არველაძე, ქინქლაძე, შ. არველაძე. გოლი: შელია.

**ფინალი**

„სპარტაკი" — „ბელარუსი" 8:0

**ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი შოთა არველაძე (5 გოლი).**




# ბასბის გუნდის დაღუპვა

**6.02.1958** ტრაგიკული დღე ბრიტანეთისა და მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში — ამ დღეს ავიაკატასტროფაში დაიღუპა პოპულარული „მანჩესტერ იუნაიტედი".

...ჩემპიონთა თასის გათამაშების შეხვედრაში „ცრვენა ზვეზდასთან" მოგებული მატჩის შემდეგ „მანჩესტერ იუნაიტედი" შინ ბრუნდებოდა. თვითმფრინავი, რომელიც ჩარტერულ რეისს ასრულებდა, მიუნხენის აეროპორტში დაეშვა საწვავის დასამატებლად. მიუნხენი ინგლისელ ფეხბურთელებს თოვლიანი ამინდით დახვდა. გუნდის წევრები ნახევარი საათით აეროპორტის შენობაში შევიდნენ ყავის დასალევად. 2 საათსა და 30 წუთზე ყველანი თვითმფრინავში ისხდნენ და... პირველი ცდა უშედეგოდ დამთავრდა — აფრენა ვერ მოხერხდა. ცოტა ხანში იგივე განმეორდა, თუმცა „მანჩესტერის" ფეხბურთელებს ამისათვის ყურადღება არ მიუქცევიათ, იმდენად იყვნენ გართულნი ბელგრადის მატჩის პერიპეტიების გახსენებით. ბორტგამცილებელმა მგზავრებს ბოდიში მოუხადა და მოახსენა, რომ პატარა შეკეთება იყო საჭირო. კვლავ აეროპორტის შენობა. 2 საათსა და 50 წუთზე ფეხბურთელები კვლავ მოიხმეს ჩასხდომაზე. 3 საათსა და 3 წუთზე თვითმფრინავი თავის მესამე და უკანასკნელ ცდაზე წავიდა. 54 წამის შემდეგ ხომალდი ასაფრენი ბილიკის უკან მდებარე შენობას დაეცა და ნანგრევებად აქცია... ასეთია მოკლე აღწერა იმისა, თუ როგორ დაიღუპა იმდროინდელი ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბი „მანჩესტერ იუნაიტედი".

1936-39 წლებში ცნობილ „ლივერპულში" თამაშობდა ფეხბურთელი, გვარად ბასბი, რომელიც აქტიური კარიერის დამთავრებისთანავე მწვრთნელი გახდა. მალე ის „მანჩესტერ იუნაიტედს" ჩაუდგა სათავეში და იმ დღიდან კლუბში დიდი ცვლილებები მოხდა. მწვრთნელმა მთავარი აქცენტი ახალგაზრდა ფეხბურთელებზე გააკეთა და მალე გუნდი ინგლისური ფეხბურთის უდავო ლიდერი ხდება. 1957-58 წლების სეზონი „მანჩესტერმა" ჩემპიონის სახელით დაიწყო და ზამთრისათვის ჩვეულ ადგილს იკავებდა, პარალელურად წარმატებით გამოდიოდა ევროპის ჩემპიონთა თასზეც...

ტრაგედიის შესახებ ხმა მანჩესტერში ელვის სისწრაფით გავრცელდა. კლუბის სტადიონი „ოლდ ტრეფორდი", რომელიც იმხანად 60 ათასს მაყურებელს იტევდა, დილისთვის გადაჭედილი იყო, თუმცა შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს იქ კაციშვილი არ იყო — გულშემატკივრები ჩუმად დასტიროდნენ საყვარელ გუნდს. უცბად სტადიონის რადიო ჩაირთო, საიდანაც მიუნხენიდან პირდაპირი ტრანსლირება ხდებოდა. მატ ბასბი ცოცხალია! — გადმოსცემდა აღელვებული ხმა პირდაპირ მიუნხენის ჰოსპიტალიდან. ამავე ჰოსპიტალში იყვნენ მოთავსებულნი სასწაულად გადარჩენილები, მათ შორის 20 წლის ბობი ჩარლტონი. კატასტროფის შემდეგ ბობი თვითმფრინავიდან 60 მეტრის დაშორებით იპოვეს. იგი ტიროდა. ბობის გვერდით იყვნენ მისი მეგობრები: როჯერ ბირნი, ედი კოლმენი და ტომი ტეილორი, თუმცა ისინი ვეღარასოდეს გაიგებენ იმას, რომ იმ კოშმარული ღამის შემდეგ ბობი კვლავ დაუბრუნდება ფეხბურთს და ეროვნულ გუნდში 106 თამაშს ჩაატარებს. კიდევ ორი გადარჩენილი — ჯონ ბერი და ჯეკი ბლენჩფლაუერი უკვე ვერასოდეს დაუბრუნდებიან ფეხბურთს. გარდაცვლილთა შორის იყო ინგლისური ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავი დანკან ედვარდსიც. როცა ბასბის გონება დაუბრუნდა, მისი პირველი სიტყვები იყო: ედვარდსი გადარჩა? უარყოფითი პასუხის შემდეგ მწვრთნელმა კვლავ დაკარგა გონება.

რვა ფეხბურთელთან, მწვრთნელ ტომ კერისთან, სელექციონერ ბერტ ველისთან და კლუბის ადმინისტრაციის თავმჯდომარე უოლტერ კრიკმენთან ერთად დაიღუპა შვიდი ჟურნალისტიც. სპორტულ ჟურნალისტთა მსოფლიო ასოციაციის დღევანდელი პრეზიდენტი ფრენკ ტეილორი, რომელმაც მომავალში ამ კატასტროფაზე წიგნი დაწერა, ალმოკიდებული თვითმფრინავიდან „დეილი მეილის" ფოტორეპორტიორმა პიტერ ჰოვარდმა გამოიყვანა. დაიღუპა ვილი სატინოფი, გუნდის ყველაზე ერთგული გულშემატკივარი. იგი ყველგან დაყვებოდა გუნდს და იმქვეყნადაც მათთან ერთად წავიდა.

1968 წელს „იუნაიტედმა" ჩემპიონთა თასის ფინალში „ბენფიკას" მოუგო და ინგლისური კლუბებიდან პირველმა მოიპოვა ეს თასი. თამაშის შემდეგ ბასბიმ თქვა: „ახლა შემიძლია წავიდე. ჩვენ მოვიხადეთ ვალი მიუნხენში დაღუპულების წინაშე".



ტრაგედიამდე რამდენიმე დღით ადრე. დგანან: (მარცხნიდან): ტომ კერი (მწვრთნელი), დანკან ედვარდსი, მარკ ჯოუნსი, რეი ვუდი, ბობი ჩარლტონი, ბილ ფულკსი, მატ ბასბი; სხედან: ჯონ ბერი, ბილი ვილანი, როჯერ ბირნი, დევიდ პეგი, ედი კოლმანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**როჯერ ბირნი.**

მცველი, გუნდის კაპიტანი.

28 წლის. პირველი მატჩი „მანჩესტერის“ შემადგენლობაში ითამაშა 1951 წლის დეკემბერში „ლივერპულთან“. გუნდში მოვიდა 1948 წელს „რიდერ ბროოს“ იუნიორთა გუნდიდან. ინგლისის ჩემპიონატში ჩაატარა 245 მატჩი. 33-ჯერ ეცვა ინგლისის ნაკრების მაისური. უკვე ფეხბურთელად ყოფნის პერიოდში ფიქრობდა მომავალზე: ფიზიოთერაპევტი მეუღლის გავლენით უნდოდა თავადაც ამ პროფესიას გაჰყოლოდა. კატასტროფის შემდეგ მის ცოლს ბიჭი შეეძინა — როჯერ ბირნი უმცროსი.



**ჯოფ ბენტი.**

მცველი.

24 წლის. დაიბადა სალფორდში. იყო ამ ქალაქის სკოლების ნაკრების კაპიტანი, როცა მათ ინგლისის სკოლების ჩემპიონატი მოიგეს. დებიუტი „მანჩესტერში“ ჰქონდა 1954 წლის 11 დეკემბერს „ბიორნლისთან“ და თუმცა კარგ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, დებიუტის შემდეგ ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ 12-ჯერ გამოჩნდა. ბელგრადის მატჩში მონაწილეობა თავიდან ეჭვის ქვეშ იდგა ავადმყოფობის გამო.



**ედი კოლმანი.**

ნახევარმცველი.

21 წლის. დაიბადა სალფორდში. „მანჩესტერში“ მხოლოდ 85 მატჩის ჩატარება მოასწრო. პირველად კი 1955 წელს ითამაშა „ბოლტონთან“. საოცარი ტრიუკების ოსტატი. გუნდის გულშემატკივრებს განსაკუთრებით მოსწონდათ მისი ერთ-ერთი ტრიუკი, რომელსაც ედი ტანის საოცარი მოძრაობით აკეთებდა. „ოლდ ტრეფორდის“ მუდმივი სტუმრები იხსენებდნენ, თუ როგორ იმეორებდა სტადიონზე მოსული ხალხი ამ მოძრაობას.



**დანკან ედვარდსი.**

თავდამსხმელი.

21 წლის. 16 წლის იყო, როცა პირველად ითამაშა „მანჩესტერში“ „კარდიფ სიტისთან“. ითვლებოდა ყველაზე სრულყოფილ ფეხბურთელად ბრიტანეთში. რა სიმაღლეზე ავიდოდა ედვარდსის ოსტატობა — ეს ინგლისური ფეხბურთის ყველაზე დიდი გამოცანაა. ერთი ინგლისელი ჟურნალისტი წერდა: ადვილია ედვარდსის ნაკლოვანებათა ჩამოთვლა — ისინი უბრალოდ არ არსებობენო. „იუნაიტედში“ ჩაატარა 151 მატჩი, გაიტანა 20 გოლი. ინგლისის ნაკრების 18 მატჩში 5 გოლი შეაგდო.



**მარკ ჯოუნსი.**

ნახევარმცველი.

24 წლის. დაიბადა ბარნსლიში. „მანჩესტერში“ მოვიდა 1949 წელს და უკვე მომავალ წელს პროფესიონალი გახდა. 16 წლისა იყო, როცა 1950 წლის ოქტომბერში პირველი მატჩი ჩაატარა „შეფილდ უენსდეის“ წინააღმდეგ. იშვიათი ჯანის პატრონი. თანაგუნდელები ეხუმრებოდნენ, მოკრივე გამოსულიყავიო. სულ ჩაატარა 103 მატჩი. მისი ვაჟი, გარი „იუნაიტედის“ ერთგული ქომაგია და დღესაც სტადიონის მუდმივ აბონემენტს ფლობს.



**დევიდ პეგი.**

ნახევარმცველი.

22 წლის. დაიბადა დონკასტერში. თამაშობდა ინგლისის სკოლების ნაკრებში. „მანჩესტერში“ ჩატარებული პირველი მატჩის შემდეგ (1952 წლის 6 დეკემბერს „მიდლსბროსთან“) მიიწვიეს ინგლისის ახალგაზრდულ ნაკრებში. გამოირჩეოდა დიდი სიჩქარით და კარგი დარტყმით. ტომი ტეილორთან ერთად მარცხენა ფრთაზე მშვენიერ წყვილს ჰქმნიდა. ჩატარებული ჰქონდა ლიგის 127 მატჩი, რომლებშიც 24 გოლი გაიტანა.



**ტომი ტეილორი.**

ცენტრფორვარდი.

ერთ-ერთი იმ იშვიათთაგანი, რომელიც „იუნაიტედმა“ იყიდა და „ბარნსლის“ უცნაური თანხა — 29 999 გირვანქა სტერლინგი გადაუხადა. ერთი გირვანქა მატ ბასბიმ „ბარნსლის“ სტადიონზე მომუშავე ჩაის მიმტან ქალს მისცა. ტეილორი „მანჩესტერში“ გადმოსვლამდე ორი თვით ადრე გახდა ინგლისის ეროვნული გუნდის წევრი. იქ მან 19 თამაშში 16 გოლის გატანა მოასწრო. იყო „მანჩესტერის“ საუკეთესო ბომბარდირი — 112 გოლი 166 მატჩში.



**ლაიამ (ბილი) ვილანი.**

თავდამსხმელი.

მეტსახელად „პატარა ირლანდიელი“. „მანჩესტერში“ 1953 წელს გადმოვიდა დუბლინის „პოუმ ფარმიდან“. ოთხჯერ მოასწრო ირლანდიის ნაკრებში თამაში. გუნდში „პირველი ხუმარას“ სახელი ჰქონდა, თან დიდად მორწმუნე იყო. კლუბში 79 მატჩი ითამაშა (43 გოლი). ერთ-ერთ გოლს დღესაც იხსენებენ მანჩესტერში: ჩემპიონთა თასზე „იუნაიტედი“ 2:5 აგებდა ბილბაოში. ბილიმ მტკივანი კოჭის მიუხედავად მთელი მოედანი მარტომ გაიარა, მოატყუა ყველა შემხვედრი ესპანელი და გოლი გაიტანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ისტორიიდან

რუბრიკას უძღვება
ნოდარ გუგუშვილი

# პირველად იყო ფეხბურთი

④

ერთხელ, ინგლისის თასის კალენდარულ მატჩში „სტოკ სიტის" ძნელი ბრძოლა გადახდა მასზე შედარებით სუსტ „ნოთს ქაუნთისთან". ფავორიტი, რომელიც აგებდა შეხვედრას მინიმალური ანგარიშით, ბოლო წუთებზე მთელი გუნდით გადავიდა შეტევაზე. გოლი თითქოს გარდუვალი იყო. და აი, კრიტიკულ მომენტში „სტოკ სიტის" ერთ-ერთმა მოთამაშემ იხელთა დრო და უძლიერესი დარტყმით ბურთი მეტოქის კარისაკენ გაგზავნა. „ნოთს ქაუნთის" მცველს სხვა გზა რომ არ ჰქონდა, მუშტით მოიგერია სახიფათო დარტყმა და ცარიელი კარისკენ მიმავალი ბურთი კუთხურზე გადაიყვანა.

მსაჯმა, არსებული წესის თანახმად საჯარიმო დარტყმა დანიშნა. „ნოთს ქაუნთის" მოთამაშენი ზედ კარის ხაზზე ჩამწკრივდნენ მეკარის დასახმარებლად. დაზარალებულმა გუნდმა ვერ გაიტანა გოლი და დამარცხებული „სტოკ სიტი" გამოეთიშა გათამაშებას.

მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობამ მსაჯის გადაწყვეტილება საჯარიმო დარტყმის დანიშვნის თაობაზე გააპროტესტა. ფეხბურთის ფედერაციამ დეტალურად განიხილა ეს შემთხვევა და დაადგინა: გუნდი უსამართლოდ დაისაჯა იმის გამო, რომ წესი არ იყო სრულყოფილი. აი სწორედ ამ შემთხვევასთან დაკავშირებით იხმარეს პირველად სიტყვა პენალტი, რაც ნიშნავდა სასჯელის უმაღლეს ზომას, ანუ 11-მეტრიან დარტყმას.

მაგრამ არც ახალი წესის პირვანდელი ვარიანტი გამოდგა უნაკლო. ეს იმავე „სტოკ სიტის" მაგალითზე დამტკიცდა და რაც კიდევ უფრო კურიოზულია, არასრულყოფილი წესის გამო ისევ და ისევ „სტოკ სიტი" დაზარალდა. ბირმინგემის „ასტონ ვილასთან", ამჯერად უკვე ჩემპიონატის კალენდარულ მატჩში, იგი იმავე ანგარიშით (0:1) აგებდა შეხვედრას, როცა მსაჯმა ერთ-ერთი ბირმინგემელი მცველის უხეშობისათვის 11-მეტრიანი დარტყმა დანიშნა. მატჩის დამთავრებას 30-მდე წამი აკლდა და დრო რომ როგორმე გაეყვანა, „ასტონ ვილას" მცველმა უძლიერესი დარტყმით ბურთი ტრიბუნისკენ გაგზავნა. ამასობაში დამთავრდა დრო და „სტოკ სიტის" ისევ და ისევ დამარცხება ჩაეთვალა.

ფედერაციას ერთხელ კიდევ მოუხდა მსჯელობა ამ შემთხვევის გამო. ქულით მატჩის შედეგი ძალაში დატოვა, მაგრამ იქვე აღნიშნა, რომ „სტოკ სიტის" ფეხბურთელები ამჯერადაც უსამართლოდ დაიჩაგრნენ და რომ მსგავსი რამ აღარ განმეორებულიყო, 11-მეტრიანი დარტყმის წესს ერთი ასეთი პუნქტი დაუმატეს: „თუ პენალტი მატჩისთვის განკუთვნილ დროში დაინიშნა, დაზარალებულმა იგი უნდა შეასრულოს დროის ამოწურვის შემდეგაც".

ასე ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ ყალიბდებოდა ფეხბურთი, იძენდა იმ მწყობრი და დახვეწილი თამაშის სახეს, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, როგორც მილიონთა საყვარელმა სპორტმა, ერთ-ერთმა ყველაზე ლამაზმა და პოპულარულმა სანახაობამ.

ფეხბურთი უაღრესად ემოციური სპორტია, ალბათ ყველაზე უფრო ემოციური ჩვენთვის ნაცნობ სპორტის სახეობათა შორის, და როგორც ყველა ასეთი სანახაობა, ფეხბურთიც წარმოუდგენელია მღელვარე, ბობოქარი აუდიტორიის გარეშე. ფეხბურთის ასპარეზად მწვანე მინდორიც ჰყოფნის. აი, მაყურებელი კი, სტადიონზე რომ ვერ ეტევა, თავისი ვნებების დასაცხრომად ტელევიზიის სიკეთითაც სარგებლობს. და მაინც მისი ფიქრი და გონება მუდამ სტადიონზეა, იქ, სადაც მისი საყვარელი გუნდი თამაშობს და ბრძოლის ბედი წყდება.

ამიტომ არაა გასაკვირი, რომ ფეხბურთის განვითარებამ მძლავრი ბიძგი მისცა სტადიონების მშენებლობას მთელს მსოფლიოში. გასული საუკუნის მიწურულსა და ჩვენი საუკუნის დასაწყისში ევროპაში ბევრი საფეხბურთო სტადიონი აშენდა. მათ შორის ერთ-ერთი პირველი შეფილდის სტადიონია, რომელიც დღესაც სიყმაწვილის სახელს — „ჰილსბროს" ატარებს. ბრიტანეთის უძველეს სტადიონთა რიცხვს განეკუთვნება ლონდონის „უემბლი", რომელიც რამდენჯერმე გადაკეთდა და გაუმჯობესდა, აგრეთვე გლაზგოს სამი სტადიონი — „ჰემპდენ პარკი", „იბროქს პარკი" და „სელტიკ პარკი".

1937 წელს „ჰემპდენ პარკის" სტადიონზე ინგლისისა და შოტლანდიის გუნდების შეხვედრას დაესწრო 149.547 მაყურებელი, რაც ევროპის სტადიონებისათვის აბსოლუტურად საუკეთესო მაჩვენებელს წარმოადგენს. იმავე სტადიონზე 1960 წელს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ფინალურ შეხვედრას მადრიდის „რეალსა" და ფრანკფურტის „აინტრახტს" შორის თვალყურს ადევნებდა 127 621 მაყურებელი. ევროპაში ცნობილი საფეხბურთო სტადიონებია, აგრეთვე, ბარსელონის „ნოუ კამპი", მადრიდის „სანტიაგო ბერნაბეუ", მილანის „სან სირო" (იგივე „ჯუზეპე მეაცა"), ნეაპოლის „სან პაოლო", პარიზის „კოლომბო" და „პარკ დე პრენსი"...

ფეხბურთელთა კომფორტული სტადიონებია არგენტინის დედაქალაქ ბუენოს აირესშიც, რომელთაგან ოთხი („რივერ პლეიტი", „ინდეპენდიენტე", „ბოკა ხუნიორსი" და „რასინგი") არქიტექტურის შედევრებადაც ითვლება, მაგრამ მსოფლიოში ყველაზე დიდი სტადიონები ფეხბურთის ყველაზე თავდავიწყებულ გულშემატკივრებს, ბრაზილიელებსა აქვთ და ისინი ამით სამართლიანად ამაყობენ. სან-პაულუს „მორუმბი" დიდი საფეხბურთო ზეიმის დღეებში 150 ათას მაყურებელს უხსნის კარს, რიო-დე-ჟანეიროს ლეგენდარული „მარაკანა" კი კიდევ უფრო მეტს. 1950 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩს ბრაზილიისა და ურუგვაის გუნდებს შორის 199 854 მაყურებელი დაესწრო.



ჩვენი პლანეტის უდიდესი სტადიონი — რიო დე ჟანეიროს „მარაკანა", რომელიც **200 000** მაყურებელს იტევს.

ფეხბურთის სწრაფი განვითარება, მისი პოპულარობის შემდგომი ზრდა მნიშვნელოვანწილად განაპირობა იმანაც, რომ თამაშის ორგანიზაციას სერიოზულად მოჰკიდეს ხელი სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკურად მოძლიერებულმა კლუბებმა. ადრე ვთქვით, რომ ერთ-ერთი პირველი, წმინდა საფეხბურთო კლუბი შეიქმნა შეფილდში (1857 წ.). 100 წელს გადაცილებული კლუბების რიცხვი ბრიტანეთში საკმაოდ ბევრია, აი თუნდაც „ასტონ ვილა" (დაარსდა 1874 წელს), „ბლეკბერნ როვერსი" (1874), „გლაზგო რეინჯერსი" (1873)... არიან ასეთი კლუბები ევროპის სხვა ქვეყნებშიც: საფრანგეთში – „რეისინგი" (1882 ), შვეიცარიაში „გრასჰოპერსი" (1886), გერმანიაში – „ჰამბურგი" (1887), დანიაში – „ორჰუსი" (1889), უნგრეთში – „ფერენცვაროში" (1889), შვედეთში – „იურგორდენი" (1891) და ა.შ.

ფეხბურთის ისტორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპად მიჩნეულია პროფესიული კლუბების შექმნა ბრიტანეთში, ანუ პროფესიონალიზმის დამკვიდრება, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი როგორც თამაშის კლასის საერთო ამაღლებას, ისე ცალკეულ ფეხბურთელთა ტექნიკური ოსტატობის შემდგომ სრულყოფას. პროფესიონალიზმი ბრიტანულ ფეხბურთში დაახლოებით 1885 წლისთვის დამკვიდრდა, პირველი პროფესიული საფეხბურთო ლიგა კი ოდნავ მოგვიანებით, 1888 წელს ჩამოყალიბდა. მასში გაერთიანდა 12 გუნდი. აი, სწორედ აქედან იღებს სათავეს ინგლისის საფეხბურთო ჩემპიონატები, რომლის პირველი ლაურეატი გახლდათ იმ დროისთვის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული კლუბი „პრესტონ ნორდ ენდი".

მაგრამ ინგლისის ჩემპიონატი არ არის ყველაზე ძველი საფეხბურთო ტურნირი მსოფლიოში. მასზე გაცილებით უფრო ადრე, 1871-72 წლებში მოეწყო ინგლისის თასის გათამაშება, რომელიც თამამად შეიძლება მივიჩნიოთ ყველა საფეხბურთო ასპარეზობის წინამორბედად. თასის პირველ გათამაშებაში მონაწილეობდნენ მხოლოდ მოყვარული ფეხბურთელები. მოგვიანებით პროფესიონალიზმის შემოღების შემდეგ ამ ტურნირს პროფესიული კლუბებიც შემოუერთდნენ.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

„გოლის" წინა ნომერში რედაქციისგან დამოუკიდებელი მიზეზით გაიპარა შეცდომა: შენაცვლებულია მადრიდის „სანტიაგო ბერნაბეუსა" და ბარსელონის „კამპ ნოუს" სტადიონების ფოტოები.

# გოლის ფოტოკონკურსი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ზურაბ გენგიური




## დანია

ევროპის ჩემპიონი-92

სხედან (მარცხნიდან): ტორბერნ ფრანკი, ჯონი მიოლბიუ, პეტერ ნილსენი, ლარს ელსტრუპი, ტორბერნ პისნიკი, ფლემინგ პოლსენი; შუა რიგში: ბენტ კრისტენსენი, იონ იენსენი, მოგენს კროგი, პეტერ შმაიხელი, კიმ კრისტოფტე, ჰენრიკ ლარსენი, მწვრთნელი რიჩარდ მიოლერ ნილსენი; ზედა რიგში: ბრიან ლაუდრუპი, იონ სივებაკი, კენტ ნილსენი, კიმ ვილფორტი, ლარს ოლსენი, ჰენრიკ ანდერსენი.